

წმინდა  
კლიმენტი რომაელი



ⲡⲥ

ⲓⲃⲛⲉ

ⲓⲃⲛⲉ



## შესავალი<sup>1</sup>

წმინდა კლიმენტი რომაელი, რომელსაც ეკუთვნის ეპისტოლურ კორინთელთა მიმართ, თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მოღვაწე და მოციქულებრივი მამა იყო. იგი მღვდელმთავრობდა რომის ეკლესიას 92-101 წწ.

კლიმენტი რომაელი და მისი ეპისტოლურ არაერთხელ არის ნახსენები ადრექრისტიანული ხანის ყველაზე სანდო ავტორებთან. უადრესი ცნობა მის შესახებ, როგორც მიიჩნევენ ორიგენე,<sup>2</sup> ევსევი კესარიელი,<sup>3</sup> ნეტარი იერონიმე,<sup>4</sup> წმ. იოანე დამასკელი<sup>5</sup> და წმ. პატრიარქი ფოტიოსი,<sup>6</sup> დაცულია ახალ აღთქმაში, მოციქულ პავლეს *ეპისტოლეში ფილიპელთა მიმართ*. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს მწერლები კლიმენტი რომაელს აიგივებენ მოციქულ პავლეს თანაშემწე კლემენტოსთან, რომელიც ამ წერილშია ნახსენები: „ჰე, გლოცავ შენცა, ერთგულსა თანამეუღლესა, შეინყნარენ ეგენი, რომელნი-ეგე სახარებასა მას თანამოღუაწე მექმნეს მე *კლემენტოსითურთ* და სხუთა

---

1. წმ. კლიმენტი რომაელის ცხოვრება-მოღვაწეობის, ნაშრომებისა და მათი ძველი ქართული თარგმანების განხილვისათვის იხ.: *I-VII საუკუნეების ლათინი საეკლესიო მწერლები*. მართლმადიდებლის სამაგიდო წიგნი. ნაწ. I. შეადგ. ედიშერ ჭელიძემ. თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდ „ლაზარე“-ს საგამომცემლო ცენტრი, 2002.

2. *განმარტებული იოანეს სახარებაზე*, 6.36 (PG 14, სვ. 293A).

3. *ეკლესიის ისტორია*, 3.4, 15.

4. *გამორჩეულ კაცთა ცხოვრება*, 15 (PL 23, სვ. 664); *იოვინიანუსის წინააღმდეგ*, 1.12.

5. *განმარტებული პავლეს ეპისტოლეებზე* (PG 95, სვ. 997).

6. *ბიბლიოთეკა*, 112-113.

მათ თანამემნეთა ჩემთა, რომელთაჲ სახელები წერილ არს წიგნსა მას ცხოვრებისასა“ (ფილიპ. 4.3). კლიმენტის უწოდებდნენ პეტრე მოციქულის მოსწავლეს,<sup>1</sup> თანამემნეს და თანამოღვაწეს.<sup>2</sup> პავლე და პეტრე მოციქულებთან კლიმენტის ურთიერთობას ადასტურებს წმ. ირინეოს ლიონელი, რომლის თანახმადაც კლიმენტი უსმენდა მათ ქადაგებას და სწავლობდა მოძღვრებას.<sup>3</sup> მეტიც, ტერტულიანეს გადმოცემით, რომელიც კლიმენტის რომაელ ეპისკოპოსს უწოდებს, მას ეპისკოპოსობა თავად მოციქულმა პეტრემ მიანიჭა.<sup>4</sup>

სადავო საკითხია, რომის რიგით რომელი ეპისკოპოსი იყო კლიმენტი. ტერტულიანე მას ასახელებს რომის მეორე ეპისკოპოსად, რომელმაც რომის ეკლესიის კათედრა მოციქულ პეტრეს შემდეგ დაიკავა, ანუ ასახელებს პეტრეს მემკვიდრედ. სხვა ავტორები კი პეტრესა და კლიმენტის შორის ერთ ან ორ ეპისკოპოსს მიუთითებენ. კერძოდ, წმ. ირინეოს ლიონელის,<sup>5</sup> ევსევი კესარიელის<sup>6</sup> და წმ. ეპიფანე კვიპრელის<sup>7</sup> თანახმად, კლიმენტი რომაელის წინამორბედები იყვნენ ლინოსი და ანენკლეტოსი<sup>8</sup>

---

1. Καὶ Κλήμης δὲ ὁ Ῥωμαῖος, Πέτρον ἀποστόλου μαθητῆς (ორიგენე, განმარტებები შესაქმის წიგნზე, PG 12, სვ. 85A); „Clemens apostolorum discipulus“ (პირველსაწყისთა შესახებ, 2.3.6, PG 11, სვ. 194C).

2. καὶ ὁ Κλήμης... Παύλου συσεργῶς καὶ συαμλητῆς (ევსევი კესარიელი, ეკლესიის ისტორია, 3.4).

3. „კლიმენტი, რომელსაც უხილავს ნეტარი მოციქულები და მათთან ერთად იმყოფებოდა, რომელსაც ჯერ კიდევ ჩაესმოდა მოციქულთა ქადაგება და მათი გადმოცემა ედგა თვალწინ“ (წმ. ირინეოსი, მწვალებლობათა წინააღმდეგ, 3.3.3). ირინეოსის ამ სიტყვებს იმონებებს ევსევი კესარიელიც (ეკლესიის ისტორია, 5.5-6).

4. „ისე როგორც რომაელთა ეკლესიაში კლიმენტი პეტრეს მიერ იქნა დაყენებული“ („sicut Romanorum Clementem a Petro ordinatum edit“, იხ. მისი წიგნი მწვალებელთა შეკამათების აცილების შესახებ, 32.2, PL 2, სვ. 45A).

5. წმ. ირინეოსი, მწვალებლობათა წინააღმდეგ, 3.3. ირინეოსი ასევე, მიუთითებს, რომ ლინოსს პავლე მოციქული ასხენებს ტიმოთეს მიმართ გაგზავნილ ეპისტოლეში (2ტიმ. 4.21).

6. ევსევის თანახმად, კლიმენტი იყო მესამე რომაელი ეპისკოპოსი (ეკლესიის ისტორია, 3.4) ლინოსისა და ანენკლეტოსის შემდეგ (3.21).

7. მწვალებლობათა წინააღმდეგ, 27.6.

8. Ἀνέγκλητος, Anacletus (გამორჩეულ კაცთა ცხოვრება, 15, PL 23, სვ. 664; წმ. ირინეოსი, მწვალებლობათა წინააღმდეგ, 3.3; ევსევი კესარიელი, ეკლესიის ისტორია, 3.21).



(კლეტოსი).<sup>1</sup> ნეტარი იერონიმე ამ ორივე ვერსიას ახსენებს. თხზულებაში *იობინიანეს წინააღმდეგ*, იგი კლიმენტის უწოდებს მოციქულ პეტრეს მემკვიდრეს (1.12), *გამორჩეულ კაცთა ცხოვრებაში* კი შენიშნავს, რომ კლიმენტი „პეტრეს შემდეგ რომის მეოთხე ეპისკოპოსი იყო, თუკი მართლაც მეორე იყო ლინოსი და მესამე ანაკლეტოსი, თუმცა ლათინთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ კლიმენტი პეტრეს შემდეგ მეორე ეპისკოპოსი იყო“.<sup>2</sup> ამ ორი სხვადასხვა ტრადიციის შეთავსება სცადა წმ. ეპიფანე კვიპრელმა, რომელიც გადმოსცემს, რომ მოციქულ პეტრეს მიერ ეპისკოპოსად დადგენილმა კლიმენტიმ საეკლესიო განხეთქილების თავიდან ასაცილებლად ეპისკოპოსობა დაუთმო ლინოსს, შემდეგ კი კლეტოსს, ხოლო თვითონ ეპისკოპოსის კათედრა მათი გარდაცვალების შემდეგ დაიკავა.<sup>3</sup> გარდა ამისა, ეპიფანეს ვარაუდით, რომში ეპისკოპოსის დაყენება მოციქულთა სიცოცხლეში იმით იყო განპირობებული, რომ, რადგანაც მოციქულები მაცხოვრის მონოდებისამებრ ქრისტიანობის საქადაგებლად სხვადასხვა ქვეყნებში მიემგზავრებოდნენ, რომი არ უნდა დარჩენილიყო ეპისკოპოსის გარეშე.<sup>4</sup> მკვლევარები თვლიან, რომ ირინეოსის, ევსევის და სხვა ავტორთა ცნობები სარწმუნო და სამართლიანია და კლიმენტი რომაელმა რომის ეპისკოპოსის კათედრა ლინოსის და კლეტოსის შემდეგ დაიკავა. ამ ცნობებს ევსევი კესარიელი, წმ. ეპიფანე კვიპრელი

---

1. Κλήτος (წმ. ეპიფანე კვიპრელი, *მწვალებლობათა წინააღმდეგ*, 27.6). წმ. ეგნატი ანტიოქიელის არაავთენტურ წერილში მარიამ კასობოლელის მიმართ, ანენკლეტოსის სახელი გამოტოვებულია და ლინოსის შემდეგ პირდაპირ კლიმენტია დასახელებული: „შენ იყავი რომში ნეტარი პაპის, ლინოსის დროს, ახლა მისი მემკვიდრე გახდა ლირსსანატრელი კლიმენტი, რომელსაც პეტრესა და პავლესთვის მოუსმენია“ (PG 5, სვ. 885). კლიმენტი რომაელი კიდეც ორჯერ არის დასახელებული ეგნატი ანტიოქიელის ინტერპოლირებულ წერილებში, სადაც ნათქვამია მისი წმინდა და უბინო მსახურებისა (*ეპისტოლე ტრალიელთა მიმართ*, 7, PG 5, სვ. 788A) და მისი უბინოებით (ἐν ἀγυρίᾳ) განვლილი ცხოვრების შესახებ (*ეპისტოლე ფილადელფიელთა მიმართ*, PG 5, სვ. 824B).

2. *გამორჩეულ კაცთა ცხოვრება*, 15 (PL 23, სვ. 664). ამ ცნობას იმეორებს წმ. ფოტიოსიც (*ბიბლიოთეკა*, 112-113).

3. *მწვალებლობათა წინააღმდეგ*, 27.6.

4. *მწვალებლობათა წინააღმდეგ*, 27.6.

და ნეტარი იერონიმე ამატებენ, რომ ეპისკოპოსის მოვალეობას კლიმენტი ასრულებდა 92-101 წწ.<sup>1</sup>

წმ. კლიმენტის მოწამებრივი გარდაცვალების შესახებ წერენ IV ს-ის აქტები.<sup>2</sup> ამ აქტების მიხედვით, კლიმენტი იმპერატორ ტრაიანეს ზეობისას გადაასახლეს ხერსონესში, სადაც მან მრავალი წარმართი მოაქცია და ამის გამო იმპერატორის ბრძანებით იგი, ლუზაზე მიბმული, გემიდან გადააგდეს შავ ზღვაში. მეორე მხრივ, ადრინდელ სანდო ავტორებს, კლიმენტი ალექსანდრიელის, ევსევი კესარიელის, წმ. ეპიფანე კვიპრელისა და ნეტარი იერონიმეს ჩათვლით, კლიმენტის მოწამების შესახებ ცნობები არ გააჩნიათ. ამდენად, დაუზუსტებელია, რა წყაროებს ემყარებოდა გადმოცემა კლიმენტის მოწამებრივი აღსასრულის შესახებ.

წმ. კლიმენტი რომაელს მიაკუთვნებენ არაერთ თხზულებას, რომლებიც ძირითადად საეკლესიო მოწყობასა და წესრიგს ეხება. მათ შორისაა: ორი ეპისტოლე კორინთელთა მიმართ, რომლებიც ეპისტოლარული და ჰომილეტიკური ჟანრის პირველი ქრისტიანული წერილობითი ძეგლებია ახალი აღთქმის

---

1. ევსევი კესარიელი წერს (*ეკლესიის ისტორია*, 3.15, 3.34), რომ კლიმენტი იმპერატორ დომიციანეს ზეობის (81-96 წწ.) მეთორმეტე წელს (ანუ 92 წ.) შეცვალა ანაკლეტოსი, რომელიც 12 წლის მანძილზე მღვდელმთავრობდა რომაულ ეკლესიას (ე.ი. 80-92 წწ.), და რომ კლიმენტის 9 წელი ეკავა რომის ეპისკოპოსის კათედრა (ანუ 92-101 წწ.). სხვა თარიღს მიუთითებს წმ. ეპიფანე კვიპრელი (*მწვალებლობათა წინააღმდეგ*, 27.6), რომლის თანახმადაც კლიმენტი ეპისკოპოსად დაადგინეს მოციქულთა გარდაცვალების შემდეგ, რაც ნერონის ზეობის (54-68 წწ.) მეთორმეტე წელს (ე.ი. 66 წ.) მოხდა, და ლინოსისა და კლევტოსის ეპისკოპოსობის შემდეგ (მათ 12-12 წელი ეკავათ რომის მღვდელმთავრის კათედრა), რაც ახ.წ. 90 წელს გულისხმობს. რაც შეეხება კლიმენტის გარდაცვალებას, ნეტარი იერონიმეს თანახმად, კლიმენტი აღესრულა იმპერატორ ტრაიანეს ზეობის (98-117 წწ.) მესამე წელს, ანუ 101 წ. (*გამორჩეულ კაცთა ცხოვრება*, 15, PL 23, სვ. 665). ეს ცნობა დასტურდება ევსევი კესარიელთან (*ეკლესიის ისტორია*, 3.34) და წმ. ფოტიოსთანაც (*ბიბლიოთეკა*, 112-113).

2. წმ. კლიმენტი რომაელის კიმენური წამება, სახელწოდებით „წამებაჲ წმიდისა კლემენტოს ჰრომთა პაპისაჲ და პეტრე მოციქულისა მოწაფისაჲ, აღწერილი ფიგულისს მიერ მოწაფისა მისისა“, ქართულად თარგმნილია წმ. ექვთიმე ათონელის მიერ (იხ. ენრიკო გაბიძაშვილი. *ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია*. თბილისი, 2004, გვ. 256, N 673).

კანონიკურ წიგნთა შემდეგ, ასევე, მოციქულთა კანონები (*Constitutiones Apostolicae*), ეპისტოლე მაცხოვრის ძმის, იაკობის მიმართ, ორი წერილი ქალწულობის შესახებ, შეხვედრები (*Recognitiones*), პეტრეს მოგზაურობანი, პეტრესა და აპოინის დიალოგი, და ა.შ.<sup>1</sup> მას, ასევე, მიანერდნენ ეპისტოლეს დიოგნეტოსის მიმართ.

ამ ნაშრომთაგან ერთადერთი ავთენტიური, ჭეშმარიტად წმ. კლიმენტი რომაელის დაწერილი თხზულებაა პირველი ეპისტოლე კორინთელთა მიმართ, რომელშიც საუბარია კორინთოს ეკლესიაში წარმოშობილი ამბოხის შესახებ.<sup>2</sup> ეს ამბოხი იმდენად გახმაურებულა, რომ საყოველთაოდ ცნობილი გამხდარა და რომამდეც მიულწვია (47.7). მეცნიერები ხშირად მიიჩნევენ, რომ სწორედ ამ ეპისტოლემ დაუმკვიდრა წმ. კლიმენტი რომაელს დიდი სახელი ქრისტიან მამათა შორის.

ეპისტოლე მრავალჯერ არის ნახსენები და დამოწმებული ადრექრისტიანული ხანის ავტორთა ნაშრომებში, სადაც იგი წმ. კლიმენტი რომაელს უკავშირდება. თავად ეპისტოლეში კი ავტორის ვინაობა დასახელებული არ არის და მისი პროლოგიდან მხოლოდ ის არის ნათელი, რომ კორინთოს ეკლესიას სწერს რომის ეკლესია, უკეთ მისი ეპისკოპოსი, რომაელი, რომელმაც კარგად იცის ბერძნული მითოლოგია (შდრ. თთ. ნ, 25). კლიმენტის ახსენებს წმ. ირინეოს ლიონელი, რომელიც შენიშნავს, რომ „ამ კლიმენტის დროს, როდესაც კორინთოში ძმათა შორის აღიძრა არცთუ მცირე ამბოხი, რომაულმა ეკლესიამ კორინთელებს გაუგზავნა მეტად სასარგებლო წერილი (ΚΑΥΑΤΑΤΙΥ ΥΡΑΦΙΥ), რომელშიც მიმართავდა მათ მშვიდობისაკენ, აღადგენდა მათ რწმენას და აუწყებდა მათ მოციქულთაგან ახლახანს მიღებულ გადმოცემას“.<sup>3</sup> კლიმენტის წერილის შესახებ წერს ევსევი კესა-

1. ამ თხზულებებს წმ. კლიმენტის მიანერდნენ ევსევი კესარიელი (*ეკლესიის ისტორია*, 3.34), წმ. ეპიფანე კვიპრელი (*მწვალებლობათა წინააღმდეგ*, 30.15), ნეტარი იერონიმე (*გამორჩეულ კაცთა ცხოვრება*, 15, PL 23, სვ. 664; მისივე, *იოვინიანუსის წინააღმდეგ*, 1.12) და წმ. ფოტოისი (*ბიბლიოთეკა*, 112-113).

2. ევსევი კესარიელი, *ეკლესიის ისტორია*, 3.16. იგი გამოარჩევს ამ წერილს, როგორც ნამდვილს, კლიმენტის სხვა ნაშრომებისაგან.

3. *მწვალებლობათა წინააღმდეგ*, 3.3.

რიელი, რომლის თანახმადაც ჰეგესიპოსი (II ს-ის მეორე ნახევარი) თავის ჩანაწერებში საუბრობდა კლიმენტის მიერ ამბოხთან დაკავშირებით კორინთელთა მიმართ გაგზავნილი წერილის შესახებ.<sup>1</sup> კლიმენტის წერილს ახსენებს და მას მეტად ფასეულს უწოდებს ნეტარი იერონიმე.<sup>2</sup> კლიმენტი რომაელს კლიმენტი ალექსანდრიელი მოციქულს უწოდებს (ἐν τῇ παρὸς Κορινθίους ἐπιστολῇ ὁ ἀπόστολος Κλήμης)<sup>3</sup> და არაერთ ნაწყვეტს იმონმებს მისი წერილიდან.<sup>4</sup> გარდა ამისა, იგი ნახსენები და დამონმებულია ორიგენეს შრომებში,<sup>5</sup> წმ. ეპიფანე კვიპრელთან,<sup>6</sup> წმ. პატრიარქ ფოტიოსთან.<sup>7</sup> წმ. კლიმენტის კორინთელთა ეპისტოლე იგულისხმება ჰერმასის *მწყემსშიც*, რომელშიც ნათქვამია, რომ სხვა ქალაქების (ეკლესიების) მიმართ წერა კლიმენტის ჰქონდა მინდობილი.<sup>8</sup> ნეტარი თეოდორიტე კვირელის ნაშრომში, *კითხვები და პასუხები მართლმადიდებლების მიმართ*, ნახსენებია კლიმენტის ეპისტოლე და აღნიშნულია შინაარსი ამ ტექსტის ერთ-ერთი ფრაგმენტისა, რომელიც, როგორც ჩანს, არ არის შემორჩენილი: „თუკი ამ მდგომარეობის დასასრულს წარმოადგენს უსჯულოთა განსჯა ცეცხლის მეშვეობით, იმის თანახმად, რასაც გადმოსცემენ წინასწარმეტყველების და მოციქულების, და

1. *ეკლესიის ისტორია*, 4.23, 3.16.

2. *გამორჩეულ კაცთა ცხოვრება*, 15 (PL 23, სვ. 664). აქვე ნეტარი იერონიმე მას მოციქულ პავლეს *ებრაელთა მიმართ* დაწერილ ეპისტოლეს ადარებს.

3. *ხალიჩები*, 4.105.

4. *ხალიჩები*, 1.15.2 (დამონმებულია 7.2), 1.38.8 (48.4), 4.105 (1.2, 9.2-10.1, 7, 17.2, 11.1, 12.1, 17.1) და ა.შ.

5. ორიგენე კლიმენტის პირველი წერილიდან იმონმებს რამდენიმე მონაკვეთს, მაგალითად, 20.8-ს თხზულებაში *პირველსანყისთა შესახებ* (2.3.6, PG 11, სვ. 194C) და *რჩეულ განმარტებებში ეზეკიელის წიგნიდან* (PG 13, სვ. 796CD).

6. იგი კლიმენტის წერილიდან იმონმებს 54.2-ს (იხ. ეპისტოლეს შესაბამის მონაკვეთთან). ამასთან, მიუთითებს, რომ მას მიაკუთვნებდნენ არაავთენტურ ტექსტებსაც, რომელშიც მოთხრობილი იყო *პეტრეს მოგზაურობათა შესახებ* (*მწვალებლობათა წინააღმდეგ*, 30.15).

7. წმ. ფოტიოსი (*ბიბლიოთეკა*, 112-113, 126) ძირითადად იმეორებს იმას, რაც ადრინდელ ავტორებთან კლიმენტის შესახებ იყო დაწერილი, მათ დაუსახელებლად.

8. „კლიმენტი წიგნაკს გარე ქალაქებს გაუგზავნის, რადგან ეს მას აქვს მინდობილი“ (πράψαι οὖν Κλήμης εἰς τὰς ἕξαι πόλεις, ἐκεῖνα γὰρ ἐπιτέτραπται, 1.2.4.3).

გარდა ამისა, სიბილას ნაწერები, როგორც ამბობს ნეტარი კლიმენტი ეპისტოლეში კორინთელთა მიმართ<sup>1</sup>.

წერილის დაწერის მიზეზად იქცა კორინთოს ეკლესიაში საეკლესიო წესრიგისა და იერარქიის წინააღმდეგ მიმართული განხეთქილება, რომელიც, ზოგი მკვლევარის აზრით, განვითარდა გნოსტიკური მოძღვრების საფუძველზე და რომელიც არ ყოფილა პირველი. კორინთოს ეკლესიაში უთანხმოების შესახებ აღნიშნულია მოციქულ პავლეს კორინთელთა მიმართ დაწერილ პირველ ეპისტოლეშიც (1კორ. 1.10-15). კლიმენტის ეპისტოლეში ამბობს დამნაშავედ დასახელებულია „რამდენიმე წინდაუხედავი და თავნება ადამიანი“ (1.1), „უგუნური და სულელი, მედიდური და თავიანთი სიტყვების ამპარტავნებით მოტრაბახე ადამიანები“ (21.5), „ერთი თუ ორი პირი, რომელთაც ამბოხი მოაწყვეს მღვდელთა წინააღმდეგ“ (47.6) და გახდნენ „ამბოხისა და განხეთქილების წინამძღოლები“ (51.1). მათ დაითხოვეს რამდენიმე მღვდელი, „რომლებიც დააყენეს მოციქულებმა ან მათ შემდგომ სხვა სახელოვანმა ადამიანებმა მთელი ეკლესიის თანხმობით, რომლებიც შეუცდომლად ემსახურებოდნენ ქრისტეს სამწყსოს თავმდაბლობით, მშვიდობითა და მოკრძალებით, და მრავალი წლის განმავლობაში ყველასგან მოწონებას იმსახურებდნენ“ (44.3), რასაც მოჰყვა დიდი განხეთქილება ეკლესიაში (შდრ. 3.3), ამ ყველაფრის გამო კი შეილახა კორინთოს ეკლესიის (1.1, 47.6), და ზოგადად უფლის სახელი (47.7). აღსანიშნავია, რომ წერილში არ არის მითითებული ამბოხებულ პირთა ვინაობა და უცნობია, საერო პირები იყვნენ ისინი თუ სასულიერო. კლიმენტი რომაელი შეახსენებს კორინთოს ეკლესიას, რომ ღვთისმსახურთა ხელდასხმა უფლის ნებით და მოციქულთა მიერ დადგენილი კანონებით ხდება, რომ ღვთისმსახურებს საკუთარი პასუხისმგებლობა აქვთ უფლის წინაშე (თთ. 40-41,44) და რომ „არცთუ მცირე ცოდვას ჩავიდნენ, თუ მათ, ვინც შეუცდომლად და წმინდად აღავლენდა შესაწირავს, ჩამოვაშორებთ ეპისკოპოსობას“ (44.4), ამიტომ

---

1. *კითხვები და პასუხები მართლმადიდებლებს*, 74 (PG 6, 1316AB). საყურადღებოა, რომ სიბილას სახელი არ არის დაცული წმ. კლიმენტი რომაელის არც ავთენტურ და არც ნაყალბე ნაშრომებში.

იგი, საკუთარი ეკლესიის მხრივ, რამდენადაც მკაცრად, იმდენადვე ღმობიერად სთხოვს კორინთოს ეკლესიას უთანხმოების მოგვარებასა და მშვიდობის დამყარებას (თთ. 48, 51-52, 54, 65), მით უფრო, რომ უფალი მონყალეა მათ მიმართ, ვინც ინანიებს (თ. 7) და მისი სასჯელიც კი მონყალეა (თ. 65).

წერილიდან არ ჩანს, რომ ეპისტოლე საპასუხოა, ამიტომ, საფიქრებელია, რომ რომის ეპისკოპოსმა ეს წერილი კორინთელებს საკუთარი ინიციატივით გაუგზავნა მშვიდობის აღდგენის მიზნით, რაც თავისთავად, აღსანიშნავი ფაქტია. გარდა ამბოხისა, წერილი ეხება მრავალ მნიშვნელოვან საკითხსაც. ამასთან, ხშირად არის დამონმებული მონაკვეთები ახალი აღთქმის წიგნებიდან, საიდანაც ცხადია, რომ კლიმენტის დროს ახალი აღთქმა უკვე ფართოდ გავრცელებულსა და სამაგიდო წიგნს წარმოადგენდა ქრისტიანულ სამყაროში.

ეპისტოლე დაწერილია მოციქულთა მონამეობრივი აღსასრულის შემდეგ (5.4-7), როდესაც რომის ეკლესიას თავს დაატყდა მრავალი მოულოდნელი უბედურება (1.1, თთ. 5, 6). ამ გარემოებას მკვლევარები უკავშირებენ ქრისტიანთა დევნასა და წამებას იმპერატორ დომიციანეს ზეობისას (81-96 წწ.). შესაბამისად, ეპისტოლე უნდა დაწერილიყო დომიციანეს მმართველობის ბოლო წლებში ან მისი დაღუპვიდან უახლოეს ხანებში, როდესაც ამასთან რომის ეპისკოპოსი იყო კლიმენტი (92-101 წწ.), ანუ დაახლ. 93-98 წწ., ან 95-98 წწ.<sup>1</sup> ეპისტოლეს დათარიღებასა და გავრცელებასთან დაკავშირებით საინტერესოა მისი ზოგი მონაკვეთის სიახლოვე წმინდა პოლიკარპე სმირნელის *ეპისტოლესთან ფილიპელთა მიმართ*, რის გამოც ითვლება, რომ პოლიკარპე სმირნელი თავის ნაშრომში ითვალისწინებდა კლიმენტის პირველ ეპისტოლეს. განსაკუთრებით ეს ეხება პოლიკარპე სმირნელის წერილის პირველ 12 თავს, რომელიც დაწერილია დაახლოებით 135 წელს. ამაზე დაყრდნობით, კლიმენტის პირველი ეპისტოლეს გავრცელებას აზიამი ათარიღებენ 125-130 წწ.<sup>2</sup>

1. Clément de Rome, *Épître aux Corinthiens*. Ed. A. Jaubert. Sources Chrétiennes 167. Paris: Éditions du Cerf, 1971, გვ. 20.

2. Clément de Rome, 1971, გვ. 17-18.

ამგვარ საყოველთაო აღიარებასთან მიმართებაში საგულისხმოა, რომ წმ. ფოტიოსი თუმცა კი აღიარებს წმ. კლიმენტი რომაელის წერილის მნიშვნელობას, ასევე აქებს „მის სადა და ნათელ, დაუმუშავებელ სტილს, რომელიც მას საეკლესიო მწერლების სტილს უახლოებს“, თუმცა წერილს გარკვეულ უარყოფით მხარეებსაც უძებნის. ფოტიოსი წერს: „ავტორი უნდა ვამხილოთ იმაში, რომ ზოგიერთ სამყაროს ოკეანის გაღმა ათავსებს, მეორედ, იმის გამო, რომ ყველაზე ჭეშმარიტ მაგალითად ფრინველ ფენიქსს იყენებს, და მესამედ, იმის გამო, რომ ჩვენს უფალს, იესო ქრისტეს მღვდელმთავარსა და წინამძღოლს (ἀρχιερέα καὶ προϊστάτην) უწოდებს, და მისი ხსენებისას არ იყენებს უფრო ღვთისსათნო და უზენაეს ტერმინებს, თუმცა კი დაუფარავად არსად მკრეხელობს მათში“.<sup>1</sup>

წმ. ფოტიოსის შემდეგ წმ. კლიმენტის განსახილველი ნაშრომის კვალი დაიკარგა. პირველი, ვინც მას მიაგნო, იყო ინგლისის მეფის, ჩარლზ I-ის ბიბლიოთეკარი, პატრიციუს იუნიუსი, იგივე პატრიკ იანგი (Patrick Young, 1584-1652 წწ.). ტექსტი დაცული აღმოჩნდა ბიბლიის შემცველ V ს-ის ალექსანდრიულ ხელნაწერში, რომელიც თავისი განსწავლულობით ცნობილმა ბერძენმა თეოლოგმა, კირილე ლუკარისმა (Κύριλλος Λούκαρις, 1572-1638 წწ.), ჯერ ალექსანდრიის და შემდეგ კონსტანტინოპოლის პატრიარქმა, 1628 წელს ინგლისის მეფეს ძღვნად გაუგზავნა. ის მონაკვეთი, რომელშიც დაცული იყო წერილის ტექსტი, საკმაოდ დაზიანებული აღმოჩნდა, დასასრულს კი აკლდა ერთი ფურცელი. იუნიუსმა ნაიკითხა იგი, შეავსო ნაკლული მარცვლები და სიტყვები და, ლათინური თარგმანის დართვით, მეორე ეპისტოლეს ფრაგმენტთან ერთად გამოსცა 1633 წელს.<sup>2</sup>

წმ. კლიმენტი რომაელის პირველი ეპისტოლე კორინთელთა მიმართ, წარმოადგენს ჩვენამდე მოღწეულ უადრეს ქრისტიანულ დოკუმენტს ახალი აღთქმის შემდეგ. ქრისტიანულ სამყაროში იგი იმდენად დიდი მნიშვნელობის თხზულებად მიიჩნეოდა, რომ

1. წმ. ფოტიოსი, *ბიბლიოთეკა*, 126. ფოტიოსი საუბრობს წმ. კლიმენტი რომაელის წერილის 20.8 და 25.1-4 მონაკვეთთა შესახებ.

2. *Clementis ad Corinthios Epistola prior*: eruit, lacunas explevit, latine vertit et notis illustravit Patricius Junius. Oxonii: Lichfield, 1633.



მას ახალი აღთქმის წიგნებს მიათვლიდნენ, ევსევი კესარიელისა და წმ. ეპიფანე კვიპრელის მოწმობით კი იგი საჯაროდ იკითხებოდა ეკლესიებში.<sup>1</sup> ამ ფაქტს მოწმობს კორინთოს ეპისკოპოსის, დიონისეს წერილიც რომაელი ქრისტიანების მიმართ (დანერილია დაახლ. 168-176 წწ.), რომელშიც ნათქვამია: „დღეს ჩვენ ვიდღესასწაულეთ უფლის წმინდა დღე და წავიკითხეთ თქვენი წერილი, რომელსაც მუდამ წავიკითხავთ, როგორც შეგონებას, ისევე როგორც პირველ ეპისტოლეს, დანერილს კლიმენტის მიერ“.<sup>2</sup> კლიმენტის ეპისტოლე ეკლესიებში საჯაროდ იკითხებოდა ნეტარი იერონიმეს დროსაც (გარდ. 420 წ.).<sup>3</sup>

ეპისტოლე წარმოადგენს ძირითად წერილობით წყაროს ადრეული ეკლესიისა და ქრისტიანობის მდგომარეობის გასაცნობად. გარდა ამისა, იგი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მასში გარკვეულწილად ასახულია ქრისტიანობამდელი ფილოსოფიური წრეების ზოგი არსებითი ელემენტი. ასე მაგალითად, ეპისტოლეში მიუთითებენ ელინისტური, კინიკურ-სტოიკური წრისთვის დამახასიათებელი, კერძოდ კი სტადიონთან, სათნოებისათვის ასპარეზობასთან, ათლეტებთან დაკავშირებული გამონათქვამებისა და სახეების გამოყენებას (2.4, 5.2-7, 7.1, 21.4, 35.4, შდრ. ასევე, თთ. 54-55), ასევე ისეთ ტერმინებს, კერძოდ, *καθηκοι* ('მოვალეობა', 3.4, 41.3), *συσείδησις* ('სინდისი', 1.3, 2.4, 34.7, 41.1), *ἀσχυρος* ('ურისხველი', 19.3), *ἐμπειρία* ('ყოვლისმომცველი', 28.4), *ὁμοισία* ('ერთსულოვნება', 'თანხმობა', 9.4, 11.2, 20.3, 10, 11 და ა.შ.), რომლებიც სპეციფიკურად სტოიკურ ტერმინებად ითვლება.<sup>4</sup>

საკუთრივ ქრისტიანული ტერმინოლოგიიდან წმ. კლიმენტი რომაელი ახსენებს ღმერთს (*θεός*), უფალსა (*κύριος*) და მეუფეს (*δεσπότης*), და მის ეპისტოლეში ღმერთი უფრო ხშირად მამა ღმერთს მიემართება.<sup>5</sup> გარდა ამისა, საეკლესიო იერარქიიდან

1. ევსევი კესარიელი, *ეკლესიის ისტორია*, 3.16; წმ. ეპიფანე კვიპრელი, *მწვალებლობათა წინააღმდეგ*, 30.15; წმ. ფოტიოსი, *ბიბლიოთეკა*, 112-113.

2. ევსევი კესარიელი, *ეკლესიის ისტორია*, 4.23.11.

3. *გამორჩეულ კაცთა ცხოვრება*, 15 (PL 23, სვ. 664).

4. Clément de Rome, 1971, გვ. 32-34. სხვა გავლენებთან დაკავშირებით იხ. იქვე, გვ. 39 და შემდ.

5. დანვრილებით იხ. Clément de Rome, 1971, გვ. 66 და შემდ.



კლიმენტი რომაელი ასახელებს სასულიერო პირთა სამ წოდებას: ეპისკოპოსს, დიაკონსა (42.4,5) და მღვდელს (πρεσβυτερος, სიტყვასიტყვით „უზუცესი“, 1.3, 3.3, 21.6, 44.5, 47.6, 54.2, 57.1), და მასთან, ისევე, როგორც ზოგადად ქრისტიანობის ადრეულ პერიოდში, მღვდელი წარმოადგენს სასულიერო პირის აღმნიშვნელ ზოგად ტერმინს, რომელიც გულისხმობს როგორც საკუთრივ მღვდელს, ისე ეპისკოპოსსაც (შდრ. საქმე, 20.17,28; 1ტიმ. 3.2, 5.17).<sup>1</sup> ხშირად არის ნახსენები ღვთისმსახურება და ღვთისმსახურნი, ზოგჯერ ზოგადი მსახურების, არაერთგან კი ლიტურგიკული მნიშვნელობითაც (შდრ. 8.1, 9.2,4, 20.10, განსაკუთრებით კი 32.2, 34.5,6, 40.2,5, 41.1,2, 43.4, 44.2,3,6).

წმ. კლიმენტის პირველი ეპისტოლე კორინთელთა მიმართ დაცულია ორ ძირითად ბერძნულ ნუსხაში. ესენია: (ა) ბრიტანეთის მუზეუმის **Codex Alexandrinus** (V ს.). იგი შეიცავს ახალ აღთქმას, რომელსაც *გამოცხადების* წიგნის შემდეგ უშუალოდ მოსდევს ბოლონაკლული განსახილველი წერილი (მას დასასრულში აკლია ერთი ფურცელი, კერძოდ, 57.7-63.4). წერილის შემდეგ ხელნაწერში წარმოდგენილია წმ. კლიმენტი რომაელის ე.წ. მეორე ეპისტოლეს ნაწილი და ფსალმუნები. ამ ნუსხაზე დაყრდნობით გამოქვეყნდა ეპისტოლეს პირველი გამოცემა იუნიუსის მიერ (1633 წ.). (ბ) **Codex Hierosolymitanus** 54 (1056 წ., ყოფილი **Codex Constantinopolitanus**). იგი დაცულია იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში. ხელნაწერში კლიმენტის პირველი ეპისტოლეს გარდა, დაცულია მისი მეორე ეპისტოლეც, *ბარნაბას ეპისტოლე*, *დიდაქე* და წმ. ეგნა-

---

1. პროტოპრესვიტერი გ. ზვიადაძე ამ საკითხთან დაკავშირებით იმონებს ეფრემ მცირის მიერ წმ. დიონისე არეოპაგელის ნაშრომებზე დართულ განმარტებას: „შეისწავე, ვითარმედ მაშინ ჯერეთ ეპისკოპოსთა მღვდელ უწოდიან და მღვდელთა ეპისკოპოს, რამეთუ არღა განკუთვნილ იყვნეს სახელნი ესე“, იხ. სამსონ ენუქაშვილი. *პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი). შრომები*. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1961, გვ. 261 (იხ.: წმ. კლიმენტი რომაელი. *კორინთელთა მიმართ პირველი ეპისტოლე*. ტექსტი ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო თბილისის სასულიერო აკადემიის პრორექტორმა, დეკანოზმა გიორგი ზვიადაძემ. თბილისი: მერიდიანი, 1998, გვ. 9). შდრ. ასევე, Clément de Rome, 1971, გვ. 83-84.

ტი ანტიოქიელის ეპისტოლეთა ინტერპოლირებული ტექსტი. ამ ხელნაწერზე დაყრდნობით ფილოთეოს ბრიენიოს ნიკომედიელის მიერ კონსტანტინოპოლში გამოცემა კლიმენტის ორივე ეპისტოლე სრული სახით (1875 წ.). ტექსტის კვლევისათვის მეტად მნიშვნელოვან წყაროებს წარმოადგენენ ლათინური,<sup>1</sup> სირიული<sup>2</sup> და კოპტური<sup>3</sup> თარგმანებიც.<sup>4</sup>

ტექსტის თავებად დაყოფა ეკუთვნის ჟან-ბატისტ კოტელერიუსს (Jean-Baptiste Cotelier, 1629-1686 წწ.).<sup>5</sup> წერილის ტექსტი შეტანილია *Patrologia Graeca*-შიც: PG 1, სვ. 199-328. ბერძნული ტექსტის კრიტიკული გამოცემისათვის იხ. Clément de Rome. *Épître aux Corinthiens*. Introduction, texte, traduction, notes et index par A. Jaubert. Sources Chrétiennes 167. Paris: Éditions du Cerf, 1971.

წმ. კლიმენტი რომაელის თხზულებათა ქართულ თარგმანებს შორის გვხვდება როგორც ძველი, ისე ახალი თარგმანებიც.

---

1. ლათინური თარგმანი დაცული იყო XI ს-ის ხელნაწერში, რომელიც ამჟამად ნამურის სემინარიაში ინახება. მისი ტექსტისათვის იხ. Germanus Morin. *Sancti Clementis Romani ad Corinthos epistulae, versio latina antiquissima*, გამოცემაში: *Anecdota Maredsolana*. ტ. II. Maredsous, 1894. მკვლევართა თანახმად, თარგმანი მეტად სიტყვასიტყვითა და II ს-ის ხელნაწერიდან უნდა იყოს თარგმნილი.

2. სირიული თარგმანი დაცულია ერთადერთ ხელნაწერში, რომელიც გადანერილი იქნა ედესაში 1169-1170 წწ. იგი ამჟამად კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ინახება. მისი გამოცემისათვის იხ. R.L.Bensley, R.H. Kennett. *The Epistles of St. Clement to the Corinthians in Syriac*. London, 1899, გვ. 1-50.

3. კოპტური თარგმანი დაცულია 2 ხელნაწერში. პირველი მათგანი ნაკლულია (აკლია 5 ფურცელი, 34.5-42.2). იგი დაცულია IV ს-ის ნუსხაში და გადანერილია შენუტი ატრიბელის თეთრ მონასტერში, ამჟამად ინახება ბერლინის სამეფო ბიბლიოთეკაში (მისი გამოცემისათვის იხ. Carl Schmidt. „Der erste Clemensbrief in altkoptischer Übersetzung“. *Texte und Untersuchungen zur Geschichte der altchristlichen Literatur*. Vol. 32/1. Leipzig, 1908). მეორე, შესრულებული VII ს-ში პაპირუსზე, დაცულია სტრასბურგში (მისი გამოცემისათვის იხ. Friedrich Rösch. *Bruchstücke des ersten Clemensbriefes; nach dem Achmimischen Papyrus der Strassburger Universitäts- und Landesbibliothek. Mit biblischen Texten derselben Handschrift*. Strasburg, 1910).

4. დაწვრილებით განსახილველი ტექსტის გამოცემათა შესახებ იხ. *Clavis Patrum Graecorum*. Vol. 1: „Patres Antenicani“. Cura et studio M. Geerard. Turnhout: Brepols, 1983, ტ. 1, გვ. 5-6, N 1001.

5. იხ. *SS. Patrum qui temporibus apostolicis floruerunt, Barnabæ, Clementis, Hermae, Egnatii, Polycarpi opera edita et non edita, vera et supposita, graece et latine, cum notis*. Paris, 1672.

განსახილველი ეპისტოლეს თანამედროვე ქართული თარგმანისათვის იხ.: წმ. კლიმენტი რომაელი. *კორინთელთა მიმართ პირველი ეპისტოლე*. ტექსტი ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო თბილისის სასულიერო აკადემიის პრორექტორმა, დეკანოზმა გიორგი ზვიადაძემ.<sup>1</sup> რაც შეეხება ძველ თარგმანებს, მათ შორისაა *კლემენტოს რომის პაპის ეპისტოლე იაკობ მოციქულისადმი*,<sup>2</sup> რომელიც არ ითვლება ავთენტურ ნაშრომად. მოლნეულია, ასევე, *კლემენტოს რომის პაპის წამების ეფთვიმე მთანმინდელის თარგმანი*,<sup>3</sup> და *კლემენტოს რომის პაპის წამების სვინაქსარი*, რომელიც შეტანილია გიორგი მთანმინდელის *დიდ სვინაქსარში*.<sup>4</sup>

---

1. წმ. კლიმენტი რომაელი. *კორინთელთა მიმართ პირველი ეპისტოლე*. ტექსტი ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო თბილისის სასულიერო აკადემიის პრორექტორმა, დეკანოზმა გიორგი ზვიადაძემ. თბილისი: მერიდიანი, 1998.

2. ეპისტოლეს ტექსტი დაცულია A 70, S 382, S 527 და სხვა ხელნაწერებში (დანვრილებით იხ. ენრიკო გაბიძაშვილი. *ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია*. თბილისი, 2004, გვ. 256, N 674; იხ. ასევე, კ.კეკელიძე. *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*. ტ. I. თბილისი: მეცნიერება, 1980, გვ. 447).

3. წამების ტექსტი დაცულია A 70, A 382, A 518 და სხვა ხელნაწერებში (იხ. გაბიძაშვილი, 2004, გვ. 256, N 673).

4. „თუესა ნოენბერსა კე. წმიდისა კლემენტოს პრომთა პაპისა და პეტრე მაციქულისა (sic!) მონფისა, რომელი შემდგომად მისსა იქმნა პაპ პრომისა და ინამა ქერსოვნეთს ტრაიანეს ზე მეფისა“, *საქართველოს ეკლესიის კალენდარი* 2003. გამომც. მ. დოლაქიძე. თბილისი, 2002, გვ. 249. იხ. ასევე, გაბიძაშვილი, 2004, გვ. 256, N 675.



# პირველი ეპისტოლე კორინთელთა მიმართ

## პროლოგი

რომში მსხემი<sup>1</sup> ღვთის ეკლესია კორინთოს ღვთის ეკლესიას, უფალი ჩვენი იესო ქრისტეს მიერ ღვთის ნებით მოწოდებულ და განწმენდილ ადამიანებს (1კორ. 1.2; რომ. 1.7): გიმრავლოთ მადლი და მშვიდობა (1პეტრე, 1.2; 2პეტრე, 1.2; იუდა, 1.2) ყოვლისმპყრობელი ღმერთის, იესო ქრისტეს მიერ.

## თავი I

### ამბოხი კორინთოს ეკლესიაში

1. მოულოდნელი და ჩვენს თავს ერთმანეთის მიყოლებით დამტყდარი უბედურებანი და განსაცდელნი,<sup>2</sup> ძმებო, როგორც ვფიქრობთ, იყო მიზეზი იმისა, რომ დაგვიანებით მოვუტრიალდით საკამათო საკითხებს, რომლებიც აღიძრა თქვენთან, საყვარელნო, და ღვთის რჩეულთათვის შეუფერებელ, უცხო,

---

1. παροικισμα სიტყვასიტყვით გულისხმობს უცხოდ, ხიზნად მყოფს. ავტორი, როგორც ჩანს, მიუთითებს იმაზე, რომ ყველა ქრისტიანი ამქვეყნად ხიზანია. ამის შესახებ ნათქვამია მოციქულ პეტრეს პირველ ეპისტოლეში, რომელშიც იგი მორწმუნეებს შეაგონებს: „საყვარელნო, შეაგონებთ, როგორც ხიზნებსა და მწირებს. განემორეთ ხორციელ გულისთქმებს, რომლებიც სულის წინააღმდეგ იბრძვიან“ (1პეტრე, 2.11; შდრ.: „მოშიშებით გაატარეთ თქვენი ხიზნობის დრო“, იქვე, 1.17; ებრ. 11.13). ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. წმ. კლიმენტი რომაელის მეორე ეპისტოლე (5.1), ეპისტოლე დიოგნეტოსის მიმართ (5.5, 6.3,7), ჰერმასის მწყემსი (3.1.1-6).

2. ამ გარემოებას მკვლევარები უკავშირებენ ქრისტიანთა დევნასა და წამებას იმპერატორ დომიციანეს ზეობის ხანაში (81-96 წწ.).

დანაშაულებრივ და უწმინდურ ამბოხს, რომელიც რამდენიმე წინდაუხედავმა და თავნება ადამიანმა ისეთ სიშლეგემდე აღან-  
 თო, რომ დიდად შეილახა პატივსაცემი, საყოველთაოდ ცნობი-  
 ლი და ყველა ადამიანისთვის ღირსსაყვარელი თქვენი სახელი.<sup>1</sup>  
 2. რამეთუ განა თქვენთან ნამყოფს ვის არ მოუწონებია თქვენი  
 ყოვლადსათნო<sup>2</sup> და მარადჭეშმარიტი რწმენა? ან არ გაცებ-  
 ულა თქვენი ქრისტესმიერი ბრძნული და ჯეროვანი კეთილმსა-  
 ხურებით? ან არ განუცხადებია საჯაროდ თქვენი სტუმართ-  
 მოყვარეობის გულუხვი წესის შესახებ? ან არ განუდიდება  
 სრულყოფილი და მტკიცე ცოდნა? 3. თქვენ მიუყერძოებლად  
 ასრულებდით ყველაფერს, დადიოდით ღვთის კანონებით, ემ-  
 ორჩილებოდით თქვენს წინამძღვრებს<sup>3</sup> და საკადრის პატივს მი-  
 აგებდით თქვენთან მყოფ მღვდლებს.<sup>4</sup> ყმანვილებს თქვენ ზო-  
 მიერებისა და კეთილმსახურების ცოდნა მიეცით, ქალებს კი  
 მოუწოდეთ ყველაფრის უმნიკვლო, პატიოსანი და მართალი  
 სინდისით კეთებისაკენ, ასწავლეთ მათ საკუთარი ქმრების ჯე-  
 როვნად სიყვარული, რათა მორჩილების კანონით მცხოვრებნი,  
 ისინი სათანადოდ გასძლოლოდნენ საშინაო საქმეებს და სრული  
 კეთილგონიერებით დაეჭირათ თავი.<sup>5</sup>

## თავი II

### კორინთოს ეკლესიის სასულიერო პირთა შესხმა

1. თქვენ ყველანი იყავით თავმდაბალნი და არა ყოყორნი,  
 უფრო მეტად მორჩილნი, ვიდრე დამმორჩილებელნი, ვისთვისაც  
 უფრო საამო იყო გაცემა, ვიდრე მიღება (საქმე, 20.35), და ვინც

1. იგულისხმება, წარმართთა მხრიდან. იხ. აქვე, 47.7, ასევე, წმ. ეგნატი  
 ანტიოქიელის *ეპისტოლე ტრალისელთა მიმართ*, 8.2.

2. *πανάρητος*.

3. *τοῖς ἱγυσαμίσις* სიტყვასიტყვით 'წინამძღოლი'. აქ შეიძლება მიუთი-  
 თებდეს სასულიერო პირთა, წინამძღვართა შესახებ.

4. *ὁ παρεσβύτερος* ნიშნავს როგორც ჩანს, გულისხმობს ორივე მნიშვნელო-  
 ბას ერთად, რადგან ადრეულ ხანებში მღვდლად, ჩვეულებრივ, ასაკოვან  
 ადამიანებს ადგენდნენ, ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ-  
 ბოხი კორინთოში ეხებოდა საეკლესიო წესრიგს.

5. შდრ. 21.6-7.

კმარობდა ქრისტეს<sup>1</sup> მიერ ბოძებულს. მისი სიტყვების გულმოდგინედ მსმენელებმა, ისინი გულში დაიმარხეთ და თვალწინ გედგათ მისი ვნებულებანი. 2. ამიტომაც ღრმა და მტკიცე მშვიდობა და დაუსრულებელი სწრაფვა სიკეთისმოქმედებისაკენ მოგემადლათ ყველას, და ყველა თქვენგანზე გულუხვად გადმოიღვარა სულიწმინდის მადლი. 3. წმინდა წადიერებით, კეთილი გულმოდგინებით, ღვთისსათნო სასოებით აღსავსენი იწვდიდით ყოვლისმპყრობელი ღმერთისაკენ თქვენს ხელებს და ევედრებოდით მას, ყოფილიყო მონყალე, თუკი უნებურად შესცოდეთ რამე. 4. იბრძოდით დღისით და ღამით მთელი საქმოსათვის (შდრ. 1პეტრე, 2.17, 5.9), რომ მოშიშებით და სინდისიერებით გადარჩენილიყო ღვთის რჩეულთა რიცხვი. 5. იყავით წრფელნი და შეუმღვრეველნი, და არ გაგაჩნდათ გულღვარძლიანობა ერთმანეთის მიმართ. 6. ყოველნაირი ამბოხი და ყოველნაირი განხეთქილება საძაგელი იყო თქვენთვის. თქვენ მწუხარებდით მოყვასთა გარდაცდომებზე, მათ ნაკლს კი საკუთარ ნაკლად მიიჩნევდით. 7. დაუზარელნი იყავით ყოველგვარ სიკეთისმოქმედებაში, მზადმყოფნი ყოველგვარი კეთილი საქმისთვის (ტიტ. 3.1; 2ტიმ. 2.21). 8. ყოვლადსახიერი და პატივსაცემი მოქალაქობით შემკულნი ყველაფერს ღვთისმოშიშებით სჩადიოდით. უფლის განკარგულებანი და სჯულდებანი<sup>2</sup> (მალ. 3.24; 1მეფ. 30.25) თქვენი გულის ფიცარზე იყო დაწერილი (იგავ. 7.2-3; 2კორ. 3.3).

### **თავი III** **ამბოხის მიზეზი**

1. ყოველგვარი დიდება და ბედნიერება<sup>3</sup> გებოძათ თქვენ და

---

1. ალექსანდრიულ ხელნაწერსა და ლათინურის გამოცემაში (J.B. Lightfoot. *The Apostolic Fathers*. London, 1907) აქ მოცემულია „ღვთისა“ (θεῖον), იერუსალიმურ ნუსხაში, ლათინურ და კოპტურ თარგმანებში კი ამ მონაკვეთში მოცემულია „ქრისტე“ (Clément de Rome, 1971, გვ. 100), რასაც წინადადების მომდევნო სტრიქონებიც ეთანხმება.

2. τὰ πρὸς τὰ γράμματα καὶ δικαιώματα.

3. πλάτυσμός, თუმცა კი სიტყვასიტყვით ნიშნავს 'სიხალავათეს', 'გაფართოებას', გულისხმობს გულის გაფართოებას, სიხარულს, ბედნიერებასაც. ეს სიტყვა ახალ აღთქმაში არ გვხვდება. იგი მსგავსი მნიშვნელობით რამდენჯერმე დასტურდება ძველ აღთქმაში, კერძოდ, მეფეთა წიგნში (2მეფ. 22.20,37),

აღსრულდა, რაც დაწერილი იყო: „ჭამდა და სვამდა და გათქვირდა და ჩამრგვალდა და განიშორა სატროფო“ (2სჯ. 32.15). 2. აქედან მომდინარეობს შური და ცილობა, განხეთქილება და ამბოხი, დევნა და შფოთი, ომი და ტყვეობა. 3. აღიძრნენ უპატიონი პატივდებულთა წინააღმდეგ (ესაია, 3.5), უჩინონი წარჩინებულთა წინააღმდეგ, უგუნურნი გონიერთა წინააღმდეგ, ყმანვილები უხუცესთა წინააღმდეგ. 4. ამის გამო განდგა შორს სიმართლე (ესაია, 59.14) და მშვიდობა, მიატოვა თითოეულმა შიში ღვთისა და თითქმის დაბრმავდა თავის რწმენაში, აღარ ცხოვრობდა მის სჯულდებათა მცნებებით (შდრ. ლევ. 18.3, 20.23), აღარ მოქალაქობდა იმ მოვალეობის<sup>1</sup> შესაბამისად, რომელიც ქრისტეს მიმართ ჰქონდა, არამედ თითოეული მათგანი თავისი გულის უკეთურ გულისთქმებს აჰყვავდა და გულში ჩაიდო უსამართლო და უწმინდური შური, რომლის მეშვეობითაც შემოვიდა სიკვდილი სამყაროში (სიბრძ. 2.24).

## თავი IV

### შური ძველ აღთქმაში

1. რამეთუ დაწერილია: „და რამდენიმე დღის შემდეგ შესწირა ღმერთს კაენმა მსხვერპლი მიწის ნაყოფთაგან და თავად აბელმაც შესწირა ზვარაკი ცხვართა პირმშოთაგან და მათი ქონიდან. 2. და მოჰხედა ღმერთმა აბელს და მის ძღვენს, კაენს და მის ზვარაკს კი არ მოჰხედა. 3. მეტად გამწარდა კაენი და მისი სახე მოიღრუბლა. 4. უთხრა ღმერთმა კაენს: ‘რატომ დამწუხრდი? რატომ მოიღრუბლა სახე შენი? განა შეცოდება არ არის ის, თუ სწორად შესწირე, მაგრამ სწორად არ გაჰყავი? 5. დამშვიდდი. შენთან დაბრუნდება იგი და შენ იქნები მისი გამგებელი’.<sup>2</sup> 6. და უთხრა კაენმა აბელს, თავის ძმას: ‘გავიღეთ მინდორში’. და როდესაც ისინი მინდორში იმყოფებოდნენ, აღსდგა კაენი თავის ძმაზე, აბელზე, და მოკლა იგი“ (დაბ. 4.3-8). 7. ხედავთ, ძმებო,

---

ფსალმუნებში (17.20, 117.5, 118.45) და ზირაქის სიბრძნეში (47.12).

1. τὸ καθήκον. შდრ. 41.3.

2. παρὸς τὸ ἢ ἀποστρεφῆ αὐτὸν, καὶ τὸ ἄρξειν αὐτὸν, სხვაგვარად: შენი მსხვერპლი დაგიბრუნდება და შენ კვლავ იქნები მისი მფლობელი.



შურმა და ცილობამ ძმის მკვლელობა მოიმოქმედა. 8. შურის გამო ჩვენი მამა იაკობი გაიქცა პირისაგან ესავისა, თავისი ძმისა (დაბ. 27.41 და შემდ.). 9. შურმა გახადა იოსები სიკვდილამდე დევნილი და მონობამდე მიიყვანა იგი (დაბ. 37.2 და შემდ.). 10. შურმა აიძულა მოსე, გაქცეულიყო პირისაგან ფარაონისა, ეგვიპტის მეფისა, როდესაც მოისმინა თავისი თანამეტომისგან: „ვინ დაგაყენა შენ მსაჯულად და მოსამართლედ ჩვენზე? ხომ არ გინდა მომკლა ისე, როგორც გუშინ ეგვიპტელი მოკალი?“ (გამოსლ. 2.14; საქმე, 7.27). 11. შურის გამო იყვნენ აარონი და მარიამი ბანაკს გარეთ დაბანაკებულნი<sup>1</sup> (რიცხ. 12.2,10-15). 12. შურმა დათანი და აბირონი ცოცხალნი ჩაიყვანა ჯოჯოხეთში იმის გამო, რომ ისინი აუჯანყდნენ მოსეს, ღვთის მსახურს (რიცხ. 16.33). 13. შურის გამო დავითმა არა მხოლოდ თანატომელთაგან განიცადა არაკეთილგანწყობა, არამედ დევნილი იყო საულისგანაც, ისრაელის მეფისგან (1მეფ. 18.8-29).

## თავი V

### შური მოციქულთა მიმართ

1. მაგრამ, მივანებოთ თავი ძველ მაგალითებს, გადავიდეთ უახლოეს მოასპარეზებებზე,<sup>2</sup> ავილოთ ჩვენი თაობის შთამბეჭდავი მაგალითები. 2. შურისა და ცილობის გამო იდევნებოდნენ და სიკვდილამდე ასპარეზობდნენ ყველაზე დიდი და ყველაზე მართალი ეკლესიის ბურჯები<sup>3</sup> (გალ. 2.9). 3. წარმოვიდგინოთ ჩვენს თვალწინ სახიერი მოციქულები: 4. პეტრე, რომელმაც უსამართლო შურის გამო არა ერთი ან ორი, არამედ მრავალი ტანჯვა დაითმინა და, ამგვარად, მონაშეობის შემდეგ,<sup>4</sup> გაემარ-

1. რიცხვთა წიგნში მხოლოდ ბანაკის გარეთ დაბანაკებული მარიამია ნახსენები (შდრ. რიცხ. 12.14-15).

2. ὁ ἀληθὴς, სიტყვასიტყვით: 'ათლეტი', 'მოღვაწე'.

3. ეკლესიის ბურჯი (სვეტი) ჩვეულებრივ მიემართება მარტვილებსა და აღმსარებლებს. ამის მაგალითს იძლევიან ვესევი კესარიელი (*ეკლესიის ისტორია*, 5.1.17, 6.41.14), წმ. ბასილი კესარიელი (ეპ. 243) და წმ. გრიგოლ ნოსელი (*მოსეს ცხოვრება*, 2.184), იხ. Clément de Rome, 1971, გვ. 108, შენ. 1.

4. ახალი აღთქმის შემდეგ (იოანე, 21.18-19) პეტრე მოციქულის მარტვილობის შესახებ ეს მონაკვეთი ყველაზე ძველ მონაშეობად ითვლება (იხ. Clément de Rome, 1971, გვ. 108, შენ. 2).

თა მისთვის განკუთვნილი დიდების ადგილისაკენ.<sup>1</sup> 5. პავლემ მის მიმართ შურისა და მტრობის გამო მოთმინების ჯილდო მიიღო: 6. მან ბორკილები შვიდგზის ატარა,<sup>2</sup> იყო დევნილი, ქვით ჩაქოლილი (შდრ. 2კორ. 11.24-25). მანვე, მქადაგებელმა აღმოსავლეთსა და დასავლეთში, თავისი რწმენის გამო უზარმაზარი დიდება მოიხვეჭა; 7. იგი მთელ მსოფლიოს ასწავლიდა სიმართლეს, მივიდა დასავლეთის საზღვრამდე<sup>3</sup> და მოწამეობა მიიღო მთავართა წინაშე, რის შემდეგაც დატოვა სასწუთრო და წმინდა ადგილისაკენ გაემართა. იგი მოთმინების უდიდეს ნიმუშად იქცა.

## თავი VI

### შური მარტვილთა მიმართ, შურის შედეგები

1. ამ ადამიანებს, რომლებიც წმინდად მოქალაქობდნენ, შეუერთდა რჩეულთა დიდი სიმრავლე, რომელთაც შურის გამო მრავალი ტანჯვა-წამება და განსაცდელი დაითმინეს და საუკეთესო მაგალითად იქცნენ ჩვენთვის. 2. შურის გამო იდეგნებოდნენ ქალები, დანაოსის ასულები და დირკები,<sup>4</sup> რომლებმაც საშინელი და უწმინდური შეურაცხყოფა დაითმინეს, მაგრამ განვლეს რწმენის მტკიცე გზა და სხეულით უძლურებმა შესანიშნავი ჯილდო დაიმსახურეს. 3. შურმა დააპორა ცოლები ქმრებს და დაამახინჯა ჩვენი მამის, ადამის ნათქვამი: „ახლა ეს ძვალი ძვალთაგანია ჩემი და ხორცი ხორცთაგანი“

---

1. იგულისხმება სასუფეველი, სამოთხე.

2. ამის შესახებ სხვა წყაროებიდან ცნობილი არ არის.

3. იგულისხმება რომი, როგორც აღმოსავლეთ-დასავლეთის საზღვარი, ან ესპანეთი, რომლის შესახებაც აღნიშნულია რომ. 15.24-ში.

4. დანაიდები ანუ დანაოსის ქალიშვილები და დირკე ბერძნული მითოლოგიის გმირები არიან. ზოგი მკვლევარი, კერძოდ იაკობსონი, მიიჩნევს, რომ ამ ქალთა მოხსენიება წარმოადგენს გადამწერის შეცდომას, რომელმაც ხელნაწერის ველზე ჩანერილი ეს სახელები ტექსტში შეიტანა. ენოპფის მოსაზრების თანახმად კი ეს სტრიქონი ემყარება იმას, რომ ქრისტიან მარტვილებს ამფითეატრში დანაოსის ასულებად და დირკეებად მოსაგდნენ, ამასთან დირკე მიბმული იყო ხარის რქებზე (იხ. R. Knopf. *Der erste Clemensbrief untersucht und herausgegeben*. TU 20/1. Leipzig: Hinrichs, 1899; Clément de Rome, 1971, გვ. 109, შენ. 9).

(დაბ. 2.23). 4. შურმა და განხეთქილებამ დიდი ქალაქები და-  
ამხო და დიდი ერები ძირფესვიანად გაანადგურა.

## **თავი VII**

### **მონღღბა მონანიებისაკენ**

1. ამას, საყვარელნო, არა მხოლოდ თქვენ გწერთ შეგო-  
ნებისათვის, არამედ საკუთარ თავსაც შევახსენებთ. რადგან  
ჩვენც იმავე ასპარეზზე ვიმყოფებით და იგივე ასპარეზობა  
გველოდება (ფილიპ. 1.30). 2. ამიტომ, დავტოვოთ ფუჭი და  
ამაო საზრუნავები, მივეახლოთ ჩვენთვის გადმოცემულ დი-  
დებულ და პატივდებულ კანონს, 3. და დავინახოთ, რა არის  
კარგი და რა არის საამო და შესანყნარებელი ჩვენი შემოქ-  
მედის წინაშე (1ტიმ. 2.3). 4. ჩავუკვირდეთ ქრისტეს სისხლს  
და შევიმეცნოთ, როგორი ძვირფასია იგი მისი მამისათვის<sup>1</sup>  
(1პეტრე, 1.18-19), შევიმეცნოთ, რომ ჩვენი ხსნისათვის დაიღ-  
ვარა იგი და მთელს სამყაროს მოუტანა მონანიების მადლი. 5.  
გადავავლოთ თვალი ყველა თაობას და გავაცნობიეროთ, რომ  
თაობიდან თაობამდე მეუფე იწყნარებდა ყველა იმ ადამიან-  
ის მონანიებას, ვინც კი მისკენ მოიქცეოდა (სიბრძ. 12.10). 6.  
ნოემ იქადაგა მონანიების შესახებ და ისინი, ვინც მისი შეის-  
მინა, გადარჩნენ (დაბ. 7.1-23; 1პეტრე, 3.20; 2პეტრე, 2.5). 7.  
იონამ ნინეველებს მათი განადგურების შესახებ აუწყა, მაგრამ  
მათ მოინანიეს თავიანთი ცოდვები, მოიმწყალობნეს ღმერთი  
ლოცვებით და, თუმცა კი ღვთისაგან შორიელნი იყვნენ, ხსნა  
მოიპოვეს (იონა, 3.4-10; მათე, 12.41).

---

1. τὸ πατρὶς αὐτῶν ἱερუსალიμῦρ ხელნაწერში მოცემულია, როგორც  
„ღმერთისთვის, მისი მამისთვის“ (τὸ πατρὶς αὐτῶν τὸ θεῶν), ხოლო ალექ-  
სანდრიულში – „თავისი ღმერთისა და მამისათვის“ (τὸ θεῶν καὶ πατρὶς  
αὐτῶν). ბერძნული ტექსტის კრიტიკული გამოცემა ამ იკითხვისებთან და-  
კავშირებით იმონმებს ახალ აღთქმას: რომ. 15.6; 2კორ. 1.3; 1პეტრე, 1.3;  
გამოცხ. 1.6 (იხ. Clément de Rome, 1971, გვ. 110-111).

## თავი VIII

### მონოდება მონანიებისაკენ (გაგრძელება)

1. სულიწმინდის მიერ ქადაგებდნენ მონანიების შესახებ ღვთის მადლის მსახურნი.<sup>1</sup> 2. თავად ყოველთა მეუფეც მონანიების შესახებ ფიცის დართვით საუბრობდა: „ცოცხალი ვარ, – ამბობს უფალი, – არ მინდა ცოდვილის სიკვდილი, არამედ მონანიება“ (ეზეკ. 18.23, 33.11). და დაუმატა აზრი სახიერი: „შეინანეთ, ისრაელის სახლო, თქვენი უსჯულოება“ (ეზეკ. 18.30), „უთხარი შვილებს ჩემი ხალხისა: თუნდაც რომ იყვნენ თქვენი ცოდვანი დედამინიდან ზეცამდე, და თუნდაც რომ იყვნენ ისინი მენამულზე უფრო წითელნი და ძაძაზე უფრო შავნი (ესაია, 50.3; გამოცხ. 6.12), და მოიქცეთ ჩემსკენ მთელი გულით და თქვათ: „მამაო!“, შევისმენ თქვენსას, როგორც წმინდა ხალხისას“ (ესაია, 1.18; ფსალ. 49.15; იერ. 3.19,22). 4. სხვა ადგილას კი ასე ამბობს: „განიბანეთ და განიწმინდეთ; განიშორეთ ჩემს თვალთა წინაშე უკეთურება თქვენი სულეებიდან, დასცხვრით თქვენი უკეთურებებისაგან, ისწავლეთ სიკეთის კეთება, ეძიეთ სამართალი, შეენიეთ დაჩაგრულს, განიკითხეთ ობოლი, გამოესარჩლეთ ქვრივს, და მოდით და განვსაჯოთ, – ამბობს უფალი, – და თუ იქნება თქვენი ცოდვები, როგორც მენამული, თოვლივით გავათეთრებ, და თუ იქნება როგორც წითელი, მატყლივით გავათეთრებ; თუ მოინადინებთ და შეისმენთ ჩემსას, მიწის დოვლათით დატკებებით, და თუ არ მოისურვებთ და არ შეისმენთ ჩემსას, მახვილი გაგჟღეჭთ, რადგანაც უფლის ბაგემ გითხრათ ეს“ (ესაია, 1.16-20). 5. მას სურს, ყველა თავისი საყვარელი ქმნილება მონანიების მოზიარე გახადოს, და ეს დაამტკიცა თავისი ყოვლისმპყრობელური ნებით.

## თავი IX

### წმინდან ღვთისმსახურთა ჯილდო

1. ამიტომ, შევისმინოთ მისი ბრწყინვალე და დიდებული ნება და, მისი წყალობისა და სიკეთის მავედრებელნი, შევუფ-

1. οἱ λειτουργοί. როგორც მომდევნო სტრიქონებიდან ჩანს, იგულისხმებიან წინასწარმეტყველები. შდრ. ასევე, 9.2-3.

რდეთ და მივიქცეთ მისი გულმონყალებისაკენ, მივატოვოთ ფუჭი შრომა, შუღლი და შური, რომელსაც სიკვდილამდე მიჰყავს. 2. ვუცქიროთ მათ, ვინც მის ბრწყინვალე დიდებას სრულყოფილად ემსახურა (შდრ. 2პეტრე, 1.17). 3. ავილოთ ენოქი, რომელიც თავისი მორჩილების გამო მართალ ადამიანად იქნა მიჩნეული, მიიცვალა და მისი სიკვდილი ვერავინ იხილა (დაბ. 5.24; ებრ. 11.5). 4. ნოეც, მისი მსახურების გამო, მიჩნეული იქნა ერთგულ ადამიანად; მან მსოფლიოს ხელახალი დაბადება<sup>1</sup> უქადაგა,<sup>2</sup> მისი მეშვეობით გადაარჩინა მეუფემ კიდობანში ერთსულოვნებით შესული ცხოველები (დაბ. 6.8-7.23; ებრ. 11.7; 2პეტრე, 2.5).

## თავი X აბრაამის მაგალითი

1. აბრაამი, მეგობრად წოდებული<sup>3</sup> (იაკ. 2.23; შდრ. სიბრძ. 7.27), ერთგულ ადამიანად იქნა მიჩნეული ღვთის სიტყვებისადმი თავისი მორჩილების გამო. 2. მორჩილების გამო იგი გამოვიდა თავისი ქვეყნიდან, თავისი სანათესაოდან, თავისი მამის სახლიდან იმისათვის, რომ მცირე ქვეყნის, უძლური სანათესაოს და პატარა სახლის მიტოვებით მემკვიდრეობად ღვთის აღთქმები მიეღო. რადგან ასე უთხრა მას: 3. „გამოდი შენი ქვეყნიდან, შენი სანათესაოდან და შენი მამის სახლიდან ქვეყნისაკენ, რომელსაც მე გიჩვენებ, და გაქცევ შენ დიდ ტომად და გაკურთხებ და განვადიდებ შენს სახელს და კურ-

---

1. ἢ παλιγγευσία ძველ აღთქმაში ნახსენები არ არის, ახალ აღთქმაში კი იგი ორჯერ არის მოცემული (მათე, 19.28; ტიტ. 3.5). წმ. გიორგი მთაწმინდელის რედაქციის ახალ აღთქმაში მის შესატყვისად გვხვდება, შესაბამისად, „მერმესა მას შობასა, რაჟამს დაჯდეს ძე კაცისაჲ საყდართა დიდებისა თვისისათა“ და „წყალობითა თვისითა მიჴსნნა ჩუენ, ბანითა მით მეორედ შობისაჲთა, განახლებითა (ἀνακαινίσσεως) სულისა წმიდისაჲთა“.

2. წმ. თეოფილე ანტიოქიელის თანახმად, „ნოე, რომელმაც წინასწარ განუცხადა თავის თანამედროვეებს მომავალი წარღვნის შესახებ, წინასწარმეტყველებით ეუბნებოდა მათ: მიდით, ღმერთი თქვენ მონანიებისკენ მოგიწოდებთ“ (იხ. ავტოლიკეს მიმართ, 3.19), და ამგვარად მათი ცხოვრების წესის შეცვლისაკენ მოუწოდებდა.

3. იგულისხმება, ღვთის მეგობრად სახელდებული. შდრ. 17.2.

თხეული იქნები. და ვაკურთხებ შენს მაკურთხეველებს და დავ-  
წყევლი შენს მანყევარებს, და კურთხეული იქნება შენში დე-  
დამინის ყველა ტომი“ (დაბ. 12.1-4). 4. და კვლავ, ლოთისგან  
გამოყოფის შემდეგ უთხრა მას ღმერთმა: „აღიხილე თვალნი  
შენნი, გაიხედე იმ ადგილიდან, სადაც ახლა ხარ, ჩრდილო-  
ეთისაკენ და სამხრეთისაკენ, აღმოსავლეთისაკენ და ზღვი-  
საკენ,<sup>1</sup> რადგან მთელს მიწას, რომელსაც ხედავ, შენ მოგცემ  
მას, და შენს შთამომავლობას უკუნისამდე. და გავხდი შენს  
შთამომავლობას, როგორც ქვიშას დედამიწისა. თუკი ვინმე  
შესძლებს დედამიწის ქვიშის დათვლას, შენი შთამომავლობაც  
აღირიცხება“ (დაბ. 13.14-16). 6. და ისევ ამბობს: „გამოიყ-  
ვანა ღმერთმა აბრაამი და უთხრა მას: ‘აღიხილე ცისაკენ და  
აღრიცხე ვარსკვლავები, თუკი შესძლებ მათ დათვლას: ასე  
იქნება შენი შთამომავლობა’. და ერწმუნა აბრაამი ღმერთს  
და მიეთვალა ეს მას სიმართლედ“ (დაბ. 15.5-6). 7. რწმენისა  
და სტუმართმოყვარეობისათვის მიეცა მას ძე სიბერეში (დაბ.  
18.2-14, 21.2), და მორჩილების გამო ზვარაკად მიუყვანა იგი  
ღმერთს ერთ-ერთ მთაზე, რომელიც უჩვენა მას (დაბ. 22.2-  
12; შდრ. ებრ. 11.17).

## თავი XI

### ბიბლიური ლოთის და მისი ცოლის მაგალითები

1. სტუმართმოყვარეობისა და კეთილმსახურების გამო ლო-  
თი დახსნილი იქნა სოდომიდან მაშინ, როდესაც მთელი მიმ-  
დებარე მხარე ცეცხლითა და გოგირდით იქნა დასჯილი (შდრ.  
დაბ. 19.1-29; 2პეტრე, 2.6-7); ნათელჰყო მეუფემ, რომ მათ,  
ვინც მასზე ამყარებს იმედებს, იგი არ ტოვებს, ხოლო იმათ,  
ვინც პირს იბრუნებს მისგან, სასჯელსა და ტანჯვას უქვემდე-  
ბარებს. 2. რამეთუ როდესაც ლოთთან ერთად გამოვიდა მისი  
ცოლი, იმის გამო, რომ სხვა შეხედულებისა იყო და არ იყო მას-  
თან ერთსულოვანი, მეუფემ იგი მაგალითად დაუდო ყველას,  
რადგან მარილის სვეტად აქცია (დაბ. 19.1-29; შდრ. 2პეტრე,

---

1. ანუ დასავლეთისაკენ.

2.6-7) და ასე დარჩა დღემდე,<sup>1</sup> რათა ცნობილი ყოფილიყო ყველასათვის, რომ ორგული და ღვთის ძალაში დაეჭვებული ადამიანები ყველა თაობისათვის უფლის მსჯავრის სიმბოლოდ და ნიმუშად იქცევიან (შდრ. იაკ. 1.8).<sup>2</sup>

## თავი XII

### რააბის ვილდო

1. რწმენისა და სტუმართმოყვარეობის გამო ცხონებას ენია მეძავი რააბი. 2. როდესაც ისუ<sup>3</sup> ნავეს ძემ იერიქონში მსტოვრები გაგზავნა, შეიტყო იმ მხარის ხელმწიფემ, რომ მათი ქვეყნის დასაზვერად იყვნენ მისულნი და გაგზავნა ხალხი მათ შესაპყრობად და შეპყრობილთა დასახოცად. 3. მაგრამ სტუმართმოყვარე რააბმა შეინწყნარა ისინი და დამალა ზედა სართულზე, სელის ლერწმებს შორის. 4. როდესაც წარსდგნენ მის წინაშე ხელმწიფის მიერ წარმოგზავნილნი და უთხრეს: „შენთან შემოვიდნენ ჩვენი ქვეყნის დასაზვერად მოსულნი, გამოიყვანე ისინი, მეფე ბრძანებს ასე“, მან უპასუხა: „ადამიანები, რომელთაც ეძებთ, შემოვიდნენ ჩემთან, მაგრამ მაშინვე ნავიდნენ და გზას ადგანან“, და მათ სხვა გზა მიუთითა. 5. კაცებს კი უთხრა: „ცოდნით ვიცი, რომ უფალი ღმერთი თქვენი მოგცემთ ამ ქალაქს, რადგან მისი მაცხოვრებლები თქვენმა შიშმა და ძრწოლამ შეიპყრო. ამიტომ, თუ მოხდება ისე, რომ აიღებთ მას, უვნებლად დამიცავით მეც და მამაჩემის სახლიც“. 6. და უთხრეს მას: „ისე იქნება, როგორც გვითხარი. როგორც კი შეიტყობ ჩვენს მოსვლას, შეკრიბე ყველა შენიანი შენს ჭერქვეშ და ისინი გადარჩებიან, ხოლო

1. ნმ. ირინეოსი, *მწვალებლობათა წინააღმდეგ*, 4.31.3; იოსებ ფლავიოსი, *იუდეველთა სიძველენი*, 1.11.4. ამ უკანასკნელს ეს სვეტი პირადად უნახავს.

2. შდრ. 23.2-3, იხ. ასევე, *ბარნაბას ეპისტოლე* (19.5), *დიდაქე* (4.4), ჰერმასის *მწყემსი* (1.3.4.3).

3. Ἰησοῦς. ნავეს ძის სახელი, ტრადიციულად, ქართულად გადმოაქვთ როგორც „ისუ“, გვიანდელი ბერძნული წარმოთქმის მიხედვით, თუმცა ეს იგივე სახელია, რომელიც მაცხოვარს ერქვა. არაერთ ტექსტში, მათ შორის მოციქულებრივ მამათა თხზულებებშიც, ნავეს ძეს და მის სახელს სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭება და უკავშირდება მაცხოვარს, როგორც მის წინამომას-ნავებელს, რადგან ისუ ნავეს ძე ის ადამიანია, ვინც მორწმუნეები აღთქმულ ქვეყანაში შეიყვანა (შდრ. მაგალითად, *ბარნაბას ეპისტოლე*, 12.8).

ვინც სახლის გარეთ აღმოჩნდება, დაილუპება“. 7. მისცეს მას ნითელი ნიშანი, რომ გადმოეკიდა თავისი სახლიდან (ნავ. 2.1-21; ებრ. 11.31), და ნათელჰყვეს, რომ უფლის სისხლით იქნება ყველა მორწმუნისა და ღვთის მოიმედის გამოხსნა (შდრ. მათე, 21.31).<sup>1</sup> 8. ხედავთ, საყვარელნო, ამ ქალში აღმოჩნდა არა მხოლოდ რწმენა, არამედ წინასწარმეტყველების ნიჭიც.<sup>2</sup>

## **თავი XIII**

### **მონოღება თავმდაბლობისაკენ**

1. მაშასადამე, ვიყოთ თავმდაბალნი, ძმებო, განვიშოროთ ყოველგვარი ყოყორება, ქედმაღლობა, უგუნურება და მრისხანება, და ვაკეთოთ ის, რაც დანერილია. რადგან ასე ამბობს სულიწმინდა: „ნუ იტრაბახებს ბრძენი თავისი სიბრძენით, ნურც ძალმოსილი თავისი ძალით, ნურც მდიდარი თავისი სიმდიდრით, არამედ მოტრაბახემ უფლით იტრაბახოს, ეძიოს იგი და აღასრულოს მსჯავრი და სამართალი“ (იერ. 9.23-24; 1კორ. 1.31; 2კორ. 10.17). განსაკუთრებით გვახსოვდეს უფალი იესოს სიტყვები, რომლებიც მან მაშინ წარმოთქვა, როდესაც სიმშვიდესა და მოთმინებას ასწავლიდა. 2. ამგვარად ამბობდა იგი: „შეიწყალეთ, რათა შეწყალებულნი იყოთ; მიუტყვეთ, რათა მოგეტყვოთ თქვენ; როგორც მოეპყრობით, ისე მოგეპყრობიან თქვენ; როგორც გასცემთ, ისე მოგეცემათ თქვენ; როგორც განიკითხავთ, ისე განიკითხოთ თქვენ; როგორც შეიწყნარებთ, ისე იქნებით შეწყნარებულნი; რომელი საწყაულითაც მიუწყავთ, იმითვე მოგენყვით თქვენ“ (მათე, 5.7, 6.14, 7.1-2; ლუკა, 6.31,36-38). 3. ამ მცნებით და ამგვარი დარიგებებით განვამტკიცოთ საკუთარი თავი, რომ ვიაროთ თავმდაბლობით მისი სიწმინდით გამშვენებული სიტყვების მორჩილებმა. რამეთუ წმინდა სიტყვა ამბობს: 4. „ვის მივაპყრობ მზერას, გარდა იმისა, ვინც სახიერია და მშვიდი და ჩემი სიტყვების მოშიში?“ (ესაია, 66.2).

---

1. ამავე მნიშვნელობით განმარტავენ ამ გადმოცემას წმ. ირინეოსი (*მწვალებლობათა წინააღმდეგ*, 4.20.12) და წმ. იუსტინე მარტვილი (*დაიალოგი*, 111.3-4), მათეს სახარების მითითებული მუხლის მიხედვით.

2. იბ. 12.5.



## თავი XIV

### მონოდება უფლის ნების მორჩილებისა და მემბოხეთა შენწყალებისაკენ

1. ამდენად, სამართლიანია და სჯულიერი, ძმებო, რომ უფრო მეტად ვიყოთ მორჩილნი ღვთისა, ვიდრე ავყვეთ მათ, ვინც მზვაობრობასა და მღელვარებაში საძაგელი ცილობის წამომწყებნი გახდნენ. 2. ვინაიდან უბრალო ზიანი კი არ შეგვემთხვევა, არამედ დიდ განსაცდელში ჩავცვივდებით, თუკი განუსჯელად დავუმორჩილებთ საკუთარ თავს იმ ადამიანთა ნებას, რომლებიც ჩვენ განხეთქილებასა და ამბოხში გვაგდებენ, რათა სიკეთეს დავაშორონ. 3. გულმონყალე ვექმნეთ მათ მისი მიმტვევლობისა და სიტკობების მსგავსად, ვინც შეგვექმნა ჩვენ. 4. რადგან დანერილია: „წრფელნი იქნებიან მკვიდრნი ქვეყნიერებისა, უმანკონი დარჩებიან მასზე; უსჯულონი აღმოიფხვრებიან მისგან“ (იგავ. 2.21-22; ფსალ. 36.9,38). 5. და კვლავ ამბობს: „ვიხილე უწმინდური აღმალეული და აღმატებული, როგორც ღიბანის კედარი; და ავუარე გვერდი და აჰა, აღარ არის ის, და ვექბდი მის ადგილს და ვერ ვიპოვე. დაიცავი უმანკობა და იხილე სწრფელე, რადგან მომავალი მშვიდობიან ადამიანს ეკუთვნის“ (ფსალ. 36.35-37).

## თავი XV

### მონოდება მშვიდობისმოყვარე ადამიანებთან შეერთებისაკენ

1. მაშასადამე, შევეურთდეთ მათ, ვინც კეთილმსახურებით ინახავს მშვიდობას, და არა მათ, ვისაც მშვიდობა თვალთმაქცურად სწადია. 2. რადგან ამბობს ერთგან: „ეს ხალხი ბაგეებით პატივს მომაგებს მე, გული მათი კი განშორებულია ჩემგან“<sup>1</sup> (ესაია, 29.13; მათე, 15.8). 3. და კვლავ: „თავიანთი ბაგეებით ლოცავდნენ, თავიანთი გულით კი წყევლიდნენ“ (ფსალ. 61.5). 4. და კვლავ ამბობს: „შეიყვარეს იგი თავიანთი ბაგით, თავიანთი ენით კი ეცრუვნენ მას; მათი გული არ იყო წრფელი მის მიმართ, არც მის აღთქმას ერწმუნნენ“ (ფსალ. 77.36-37). 5. ამის გამო, „დაე, დამუნჯდნენ მზაკვარი ბაგეები, რომლებიც მართალზე უსჯულოებას ამბობენ“ (ფსალ. 30.19), და კი-

1. შდრ. წმ. კლიმენტი რომაელის მეორე ეპისტოლე, 3.5.

დევ: „აღბოცოს უფალმა ყველა მზაკვარი ბაგე და მრავლის-მეტყველი ენა, რომელნიც იტყვიან: ‘გავაძლიეროთ ჩვენი ენა, ჩვენი ბაგეები ჩვენთან არიან, ვინ იყოს ჩვენი უფალი?’ 6. ღატაკთა ტანჯვისა და გლახაკთა კვნესის გამო აღვდგები, – ამბობს უფალი, – ხსნას მივანიჭებ, 7. თავს განვაჯიხებ მასში“ (ფსალ. 11.4-6).

## თავი XVI

### მაცხოვარი – მორჩილებისა და თავმდაბლობის ნიმუში

1. რამეთუ ქრისტე თავმდაბლებს ეკუთვნის და არა იმათ, ვინც თავს აღიმაღლებს მის სამწყსოზე. 2. ღვთის დიდებულების კვერთხი (შდრ. ფსალ. 44.7; ებრ. 1.8), უფალი ჩვენი იესო ქრისტე, არ მოსულა მზვაობრობის, არც ქედმაღლობის ზარ-ზეიმით, თუმცა კი შეეძლო ეს, არამედ მოვიდა თავმდაბლად, როგორც სულიწმინდამ თქვა მის შესახებ. რადგანაც ამბობს იგი: 3. „უფალო, ვინ ერწმუნა ჩვენგან სმენილს? და უფლის ხელი ვის გამოეცხადა? ჩვენ მის წინაშე ვისაუბრეთ; ბავშვივით არის იგი, ვით მინაში ფესვი მწყურვალი, რომელსაც არა აქვს სახება, არც დიდება. ვიხილეთ იგი, და არ ჰქონდა სახება, არც მშვენიერება, არამედ მისი სახე უპატიო იყო, მოკლებული იყო ადამიანთა სახეს; ის იყო ადამიანი, წყლულებასა და ტანჯვაში მყოფი, სწეულებათა დათმენის შემძლე, ვისაც სახეს არიდებენ, უპატიოქმნილი იყო იგი და არად ჩაგდებული. 4. მან ჩვენი ცოდვები საკუთარ თავზე აიღო და ჩვენს გამო ტკივილი დაითმინა, ჩვენ კი გვეგონა, რომ ის ასეც უნდა ყოფილიყო, ტანჯვაში, წყლულებასა და გვემაში. 5. იგი იწყლა ჩვენი ცოდვებისთვის და ენაშა ჩვენი უსჯულოებისთვის. მან მიიღო სასჯელი ჩვენი მშვიდობისათვის და მისი ჭრილობის მეშვეობით ჩვენ განვიკურნეთ. 6. ყველანი, როგორც ცხვრები, გზას ავცდით. თითოეული ადამიანი თავის გზაზე დახეტილობდა. 7. და უფალმა მისცა იგი ჩვენი ცოდვებისთვის, მან კი გვემის შესახებ სიტყვაც არ დაძრა; როგორც ცხვარი, დასაკლავად იქნა წაყვანილი, და როგორც კრავმა, უტყვმა მპარსველთა წინაშე, ისე არ გახსნა თავისი ბაგე. მორჩილე-

ბის გამო მისი მსჯავრი აღებულ იქნა მისგან.<sup>1</sup> 8. გვიამბობს ვინ-  
 მე მისი მოდგმის შესახებ? მისი ცხოვრება ხომ მიწიდან იწყება.  
 9. ჩემი ხალხის უსჯულოების გამო წავიდა სიკვდილზე. 10. მივ-  
 ცე უკეთურები მისი საფლავის წილ და მდიდრები მისი სიკვდი-  
 ლის წილ, რადგან მას უსჯულოება არ ჩაუდენია, არც სიცრუე  
 უთქვამს მის ბაგეს. უფალს სურს განწმინდოს იგი წყლულები-  
 საგან. 11. თუკი გასცემთ (შესანიშნავს) ცოდვისათვის, თქვენი  
 სული თქვენს შთამომავლობას დღეგრძელს იხილავს. 12. სწადია  
 უფალს მისი სულის გამოხსნა ტანჯვისაგან, მისთვის ნათლის  
 ჩვენება და მისი ჩამოქნა შემეცნების მეშვეობით,<sup>2</sup> განმართლება  
 მართლისა, რომელიც კეთილად ემსახურა მრავალ ადამიანს; იგი  
 იტვირთავს მათ შეცოდებებს. 13. ამის გამო ის მრავალი ადამ-  
 იანის მემკვიდრე გახდება და წილს მიიღებს ძალმოსილთა ნა-  
 დავლისაგან იმის სანაცვლოდ, რომ მისი სული სიკვდილს მიეცა  
 და უსჯულოებთან ერთად აღირაცხა, 14. მრავალთა ცოდვები  
 თვითონ იტვირთა და მათი ცოდვების გამო იქნა გაცემული“  
 (ესაია, 53.1-12). 15. და კვლავ იტყვის იგი:<sup>3</sup> „მე ვარ მატლი და  
 არა ადამიანი, ადამიანთა სირცხვილი ვარ და ხალხის შეურაც-  
 ხება. 16. ყველა, ვინც მხედავდა, დამცინოდა, ბაგეებით მეტყვე-  
 ლებდა და თავს აქნევდა: ხომ ამყარებდა უფალზე იმედებს, მამ  
 დაიხსნას იგი, გადაარჩინოს იგი, თუ იგი ნებავს“ (ფსალ. 21.7-9).  
 17. ხედავთ, საყვარელო ადამიანებო, როგორია მაგალითი, რო-  
 მელიც მოგვეცა: რამეთუ თუკი უფალმა ასე დაიმდაბლა თავი,  
 რა უნდა მოვიმოქმედოთ ჩვენ, რომლებიც მისი მეოხებით მოვე-  
 დით უღელქვეშ მისი მადლისა? (შდრ. მათე, 11.30).

## თავი XVII

### წმინდანთა თავმდაბლობა

1. იმათაც მივბაძოთ, ვინც თხისა და ცხვრის ტყავებით და-  
 ხეტილობდა (ებრ. 11.37) და ქრისტეს მოსვლას ქადაგებდა.

1. Ἐν τῇ ταπεινώσει ἢ κρίσις αὐτοῦ ἦρθη. შდრ. ფრანგული თარგმანი:  
 „Dans son abaissement la justice lui a été refusée“ (გვ. 127).

2. πλάσαι τῇ συρίσει.

3. იგულისხმება მაცხოვარი.

ვგულისხმობთ ელიას და ელისეს, ასევე ეზეკიელს, წინასწარ-მეტყველებს, გარდა ამისა, მათაც, ვინც კეთილად არის მოხსენიებული (წმინდა წერილში). 2. დიდებულად არის მოხსენიებული აბრაამი, რომელიც ღვთის მეგობრად იქნა სახელდებული (იაკ. 2.23), და ღვთის დიდების მჭვრეტელი თავმდაბლობით ამბობს: „მე ვარ მიწა და ნაცარი“ (დაბ. 18.27). 3. იობის შესახებაც ამგვარად არის დაწერილი: „იობი იყო მართალი და უმნიკვლო, ჭეშმარიტი, ღვთისმოშიში, განშორებული ყოველგვარი ბოროტებისაგან“ (იობი, 1.1). 4. მაგრამ თვითონ კი, საკუთარი თავის დამძრახავი, ამბობდა: „არავინ არის წმინდა სიბინძურისგან, თუნდაც რომ მხოლოდ ერთი დღე გაგრძელდეს მისი ცხოვრება“ (იობი, 14.4-5). 5. მოსეს ეწოდა „სარწმუნო მთელს მის სახლში“ (რიცხ. 12.7), და სწორედ მისი მსახურება იყო, რისი მეშვეობითაც ღმერთმა დასაჯა ეგვიპტე სასჯელითა და ტანჯვა-წამებით. მაგრამ იგი, მეტად განდიდებული, არ გაამაყებულა, არამედ, როდესაც ბუჩქნარიდან ზეგარდამო ბრძანება მიეცა მას, წარმოთქვა: „ვინ ვარ მე, რომ მაგზავნი? სუსტი ხმა მაქვს და ენამძიმე ვარ“ (გამოსლ. 3.11, 4.10). 6. და კვლავ ამბობს: „მე ვარ ორთქლი ქოთნიდან“.<sup>1</sup>

## თავი XVIII

### დავითი, როგორც თავმდაბლობის ნიმუში

1. რაღა უნდა ვთქვათ დავითზე, რომელმაც ასეთი მოხსენიება დაიმსახურა? მის შესახებ თქვა ღმერთმა: „ვიპოვე კაცი ჩემი გულისა, დავითი იესეს ძე, მარადიული წყალობით ვცხე მას“ (ფსალ. 88.21; 1მეფ. 13.14; საქმე, 13.22). 2. მაგრამ იგიც კი ამბობს ღვთის მიმართ: „მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა, და მრავლითა მოწყალებითა შენითა აღხოცე უსჯულოება ჩემი. 3. უფრო განმბანე მე უსჯულოებისა ჩემისაგან და ცოდვისა ჩემისაგან განმწმინდე მე, რადგან უსჯულოება ჩე-

1. ἄγλα δὲ εἶπα ἄτλας ἀπὸ κνήμας. ეს სიტყვები არ დასტურდება ბიბლიის ბერძნულ ტექსტში, თუმცა უახლოვდება იაკობის ეპისტოლეს: „ვითარცა კუამლი (ἀτμός) ხართ, რომელნიც მცირედ ჟამ ჩანს და მერმე განქარდის“ (4.14).

მი მე ვუნცი და ცოდვა ჩემი ჩემს წინაშეა მარადის. 4. მხოლოდ შენ შეგცოდე და ბოროტი შენს წინაშე ვყავ, რათა განმართლდე სიტყვათაგან შენთა, და სძლო სჯასა შენსა. 5. რამეთუ აჰა, უსჯულოებებში ჩავისახე, და ცოდვებში მშვა მე დედაჩემმა. 6. აჰა, ქეშმარიტება შეიყვარე: იდუმალი და ფარული საიდუმლონი შენი სიბრძნისა გამომიცხადე მე. 7. მასხურო მე უსუპითა და განვინმიდო მე, განმბანო მე და თოვლზე უფრო განვსპეტაკდე. 8. მასმინო მე სიხარული და ბედნიერება, იხარებდნენ ძვალნი დამდაბლებულნი. 9. მიაბრუნე პირი შენი ჩემი ცოდვებისაგან, და ყველა ჩემი უსჯულოება აღხოცე. 10. გული წმინდა დაბადე ჩემში, ღმერთო, და სული წრფელი განაახლე ჩემს სხეულში. 11. ნუ განმაგდებ მე შენი პირისაგან და სულს წმინდას შენსას ნუ წაიღებ ჩემგან. 12. მომეცი მე სიხარული მაცხოვარებისა შენისა და მთავრობის სულით განმამტკიცე მე. 13. ვასწავლი უსჯულოებს შენს გზებს და უღმრთონი შენსკენ მოიქცევიან. 14. განმამორე მე სისხლთაგან, ღმერთო, ღმერთო ცხოვრებისა ჩემისაო. 15. იხარებდეს ჩემი ენა შენს სიმართლეს. უფალო, პირი ჩემი აღახვენ და ჩემმა ბაგეებმა აღავლინონ ქება შენი.<sup>1</sup> 16. რამეთუ თუ ინებებდი მსხვერპლს, შემოგწირავდი, მაგრამ ყოვლადდასაწველი არ გესათნოება. 17. მსხვერპლი ღვთისთვის არის სული შემუსვრილი, შემუსვრილსა და დამდაბლებულ გულს ღმერთი არ უგულეებლყოფს“ (ფსალ. 50.3-19).

## თავი XIX

### წმინდანთა მაგალითების მიბაძვა, მშვიდობისა და თანხმობისაკენ სწრაფვა

1. თავმდაბლობამ და გამგონებობამ ამდენი და ამგვარი (წმინდა წერილში) მოხსენიებული ადამიანისა, მათი მორჩილების მეშვეობით, არა მხოლოდ ჩვენ, არამედ ჩვენამდე მყოფი

1. ამ წინადადების ციტირებისას ეპისტოლე მცირეოდენ განსხვავებას ამჟღავნებს დამონმებული ფსალმუნის ბერძნულ ტექსტთან. ფსალმუნში მოცემულია: Κύριε, τὰ χεῖλη μου ἀνοίξεις, καὶ τὸ στόμα μου ἀναγγελεῖ τὴν αἴσιν σου, ეპისტოლეში კი პირი (τὸ στόμα) და ბაგეები (τὰ χεῖλη) გადანაცვლებულია: Κύριε, τὸ στόμα μου ἀνοίξεις, καὶ τὰ χεῖλη μου ἀναγγελεῖ τὴν αἴσιν σου (მდრ. Clément de Rome, 1971, გვ. 132).

თაობებიც გააკეთილშობილეს, ისინი, რომლებიც მის სიტყვებს ღებულობდნენ მოშიშებითა და ჭეშმარიტებით. 2. ამიტომაც, მრავალი დიადი და დიდებული საქმის მოზიარებმა განვისწრაფოთ ჩვენთვის დასაბამიდან დასახული მშვიდობის მიზნისაკენ, ყურადღებით ვუცქიროთ მამასა და სრულიად სამყაროს შემოქმედს, და შევუერთდეთ მის მდიდრულ და განუზომელ მშვიდობის საბოძვართ და კეთილმოქმედებებს. 3. დავინახოთ იგი გონებით და სულის თვალებით ჩავაკვირდეთ მის სულგრძელ ნებას, დავფიქრდეთ, როგორი ურისხველია იგი თავისი ყოველი ქმნილების მიმართ.

## თავი XX

### სამყაროში მშვიდობისა და თანხმობის დაცვის შესახებ

1. ცანი, რომელნიც მოძრაობენ მისი გამგებლობის წყალობით, მშვიდობით ექვემდებარებიან მას. 2. დღე და ღამე მის მიერ დადგენილ გზას გადიან და არ უშლიან ხელს ერთმანეთს. 3. მზე, მთვარე და ვარსკვლავთა გუნდები მისი ბრძანებისამებრ, ერთსულოვნებით, გზიდან ყოველგვარი გადახვევის გარეშე მიუყვებიან მათთვის დაწესებულ საზღვრებს. 4. მიწა, ნაყოფიერი<sup>1</sup> მისი ნებით, თავ-თავის დროს უამრავ საკვებს აძლევს ადამიანებს, მხეცებსა და მასზე მყოფ ყველა სულდგმულს, არც მერყეობს, არც არაფერს ცვლის მის მიერ დადგენილ წესთაგან. 5. ამავე ბრძანებებით არიან შეკავებულნი უფსკრულთა გამოუძიებელი ადგილები და მიწისქვეშეთის შეუცნობელი მხარეები. 6. უკიდევანო ზღვის სხეული, რომელიც მისი შემოქმედებით არის შეგროვილი შესაკრებლებში (მდრ. დაბ. 1.9), არ გადადის მისთვის გარსშემოსაზღვრულ საზღვრებს, არამედ, როგორც ემცნო მას, ისე იქცევა. 7. რადგან თქვა მან: „აქამდე მოხვალ და შენი ტალღები შენში ჩაიღვრება“ (იობი, 38.11). 8. ოკეანე, უკიდევანო,<sup>2</sup> ადამიანთათვის, და მის მიღმა არსებული სამყაროები მეუფის იმავე განკარგულებებით კეთილად არიან განგებულნი. 9. გაზაფხულის, ზაფხულის, შემოდგომისა და

1. κισφορισσα, სიტყვასიტყვით: 'ფენძიმე', 'ორსული'.

2. ἀπείρατος, სიტყვასიტყვით: უსაზღვრო. აქ იგულისხმება გაუვალი.

ზამთრის ჟამნი მშვიდობიანად ცვლიან ერთმანეთს. 10. ქართა ბანაკები დაუბრკოლებლად აღასრულებენ თავ-თავის დროს თავიანთ მსახურებას. დაუშრეტელი წყაროები, შექმნილი სიამოვნებისა და ჯანმრთელობისათვის, მოუკლებელად იძლევიან ძუძუს ადამიანთა სიცოცხლისათვის. ცხოველთაგან უმცირესნიც კი თანხმობასა და მშვიდობაში ამყარებენ თავიანთ ურთიერთობებს. 11. დიდმა შემოქმედმა და ყოველთა მეუფემ მათ ყველას უბრძანა, ყოფილიყვნენ მშვიდობასა და თანხმობაში, ბევრად მეტად კი, კეთილისმოქმედმა ყველა ქმნილების მიმართ, გვიბრძანა ჩვენ, რომლებმაც თავშესაფარი ვპოვეთ მის გულმონყალებაში ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მიერ, 12. რომელსაც დიდება და დიდებულება უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

## თავი XXI

### მონოღება ღვთის და არა მეამბოხეთა მორჩილებისაკენ

1. მიხედეთ, საყვარელო, მსჯავრად არ ექცეს ყველა ჩვენგანს მისი ეს მრავალი სიკეთისმოქმედება, თუკი მის ღირსად არ ვიღვანებთ და ერთსულოვნებით არ მოვიმუშაკებთ მის წინაშე სიკეთესა და მისთვის სათნო საქმეებს. 2. ვინაიდან ამბობს ის ერთგან: „უფლის სული ლამპარია, რომელიც გამოიძიებს საუნჯეთა გულისათა“ (იგავ. 20.27). 3. ვიცოდეთ, რაოდენ ახლოს არის იგი,<sup>1</sup> და რომ არაფერია დამალული მისთვის ჩვენს ზრახვათაგან,<sup>2</sup> არც ჩანაფიქრთაგან, რომელთაც დავისახავთ. 4. სამართლიანი იქნება, თუ არ გავექცევით<sup>3</sup> მის ნებას. 5. სჯობს შეურაცხყოფა მივაყენოთ უგუნურ და სულელ, მედიდურ და თავიანთი სიტყვების მზვაობრობით მოტრახახე ადამიანებს, ვიდრე ღმერთს. 6. პატივი მივაგოთ უფალ იესო ქრისტეს, რომლის სისხლიც ჩვენთვის იქნა გაღებული, მონინებით მოვეპყრათ ჩვენს წინამძღვრებს, კრძალვით მოვექცეთ ჩვენს მღვდლებს, აღვზარდოთ ყმაწვილები მათში ღვთის მო-

1. შდრ. 27.3.

2. შდრ. წმ. პოლიკარპე სმირნელის ეპისტოლე, 4.3.

3. λιποτακτείν, სიტყვასიტყვით, 'უკან დახევა', 'დებურტირობა'. შდრ. თ. 37, სადაც მორწმუნე დასახულია უფლის ჯარისკაცად.

შიშების ჩანერგვით, სიკეთისაკენ მივმართოთ ჩვენი ცოლები, 7. რათა თვალსაჩინო გახადონ უმნიკვლოების ღირსსაყვარელი წესი, წარმოაჩინონ თავიანთი სახიერების<sup>1</sup> შეუმღვრეველი ნება, ნათელ-ჰყონ თავიანთი საუბრის ზომიერება მდუმარების მეშვეობით, გამოსატონ თავიანთი სიყვარული არა ვინმესთვის უპირატესობის მინიჭებით, არამედ თანაბრად ყველა ღვთისმოსიშის მიმართ, სინმინდუმი. 8. თქვენმა შვილებმა მიიღონ თავიანთი აღზრდა ქრისტეში, ისწავლონ, რაოდენ ძლიერია ღვთის წინაშე თავმდაბლობა, რა შეუძლია ღვთის წინაშე უმანკო სიყვარულს, რაოდენ მშვენიერია და დიდებული მისი მოშიშება და მაცხოვრებელი ყველასათვის, ვინც მასში წმინდად და სუფთა გონებით იმყოფება. 9. რადგან იგია ფიქრთა და განზრახვათა გამომეძიებელი. მისი სულთქმა ჩვენშია და ნაიღებს მას, როცა მოისურვებს.

## თავი XXII

### მართალ ადამიანთა მფარველობა უფლის მიერ

1. ამ ყველაფერს განამტკიცებს რწმენა ქრისტეს მიმართ. ვინაიდან სულიწმინდის მეშვეობით თვითონ მოგვიწოდებს ამგვარად: „მოდით, შვილებო, მომისმინეთ, უფლის მოშიშებას გასწავლით თქვენ. 2. ვინ არის ადამიანი, რომელსაც სურს სიცოცხლე და უყვარს კეთილ დღეთა ხილვა? 3. დააცხრე შენი ენა ბოროტისაგან, და მზაკვრობას ნუ იტყვის შენი ბაგე. 4. განერიდე ბოროტს და კეთილი მოიმოქმედე. 5. ეძიე მშვიდობა და მისდიე მას. 6. უფლის თვალეში მართალთა მიმართ არის მიპყრობილი, მისი სასმენელნი – მათი ვედრებისაკენ. უფლის სახე ბოროტმოქმედთა მიმართ არის მიპყრობილი მინისაგან მათი სახსენებელის წარსახოცად. 7. მოუხმო მართალმა და უფალმა ისმინა მისი და ყველა მისი გასაჭირისაგან დაიხსნა იგი. მრავალი გასაჭირი აქვს მართალს და ყველა მათგანისგან დაიხსნის მას უფალი“ (ფსალ. 33.12-18,20). 8. შემდეგ: „მრავალი სატკივარი აქვს ცოდვილს, ხოლო ისინი, ვისაც სასოება უფალზე აქვს დამყარებული, წყალობით არიან გარემოცულნი“ (ფსალ. 31.10).

1. τῆς παύτητος.



## თავი XXIII მაცხოვრის მეორედ მოსვლის იმედი

1. ყველას მიმართ გულმონყალე და სიკეთისმოქმედი მამა ლმობიერია მის მოშიშთა მიმართაც, და თავის მადლს კეთილგანწყობითა და სიამით უბოძებს მათ, ვინც მას წრფელი გონებით მიეახლება. 2. ამიტომ, ნუ შევყოყმანდებით, ნურც მოვატყუებთ ჩვენს სულს მის გარდამატებულ და დიდებულ საბოძვრებთან დაკავშირებით. 3. შორს იყოს ჩვენგან წმინდა წერილის ის ადგილი, სადაც ის ამბობს: „საბრალონი არიან მერყეენი, მეჭველნი სულით, რომელნიც იტყვიან: ამას ვისმენდით ჩვენი მამების დროსაც, და აჰა, დავბერდით და არაფერი ამათგან ჩვენ არ შეგვმთხვევია“ (შდრ. იაკ. 1.8; 2პეტრე, 3.3-4). 4. უგუნურებო, შეადარეთ საკუთარი თავი ხეს. მაგალითად აიღეთ ვაზი, თავდაპირველად მას ფოთოლი სცვივა, შემდეგ ყლორტი გამოაქვს, შემდეგ ფოთოლი, შემდეგ კი ყვავილი, ამის მერე მკვახე მტევანი, ბოლოს კი მწიფე ყურძენი.<sup>1</sup> ხედავთ, როგორ აღწევს მცირე დროში სიმწიფეს ხის ნაყოფი! 5. ჭეშმარიტად მალე და მოულოდნელად აღსრულდება მისი ნებაც, რასაც ამტკიცებს წმინდა წერილიც, რომ „მალე მოვა, და არ შეყოვნდება“ (ესაია, 13.22; აბაკ. 2.3; ებრ. 10.37), და „მოულოდნელად მოვა თავის ტაძარში უფალი, წმინდა, რომელსაც თქვენ ელოდებით“ (მალ. 3.1).

## თავი XXIV უფლის მტკიცებულება აღდგომის შესახებ

1. დავაკვირდეთ, საყვარელნო, როგორ გამუდმებით გვიჩვენებს მეუფე, რომ იქნება მომავალი აღდგომა, რომლის პირმშობაც უფალი იესო ქრისტე დასახა, როდესაც იგი მკვდრეთით აღადგინა (შდრ. 1კორ. 15.20-23). 2. შევხედოთ, საყვარელნო, აღდგომას, რომელიც დგება მის შესაბამის დროს. 3. აღდგომას გვიხატავენ დღე და ღამე: ღამე იძინებს, აღდგება დღე;

---

1. ეს სტრიქონები დასტურდება წმ. კლიმენტი რომაელის არაავთენტურ, მეორე ეპისტოლეშიც, 11.2-4.

დღე გადის, მოდის ღამე.<sup>1</sup> 4. მაგალითისთვის ავიღოთ ნაყოფები. როგორ და რა გზით ხორციელდება თესვა? 5. გამოვიდა მთესველი (მათე, 13.3; მარკ. 4.3; ლუკა, 8.5) და დაყარა მიწაზე თითოეული თესლი, რომლებიც, მიწაზე დაცემულნი, მშრალნი და შიშველნი, კვდებიან. შემდეგ, ამ დასასრულიდან მეუფის განგებულების დიდებულება აღადგენს მათ, ერთიდან მრავლად გარდაქმნის და ნაყოფი გამოაქვს (შდრ. 1კორ. 15.35-38).

## **თავი XXV**

### **ფენიქსი – აღდგომის სიმბოლო**

1. შევხედოთ საოცარ მინიშნებას, რომელიც აღმოსავლეთ მხარეებში, კერძოდ არაბეთის ახლოს ხდება. 2. იქ სახლობს ფრინველი, რომელსაც ეწოდება ფენიქსი. იგი ერთადერთია<sup>2</sup> ასეთი და ხუთასი წელი ცხოვრობს. როდესაც უკვე თავის აღსასრულს უახლოვდება და უნდა მოკვდეს, ის ბუდე-სამარხს<sup>3</sup> იკეთებს საკმევლის ხის, მურისა და სხვა სურნელოვანი მცენარეებისაგან, თავისი ჟამის დასრულებისას შედის მასში და კვდება. 3. მისი გვამის გახრწნის შემდეგ იბადება მატლი, რომელიც მკვდარი ცხოველის სინოტივით იკვებება და ფრთებს გამოისხამს. შემდეგ, როდესაც იგი მოძლიერდება, იღებს იმ ბუდეს, რომელშიც მისი წინაპრის ძვლებია, მიაქვს იგი და მი-

---

1. დღისა და ღამის ცვალებადობას სიკვდილსა და აღდგომას ხატოვნად უდარებს ტერტულიანეც: „ახლა მიაქციე ყურადღება ღვთაებრივი ძლევამოსილების მაგალითებს. დღე კვდება ღამეში და ყველაფერი წყვდიადში იმარხება. სამყაროს მშვენიერება ჭკნება და ყველაფერი არსებული სიკვდილის სიბნელეში იძირება. ყველაფერი ბნელდება, დუმდება, შეშდება; ყველგან ისადგურებს სიჩუმე და ყველაფერი გლოვობს დაღუპულ ნათელს. და მაინც, ნათელი ისევ ცოცხლდება მთელს სამყაროში სრულიად ისეთივე, მთელი და უვნებელი, თავისი დიდებულებით, თავისი სიმდიდრით, მზით, მომკვლელი საკუთარი სიკვდილისა – სიბნელისა, იგი ალებს საკუთარ სამარხს – სიბნელეს, და ხდება საკუთარი თავის მემკვიდრე, სანამ ღამე, თავის მხრივ, არ გაცოცხლდება ყველაფერ იმასთან ერთად, რაც მას ეკუთვნის“ (ხორციელი აღდგომის შესახებ, 12).

2. იგულისხმება, ერთადერთი თავისი სახეობის წარმომადგენელთა შორის, ანუ მსოფლიოში ერთადერთი.

3. τὰφᾶς ითარგმნება, როგორც ‘საცხოვრებელი’, ‘ბუდე’, ‘საფლავი’, ‘ტაძარი’. ქართულ თარგმანში ამ ორაზროვნების ასახვა ვერ მოხერხდა.

ემართება არაბეთიდან ეგვიპტის იმ მხარემდე, რომელსაც ჰელიოპოლისი ეწოდება, 4. და მოფრენილი დღისით, ყველას დასანახად, დებს მათ მზის სამსხვერპლოზე, შემდეგ კი უკან მიეშურება. 5. ქურუმებმა გადაათვალიერეს წელიწდეული ჩანაწერები და აღმოაჩინეს, რომ იგი ხუთასი წლის შესრულების შემდეგ მოსულა.<sup>1</sup>

1. ნმ. კლიმენტი რომაელი პირველ ქრისტიან ავტორად ითვლება, რომელმაც ფენიქსი აღდგომის ნიმუშად დასახა. ფენიქსის შესახებ მისი წყარო შესაძლებელია ყოფილიყო ჰეროდოტე. ჰეროდოტეს *ისტორიაში* აღნიშნულია, რომ ეს ფრინველი „ძალიან იშვიათად მოდის, დაახლოებით 500 წელიწადში ერთხელ, როგორც ჰელიოპოლისის მოსახლეები ამბობენ, რომ ის მხოლოდ მაშინ მოდის, როდესაც მამა უკვდება... არაბიიდან მოდის ჰელიოსის სალოცავში, თან თურმე თავისი მამა მოაქვს მურში ჩადებული და მარხავს ჰელიოსის სალოცავში. ხოლო მამა თურმე ასე მოაქვს: პირველად ის აკეთებს მურისაგან კვერცხს, იმოდენას, რისი ტარებაც შეუძლია, შემდეგ სცდის მის ტარებას. ამ გამოცდის შემდეგ ისე გამოლრუტნის კვერცხს საიმისოდ, რომ თავისი მამა შიგ მოათავსოს, მერე მურითვე გამოლესავს იმ ადგილს, სადაც კვერცხი გამოილრუტნა და მამა მოათავსა. ხოლო მას მერე, რაც კვერცხი ვამითურთ იმავე წონისა არის, რამდენსაც იწონიდა თავდაპირველად, გალესავს კვერცხს, წაიღებს მას ეგვიპტისაკენ ჰელიოსის სალოცავში“ (2.73. იხ.: ჰეროდოტე. *ისტორია*. ტ. I. თბილისი, 1975, გვ. 146; თითქმის სიტყვასიტყვით არის ეს ამბავი გადმოცემული ტაციტუსის *ანალებშიც*, 6.28). კლიმენტის გარდა, აღდგომას ფენიქსს უკავშირებს ტერტულიანეც, რომლის თანახმადაც ფენიქსი „ნებაყოფლობითი დამარხვის შემდეგ საკუთარ თავს აახლებს; თავის დაბადების დღეს კვდება და იბადება; ისევ ფენიქსია იქ, სადაც უკვე აღარავინ იყო; ისევ თვითონ არის ის, რაც უკვე აღარ იყო, სხვა და ამავე დროს იგივე... ღმერთი თავის წმინდა წერილშიც კი ამბობს: 'და გაიფურჩქნება, როგორც ფენიქსი' (ფსალ. 91.13. „phoenix“, φῶνιξ ითარგმნება, როგორც 'ფენიქსის პალმა' და როგორც 'ფენიქსი'. შდრ. ფსალმუნთა ძველი ქართული თარგმანი: „ვითარცა ფენიქი აღყუანეს“) ... მაგრამ ადამიანები განა ერთხელ უნდა კვდებოდნენ, მაშინ, როდესაც არაბეთის ფრინველები დარწმუნებულნი არიან თავიანთ აღდგომაში?“ (*ხორციელი აღდგომის შემდეგ*, 13, PL 2, სვ. 811BC). განსხვავებულ გადმოცემას იძლევა ფენიქსის შესახებ ლუციანოს სამოსატელი *ამბავში პერეგრინოსის აღსასრულისა* (27). მისი ცნობით, „ფენიქსი, ეს ინდური ფრინველი, როგორც ამბობენ, ღრმა სიბერეს მიტანებული, ცეცხლში იწვავს თავს“ (ლუციანოსი. *რჩეული თხზულებანი*. თბილისი: ლოგოსი, 2012, გვ. 96). ბერძნული კრიტიკული გამოცემის თანახმად (იხ. Clément de Rome, 1971, გვ. 142, შენ. 5), კლიმენტი რომაელის მონათხრობი ფენიქსის შესახებ მეტად უახლოვდება პომპონიუს მელას (*სამყაროს აღწერა*, 3.8.10) და პლინიუს უფროსის (*ბუნების ისტორია*, 10.2) გადმოცემებს.

## თავი XXVI

### მომავალი აღდგომა, მოსწავებული წმინდა წერილის მიერ

1. განა არ უნდა ჩავთვალოთ, რომ დიდებული იქნება და გასაოცარი, თუკი ყოველთა შემოქმედი აღადგენს მათ, ვინც მას კეთილი რწმენის სასოებით სჯულიერად ემსახურა, მაშინ, როდესაც ფრინველის მეშვეობითაც კი თავისი აღთქმის დიდებულებას გვიჩვენებს? 2. რამეთუ ერთგან ამბობს: „და აღმადგენ მე და აღვიარო შენ“ (შდრ. ფსალ. 27.7, 87.11). და კიდევ: „დავწექი და დავიძინე, და აღვდექი, რადგან შენ ჩემთან ხარ“ (ფსალ. 3.6, 22.4). 3. და კვლავ ამბობს იობი: „და აღადგენ ჩემს ხორცს, იმას, რომელმაც დაითმინა ეს ყოველივე“ (შდრ. იობი, 19.25-26).

## თავი XXVII

### უფლის სიმაართლე და აღდგომის სასოება

1. ამ იმედით, დაე, შეუერთდნენ ჩვენი სულები მას, ვინც სარწმუნოა თავის აღთქმებსა და სამართლიან განაჩენში. 2. ის, ვინც მცნებად დაგვიდო უტყუველობა, მით უფრო არ იცრუებს თავად, რადგან არაფერია შეუძლებელი ღვთისთვის, გარდა სიცრუისა (შდრ. ებრ. 6.18). 3. ამიტომ, აღინთოს მისი რწმენა ჩვენში, და გავიაზროთ, რომ ყველაფერი მასთან არის ახლოს.<sup>1</sup> 4. თავისი დიდებულების სიტყვით შექმნა ყველაფერი (სიბრძ. 9.1), და სიტყვითვე ხელენიფება მისი განადგურება. 5. განა ვინ ეტყვის მას: რა გააკეთე? ან ვინ შეეწინააღმდეგება მისი ძლიერების ძალმოსილებას? (შდრ. იობი, 19.25-26; სიბრძ. 12.12, 11.21-22). როდესაც სურს და როგორც სურს, აკეთებს ყველაფერს და არაფერი რჩება აღუსრულებელი იქიდან, რაც მან დაადგინა (მათე, 5.18). 6. ყველაფერი მის წინაშეა, და არაფერია დაფარული მისი ნებისგან, 7. თუ „ცანი გადმოსცემენ ღვთის დიდებას, მის ხელთა ნამოქმედარს გადმოსცემს სამყარო; დღე დღეს აღმოეტყვის სიტყვას და ღამე ღამეს უმხელს ფიქრს, და არ არის სიტყვა, არც საუბარი, რომელთა ხმებიც არ ისმოდეს“ (ფსალ. 18.2-4).

1. შდრ. 21.3.

## თავი XXVIII

### მოშიშება ყოვლისმხედველი უფლისა

1. ამიტომაც, რადგანაც ყველაფერს ხედავს და ესმის, გვეში-ნოდეს მისი და მივატოვოთ ბინძურ გულისთქმათაგან მომდინარე უმსგავსი საქმეები, რათა მისი გულმონყალების მეშვეობით დაცულნი ვიყოთ მომავალ მსჯავრთაგან. 2. რომელი ჩვენგანი სად შესძლებს გაქცევას მის ძლიერ ხელთაგან? რომელი სამყარო მიიღებს ვინმეს, მისგან განდგომილ-გაქცეულთაგანს? რადგან სადღაც ამბობს წმინდა წერილი: „სად წავალ და სად დავი-მალეები შენი სახისგან? ზეცაში თუ ავალ, შენ ხარ იქ; მიწის უკიდურესი კიდეებისკენ თუ წავალ, შენი მარჯვენა იქ არის; თუკი უფსკრულებში ჩავალ, შენი სულია იქ“ (ფსალ. 138.7-9). 4. მაშ, ვინ სად წავა ან სად გაიქცევა მისგან, ვინც ყოვლისმომცველია?

## თავი XXIX

### სულიერი სინმინდით მიახლება უფალთან

1. მივეახლოთ მას სულის სინმინდით, გავინოდოთ მისკენ სუფთა და შეუბღალავი ხელები, და გვიყვარდეს ჩვენი სამართლიანი და გულმონყალე მამა, რომელმაც საკუთარ თავს ჩვენი თავი არგუნა წილად არჩევანისა. 2. რამეთუ ამგვარად არის დაწერილი: „როდესაც უზენაესმა დაჰყო ხალხი, რათა მიმოეფანტა ადამის ძენი, დაადგინა ტომთა საზღვრები ღვთის ანგელოზთა რიცხვის მიხედვით. უფლის წილი გახდა მისი ხალხი იაკობი, მისი მემკვიდრეობის წილი კი ისრაელი“ (2სჯ. 32.8-9, 14.2, 4.34). 3. და სხვა ადგილას ამბობს: „აჰა, უფალმა აირჩია თავისთვის ტომი წარმართთაგან, როგორც იღებს ადამიანი თავის პირველნაყოფებს კალოდან, და გამოვა ამ ხალხიდან წმიდათა წმიდა“ (რიცხ. 18.27; 2ნემტ. 31.14; ეზეკ. 48.12).

## თავი XXX

### მონოდება ღვთისსათნო საქმეთა მოქმედებისაკენ

1. ამდენად, რადგანაც წმინდა ღვთის წილხვედრნი ვართ, ვაკეთოთ ყველაფერი წმინდა, გავექცეთ ბოროტმეტყველე-

ბას, ბინძურ და ბინიერ ურთიერთობებს, ლოთობებს, სიახლე-  
 ებისკენ სწრაფვას და უმსგავს გულისთქმებს, სამარცხვინო  
 მრუშობას და საძაგელ ქედმაღლობას. 2. რამეთუ ნათქვამია,  
 რომ „ღმერთი ქედმაღლებს უპირისპირდება, თავმდაბალთ კი  
 წყალობას მიჰმადლებს“ (იგავ. 3.34; იაკ. 4.6; 1პეტრე, 5.5).  
 3. მაშ, შევეუერთდეთ მათ, ვისაც ღვთისაგან მიეცა მაღლი.  
 შევიმოსოთ ერთსულოვნება, ვიყოთ თავმდაბალნი და თავ-  
 შეკავებულნი, შორს დავიჭიროთ თავი ყოველგვარი ცილის-  
 ნამებისგან და ბოროტმეტყველებისგან, თავი გავიმართლოთ  
 საქმეებით და არა სიტყვებით. 4. რამეთუ ამბობს იგი: „ვინც  
 ბევრს ლაპარაკობს, თავის მხრივ უნდა მოისმინოს კიდევ; ნუ-  
 თუ მრავლისმეტყველი ფიქრობს, რომ მართალია? 5. კურთხე-  
 ულია ნაშობი ქალისა, მცირედცხოვრებული. ბევრს ნუ ილაპ-  
 არაკებ“ (იოხი, 11.2-3). 6. ჩვენი შექება ღმერთს მივანდოთ და  
 არა ჩვენს თავს, რადგან სძაგს ღმერთს საკუთარი თავის მა-  
 ქებარნი.<sup>1</sup> 7. მტკიცებულება ჩვენი კეთილი ქმედების შესახებ,  
 დაე, სხვათაგან მოგვეცეს, როგორც ჩვენს მართალ წინაპრებს  
 მიეცა იგი (იგავ. 27.2).<sup>2</sup> 8. თავხედობა, თვითკმაყოფილება და  
 კადნიერება ახასიათებთ ღვთისგან დაწყვეტილებს; სიმშვიდე,  
 თავმდაბლობა და სახიერება კი (2კორ. 10.1) ღვთისგან კურ-  
 თხეულებს.

## თავი XXXI ღვთის კურთხევის მოპოვება

1. ვეძიოთ მის კურთხევასთან მიახლება და ვიხილოთ, რო-  
 მელია მისი კურთხევის მოპოვების გზები. გავიხსენოთ, რა  
 მოხდა დასაბამიდან. 2. რის გამო იქნა კურთხეული ჩვენი მამა  
 აბრაამი? იმის გამო ხომ არა, რომ რწმენით ახორციელებდა  
 სიმართლესა და ჭეშმარიტებას? 3. ისააკმა, რომელმაც დარ-  
 წმუნებით იცოდა მომავალი, ხალისით მისცა თავი ზვარაკად

1. ἀτεπαιητός. ეს არის ერთადერთი მაგალითი ამ სიტყვის გამოყე-  
 ნებისა ბერძნულ ტექსტებში (იხ. G.W.P. Lampe. *A Patristic Greek Lexicon*.  
 Oxford: Clarendon Press, 1961, გვ. 267).

2. შდრ. ასევე, წმ. კლიმენტი რომაელის მეორე ეპისტოლე, 38.2.

(დაბ. 22.7). 4. იაკობი თავმდაბლად განშორდა თავის ქვეყანას ძმის გამო, გაემართა ლაბანისკენ და ემსახურა, და ებოძა მას ისრაელის 12 კვერთხი.<sup>1</sup>

## თავი XXXII

### ადამიანის გამართლება რწმენით უფლის წინაშე

1. თუკი ვინმე მათზე სათითაოდ, გულწრფელად დაფიქრდება, გააცნობიერებს მის მიერ ნაწყალობევი საბოძართა დიდებულებას. 2. მისგან<sup>2</sup> წარმოიშვა ყველა მღვდელი<sup>3</sup> და ლევიტელი, რომლებიც ღვთის სამსხვერპლოსთან ღვთისმსახურებას აღავლენდნენ. მისგანვე წარმოიშვა ხორციელად უფალი იესო, მისგანვე, იუდას ხაზით, არიან წარმოშობილი მეფეები, მთავრები და წინამძღოლები; მისი დანარჩენი კვერთხებიც<sup>4</sup> არცთუ მცირე დიდებით იყვნენ გამორჩეულნი, როგორც მას აღუთქვა ღმერთმა, რომ „იქნება შენი შთამომავლობა, როგორც ვარსკვლავები ცისა“ (დაბ. 15.5, 22.17). 3. ყველანი დიდებით შეიმოსნენ და განდიდდნენ, არა საკუთარი თავის ან თავიანთი საქმეების მეშვეობით ან სამართლიანი ქმედებებით, რომლებიც მოიმოქმედეს, არამედ მისი ნებით. 4. ჩვენც, რომელნიც მოწოდებულნი ვიქმენით მისი ნებით იესო ქრისტეში, ჩვენი საკუთარი თავის მეშვეობით კი არ ვმართლდებით, ან ჩვენი სიბრძნით, ან სინდისით, ან კეთილმსახურებით, ან საქმეებით, რომლებიც გულის სინმინდით მოვიმოქმედეთ, არამედ რწმენით (შდრ. რომ. 3.28,30), რომლის მეოხებითაც დასაბამიდან ამართლებდა ყველას ყოვლისმპყრობელი ღმერთი, რომელსაც დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

---

1. იგულისხმება იუდეველთა თორმეტი ტომი. სხვაგვარად რომ ითქვას, იაკობი გახდა ებრაელთა 12 ტომის მამამთავარი. იხ. ქვემოთ, 43.2-5. აღსანიშნავია, რომ δαδεδκδσκηππτοσ ანუ 'თორმეტი კვერთხი' სხვა ტექსტებში არ დასტურდება (შდრ. Lampe, 1961, გვ. 395).

2. იგულისხმება იაკობი.

3. ἱερεὺς ითარგმნება როგორც 'მღვდელი' და როგორც 'ქურუმი' (შდრ. დაბ. 47.22-ის ძველი და თანამედროვე თარგმანები).

4. შდრ. 31.4.

## თავი XXXIII

### უფალი – სიკეთისა და სათნოების საუკეთესო მაგალითი

1. მამ, რა უნდა ვქნათ, ძმებო? უნდა განვერიდოთ სიკეთისმოქმედებას და მივატოვოთ სიყვარული? ნურასდროს დაუშვებს მეუფე, რომ ეს შეგვემთხვეს, არამედ ვიჩქაროთ და გულმხურვალეებითა და გულმოდგინებით აღვასრულოთ ყველა კეთილი საქმე. 2. რამეთუ თავად შემოქმედი და ყოველთა მეუფე ხარობს თავის საქმეთა გამო. 3. თავისი ყოვლადუზენაესი ძალით მან დაამყარა ცანი და თავისი შეუცნობელი გონიერებით შეამკო ისინი; გამოჰყო მიწა მისი გარემომცველი წყლისაგან და დაამყარა იგი თავისი ნების მტკიცე საფუძველზე; საკუთარ ძალაუფლებაზე დაყრდნობით ბრძანა, მასზე სულდგმულნი ყოფილიყვნენ. მან შექმნა ზღვა და მასში ცხოველები და საკუთარი ძალით გარსშემოსაზღვრა. 4. ყოველივე ამის გარდა, მან გონიერებით აღმატებული და უდიდესი ქმნილება, ადამიანი შექმნა წმინდა და უბინო ხელებით, თავისი ხატის ანაბეჭდად. 5. რადგან ამგვარად ამბობს ღმერთი: „შექმნათ ადამიანი ხატებისაებრ და მსგავსებისაებრ ჩვენისა. და შექმნა ღმერთმა ადამიანი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი“ (დაბ. 1.26-27). 6. მას შემდეგ, რაც ეს ყველაფერი აღასრულა, შეაქო იგი, დალოცა და თქვა: „ალორძინდით და გამრავლდით“ (დაბ. 1.22,28). 7. შევხედოთ, რომ ყველა მართალი ადამიანი შემკული იქნა კეთილი საქმეებით, თავად უფალიც კი ხარობდა საკუთარი თავის კეთილი საქმეებით შემკობისას. 8. ამიტომაც, ამ მაგალითის მხილველნი უმაღვე მიყვებით მის ნებას და მთელი ჩვენი ძალით მოვიმუშაკოთ საქმე სიმართლისა.

## თავი XXXIV

### ჯილდო კეთილ საქმეთათვის

1. კეთილი მუშაკი თამამად ღებულობს პურს თავისი შრომისათვის, ზარმაცი და დაუდევარი (ზირ. 4.29) კი თვალს ვერ უსწორებს თავის დამსაქმებელს. 2. ჩვენ გვმართებს, ვიყოთ გულმოდგინენი სიკეთისმოქმედებაში, რადგან ღვთისაგან არის ყველაფერი. 3. რადგან წინასწარ გვამცნობს ჩვენ: „აჰა



უფალი და მისი საზღაური მისი პირის წინაშე, თითოეული-სთვის მისი საქმისამებრ მისაგებულად“ (ესაია, 40.10, 62.11; გამოცხ. 22.12). 4. იგი შეგვაგონებს, გვწამდეს ის მთელი გულთ, არ ვიყოთ ზარმაცნი და დაუდევარნი არავითარი კეთილი საქმის მიმართ. 5. მასზე იყოს ჩვენი შექება და გათამამება; ჩვენ დავემორჩილოთ მის ნებას; დავფიქრდეთ მის ანგელოზთა მთელი გუნდის შესახებ, როგორ ემსახურებიან<sup>1</sup> მის ნებას მის წინაშე მდგომარენი. 6. რამეთუ ამბობს წმინდა წერილი: „ათათასობით ათათასნი იდგნენ მის წინაშე, და ათასობით ათასნი ემსახურებოდნენ მას“ (დან. 7.10), „და ლაღადებდნენ: წმინდა არს, წმინდა არს, წმინდა არს უფალი საბაოთ, სავსეა მთელი ქმნილება<sup>2</sup> მისი დიდებით“ (ესაია, 6.3). 7. ასევე ჩვენც, სინდისიერად, ერთსულოვნებით შეკრებილებმა შევლადდოთ მას მგზნებარედ, თითქოსდა ერთი ბაგიდან, რათა მოზიარენი გავხდეთ მისი დიადი და დიდებული აღთქმებისა. 8. რადგან ამბობს წმინდა წერილი: „თვალს არ უხილავს, ყურს არ სმენია და ადამიანს გულში არ გაუვლია, რაც მოუშზადა მათ, ვინც მასზე ამყარებს იმედს“ (ესაია, 64.4; 1კორ. 2.9).

## **თავი XXXV**

### **ჯილდოს დამსახურების გზები**

1. რაოდენ ნეტარი და საოცარია ღვთის საბოძვარნი, საყვარელნი: 2. ცხოვრება უკვდავებაში, ბრწყინვალეობა სიმართლეში, ჭეშმარიტება სითამამეში, რწმენა სასოებაში, თავშეკავება სინმინდეში! და ეს ყოველივე ექვემდებარება ჩვენს გონებას. 3. მაშ, რა არის მომზადებული მათთვის, ვინც მას მოელის? შემოქმედმა და მამამ საუკუნეთა, ყოვლადწმინდამ<sup>3</sup> (4მაკ. 7.4), თავად იცის მათი რაოდენობა და მშვენიერება. 4. ჩვენ კი ვიასპარეზოთ, რომ მის მომლოდინეთა რიცხვში აღმოვჩნდეთ, რათა წილად გვხვდეს აღთქმული საბოძვარი. 5. როგორ მივალნი-

---

1. λειτουργισთ.  
 2. ἢ κτίσις. იგულისხმება სამყარო.  
 3. Πατὴρ. ქრისტიანულ ტექსტებში იგი პირველად ამ მონაკვეთში არის გამოყენებული.

ოთ ამას, საყვარელნო? თუკი ჩვენი გონება რწმენის მეშვეობით მტკიცედ იქნება მიმართული ღვთისაკენ, თუკი ვეძიებთ მისთვის საამოსა და შესაწყნარებელს, თუკი აღვასრულებთ, რაც შეშვენის მის შეუცდომელ ნებას და დავადგებით ჭეშმარიტების გზას, თუკი განვიშორებთ თავიდან ყოველგვარ უსამართლობას და უსჯულოებას, სიხარბეს, განხეთქილებებს, უზნეობასა და მზაკვრობებს, ცილისწამებებსა და ბოროტმეტყველებას, ღვთისმოძულეობას, მედიდურობასა და ყოყონობას, პატივმოყვარეობას და არასტუმართმოყვარეობას (შდრ. რომ. 1.28-31).

6. ვინაიდან, ამის მოქმედნი საძულველნი არიან ღვთისათვის. არა მხოლოდ ამის მოქმედნი, არამედ ისინიც, ვინც იწონებს ამას (რომ. 1.32).

7. ვინაიდან ამბობს წმინდა წერილი: „უთხრა ღმერთმა ცოდვილს: რატომ ქადაგებ ჩემს მცნებებს და შენი ბაგით ღებულობ ჩემს აღთქმას? 8. შენ ხომ მოიძულე სწავლება და უკუაგდე ჩემი სიტყვები. როცა ქურდს ხედავდი, მასთან ერთად გარბოდი, და წილი გქონდა გარყვნილებთან. შენი პირი აღსავსე იყო ბოროტებით, შენი ენა კი მზაკვრობას თხზავდა. დაჯდებოდი და შენი ძმის წინააღმდეგ ამბობდი ცილისწამებას და დედაშენის ძის შერცხვენას ცდილობდი. 9. ამას აკეთებდი და მე ვდუმდი. შენ კი, უსჯულოვ, ჩათვალე, რომ მე შენი მსგავსი ვიქნები. 10. მაგრამ მე გამხელ შენ და დაგაყენებ შენ შენსავე პირის წინააღმდეგ. 11. გაიგონეთ ეს, ღვთის დამვიწყებელნო, რათა არ წარგიტაცოთ მან, როგორც ლომმა,<sup>1</sup> და არავინ იყოს თქვენი გამომხსნელი. 12. შესანიშნავი ქებისა განმადიდებს მე, და იქ არის გზა, რომელზეც მას ღვთისმიერ ხსნას ვუჩვენებ“ (ფსალ. 49.16-23; 7.3).

## თავი XXXVI

### მაცხოვარი – მორწმუნეთა მშველელი და მფარველი

1. ეს არის გზა, საყვარელნო, რომლითაც მოვიპოვებთ ჩვენს ცხოვნებას – იესო ქრისტეს, ჩვენს ზვარაკთა მღვდელ-

1. „როგორც ლომმა“ (ως λέων) 49-ე ფსალმუნში არ დასტურდება.

მთავარს<sup>1</sup> (ებრ. 2.17, 3.1), მფარველსა<sup>2</sup> და მშველელს ჩვენი უძღურებისა. 2. მისი მეშვეობით ვაკვირდებით ცათა სიმაღლეს; მისი მეშვეობით, როგორც სარკეში, ისე ვხედავთ მის უნაკლო და უზენაეს სახებას, რომლის მეშვეობითაც გაიხსნა თვალები ჩვენი გულისა, რომლის მეშვეობითაც უგულისხმო და ბნელით მოცული ჩვენი გონება კვლავ გაიფურჩქნება მისი ნათლის მიმართ, ვისი მეოხებითაც ისურვა მეუფემ, რომ უკვდავების ცოდნა<sup>3</sup> გვეგემა, იგი, „რომელიც მისი დიდებულების ბრწყინვალეებაა, იმდენად უფრო დიადია ანგელოზებზე, რამდენადაც უფრო აღმატებული სახელი დაიმკვიდრა წილად“ (ებრ. 1.3-4). 3. რამეთუ დანერილია ამგვარად: „მან შექმნა თავისი ანგელოზები სულებად და თავისი მსახურები ალად ცეცხლისა“ (ფსალ. 103.4; ებრ. 1.7). 4. თავისი ძის შესახებ ამგვარად თქვა მეუფემ: „ჩემი ძე ხარ შენ, მე მიშობიხარ დღეს, ითხოვე ჩემგან და მოგცე შენ წარმართნი შენს სამემკვიდრეოდ და შენს სამფლობელოდ კიდენი ქვეყნიერებისა“ (ფსალ. 2.7-8; ებრ. 1.5). 5. და ისევ ამბობს მის მიმართ: „დაჯექი ჩემს მარჯვნივ, ვიდრე შენს მტრებს შენს ფეხთა ქვეშ არ დავდებ“ (ფსალ. 109.1; ებრ. 1.13). 6. ვინ არიან მტრები? ბოროტნი და მისი ნების წინააღმდეგომნი.

## თავი XXXVII

### მორწმუნე – ჯარისკაცი მაცხოვარისა

1. მაშ ვიბრძოლოთ, ძმებო, მთელი გულმოდგინებით მისი წმინდა სჯულდებებისამებრ. 2. ვიფიქროთ მათზე, ვინც ჩვენი წინამძღოლების ხელმძღვანელობით იბრძვის, როგორ მწყობრად, როგორ ჯეროვნად, როგორ მორჩილად ასრულებენ განკარგულებებს. 3. ყველანი არ არიან სარდალ-გამგებელნი,<sup>4</sup> არც

1. τὸν ἀρχιερέα.

2. ὁ προστάτης, შეიძლება ითარგმნოს, ასევე, როგორც 'წინამძღოლი', 'სარდალი', 'მებრძოლი'.

3. შდრ. 40.1, 41.4.

4. ἑπαρχὸς ითარგმნება, როგორც სარდალი და როგორც პრეფექტი, ანუ გამგებელი.

ათასისთავნი, არც ასისთავნი, არც ერგასისთავნი<sup>1</sup> (გამოსლ. 18.21,25), არც შემდგომნი, მაგრამ თითოეული, თავისი წოდების მიხედვით, ასრულებს მეფეთა და წინამძღოლთა ბრძანებულებებს. 4. დიდებს მცირეთა გარეშე არ შეუძლიათ არსებობა, ვერც მცირეთ – დიდთა გარეშე. ისინი ყველანი გარკვეულნილად შეკავშირებულნი არიან ერთმანეთთან და ერთმანეთის საჭიროებას განიცდიან. 5. ავილოთ ჩვენი სხეული: თავი ფეხების გარეშე არაფერია, ამგვარადვე – ფეხები თავის გარეშე. ჩვენი სხეულის უმცირესი ნაწილები აუცილებელნი და სასარგებლონი არიან მთელი სხეულისათვის, ისინი ყველანი თანხმობით მოქმედებენ და, ერთნაირ მორჩილებაში მყოფნი, საჭირონი არიან მთელი სხეულის ჯანმრთელად შენახვისათვის (შდრ. 1კორ. 12.12-27; რომ. 12.4-5).<sup>2</sup>

## თავი XXXVIII

### მორჩილება – აუცილებელი სათნოება სასულიერო პირთავის

1. შესაბამისად, დაე, კეთილად იყოს დაცული მთელი ჩვენი სხეული იესო ქრისტეში, და თითოეული დაემორჩილოს თავის მოყვასს, როგორც მისი მადლით არის დადგენილი (რომ. 12.6). 2. ძლიერი ნუ უგულვებელყოფს უძლურს, უძლურმა პატივი მიიღოს ძლიერს, მდიდარმა უწყალობოს ღარიბს, ღარიბმა დაუმაძლოს ღმერთს, რომელმაც უბოძა იმას, ვისი მეშვეობითაც აღივსება მისი საჭიროება. ბრძენმა წარმოაჩინოს თავისი სიბრძნე არა სიტყვებით, არამედ კეთილი საქმეებით. თავმდაბალი ნუ დაუდგება საკუთარ თავს მონმედ ამაში, არამედ სხვა დაემონმოს მას.<sup>3</sup> ხორციელად უბინო ნუ იყოყორებს ამით, იცოდეს, რომ სხვა არის, ვინც მას მიჰმადლა თავშეკავება. 3. დაფიქრდეთ, ძმებო, რომელი ნივთიერებიდან ვართ წარმოშობილნი, როგორნი და ვინ ვიყავით სამყაროში მოსვლისას, რომელი საფლავიდან და წყვდიადიდან შემოგვიყვანა ჩვენმა შემქმნელმა

1. ასეთი თანამდებობა არ არსებობდა რომაულ ჯარში. იგი დასტურდება მოსეს უდაბნოს ბანაკებში.

2. შდრ. ეფრემ ასური, *ნისიბის ჰიმნები*, 15.1,3,19-20.

3. შდრ. 30.7.

და შემოქმედმა თავის სამყაროში, მას შემდეგ, რაც ჩვენს დაბადებამდე, წინასწარ შეამზადა თავისი ქველმოქმედებანი. 4. ამიტომაც, რადგან მისი მეშვეობით ვფლობთ ამ ყოველივეს, გვმართებს ყველაფრისთვის მადლობა აღვუვლინოთ მას, რომელსაც დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

## **თავი XXXIX**

### **პატივმოყვარეობის ამაოება**

1. უგუნური და უგულისყურონი, სულელი და უზრდელი ადამიანები დაგვცინიან და გვამასხარავენ, რადგან სწადათ, საკუთარ ფიქრებში აღიმალღონ თავისი თავი. 2. განა რა შეუძლია მოკვდავს? ან რა ძალა შეიძლება ჰქონდეს მიწისგან შობილს? 3. რამეთუ დაწერილია: „არ იყო სახება ჩემს თვალთა წინაშე, არამედ სიო, და მესმოდა ხმა: 4. მაშ, რა? ნუთუ აღმოჩნდება წმინდა ადამიანი უფლის წინაშე? ან ისეთი ადამიანი, რომელიც თავის ქმედებებში უმნიცვლო იქნება? თუ თავის მსახურებშიც შეაქვს ეჭვი და თავის ანგელოზებშიც ამჩნევს რაღაც ნაკლულევანებას?“ (იობი, 4.16-18). 5. „ზეცაც კი არ არის წმინდა მის წინაშე“ (იობი, 15.15), „ისინი, რომლებიც სახლობენ თიხის სახლებს, რომელთაგანნი ვართ თავად ჩვენც (იმავე თიხისაგან წარმოვიშვით), ჩრჩილივით გაანადგურა და განთიადიდან საღამომდე უკვე აღარ არიან: დაიხოცნენ იმის გამო, რომ ვერ შესძლეს, ეშველათ საკუთარი თავისთვის. 6. მოჰბერა მათ და დაიხოცნენ, რადგან სიბრძნე არ გააჩნდათ“ (იობი, 4.19-22). 7. „შეჰლალადე, იქნებ გიშველოს ვინმემ, ან დაინახო ვინმე წმინდა ანგელოზთაგან. რადგან უგუნურს რისხვა ანადგურებს, შეცთომილს კი შური კლავს. 8. მე ნანახი მყავს ფესვგადგმული უგუნურები, მაგრამ მყისვე შეიჭამა მათი საცხოვრებელი. 9. შორს იყვნენ მათი ძენი ცხონებისაგან! მათზე უნაკლულევანესთა დაამცირონ ისინი კარიბჭეებთან და არავინ იყოს მათი მხსნელი. რადგან იმას, რაც მათ მოიმზადეს, მართალნი შეჭამენ, ისინი კი ბოროტთაგან თავს ვერ დაიხსნიან“ (იობი, 5.1-5).

## თავი XL

### ეკლესიაში ღვთისმსახურთა ხელდასხმა უფლის ნებით

1. რადგანაც ეს ყველაფერი ჩვენთვის წინდანი იყო განცხადებული და ჩვენ ჩავკვირებოთ<sup>1</sup> ღვთაებრივი ცოდნის სიღრმეს (რომ. 11.33), ამიტომ გვმართებს იმ ყველაფრის თანმიმდევრულად კეთება, რისი აღსრულებაც ბრძანა მეუფემ შესაბამის დროს. 2. მან ბრძანა მსხვერპლშენიშვნათა და ღვთისმსახურებათა აღსრულება ყურადღებით და არა ალაღბედზე ან უნესრიგოდ, არამედ საამისოდ განსაზღვრულ დროსა და ჟამს. 3. ხოლო სად და ვისი მეშვეობით სურს ამის აღსრულება, თავად განსაზღვრა თავისი უზენაესი ნებით, რათა ყველაფერი სჯულიერად ხორციელდებოდეს, მის სათნოდ და მისი ნებისათვის შესაწყნარებლად. 4. ამგვარად, ისინი, ვინც დადგენილ დროს აღავლენენ თავიანთ მსხვერპლს, შეწყნარებულნი და ნეტარნი არიან, რადგან მიჰყვებიან მეუფის მცნებებს და არ სცოდავენ. 5. მღვდელმთავარს თავისი ღვთისმსახურებანი აქვს მინდობილი, მღვდელთ თავისი ადგილი<sup>2</sup> აქვთ მიკუთვნებული, ლევიტელებს – საკუთარი მსახურებანი ანევეთ, ერისკაცი კი საერო ვალდებულებებით არის შებოჭილი.

## თავი XLI

### ღვთისმსახურთა პასუხისმგებლობა უფლის წინაშე

1. თითოეულმა ჩვენგანმა, ძმებო, თავის მხრივ, მაღლობა აღუვლინოს ღმერთს სუფთა სინდისით, იყოს თავშეკავებული და არ გარდავიდეს თავისი მსახურების განსაზღვრულ კანონს. 2. არ შეინიშნება ყველგან, ძმებო, მუდმივალსაველენი მსხვერპლი<sup>3</sup> (გამოსლ. 29.42/43), სავედრებელი შესანიშნავი, ზვარაკი ცოდვათა და შეცდომათათვის, არამედ მხოლოდ იერუსალიმში, და იქაც არა ყოველ ადგილას, არამედ ტაძრის წინ, მას შემდეგ, რაც შესანიშნავი დაკვირვებით შემოწმდება<sup>4</sup> მღვდელმთავრისა

1. შდრ. 45.2, 53.1.

2. იგულისხმება მათი წოდება.

3. *θυσια ἐπιτελεσιμωσιν*.

4. *μαμοσκοπειν*. ზვარაკი წინდანი მონმდებოდა, რადგან ღვთის შესანიშნავი უნაკლო უნდა ყოფილიყო.

და ზემოხსენებულ ღვთისმსახურთა მიერ. 3. ისინი, ვინც იმის წინააღმდეგ სჩადიან რაიმეს, რაც მისი ნების შესაბამისია, სასჯელად სიკვდილს ღებულობენ. 4. ხედავთ, ძმებო, რამდენადაც მეტი ცოდნის<sup>1</sup> ღირსნი ვხდებით, იმდენად მეტად ვექვემდებარებით განსაცდელს.

## თავი XLII

### ეკლესიაში სასულიერო პირთა ხელდასხმა მოციქულთა მიერ

1. მოციქულები ჩვენ სახარების საქადაგებლად გამოგვიგზავნა უფალმა იესო ქრისტემ, იესო ქრისტე კი ღმერთმა მოგვივლინა. 2. ქრისტე არის ღვთისგან, მოციქულები კი ქრისტესგან, ეს ორივე ღვთის ნებისაებრ განხორციელდა, შესაბამისი მიმდევრობით. 3. მას შემდეგ, რაც მიიღეს შეგონებანი, მას შემდეგ, რაც რწმენით აღავსო ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს აღდგომამ და განმტკიცდნენ ღვთის სიტყვაში, მოციქულები, სულიწმინდის სრული რწმენით გაემართნენ ღვთის მომავალი სასუფევლის შესახებ სახარებლად. 4. ისინი ქადაგებდნენ სოფლებსა და ქალაქებში და, სულიწმინდით გამოცდის შემდეგ (1ტიმ. 3.10,2-7; ტიტ. 1.5-8; 1იოანე, 4.1), დააყენეს ეპისკოპოსებად და დიაკვნებად მათი პირველნაყოფნი<sup>2</sup> მომავალი მორწმუნეებისათვის. 5. და ეს არ იყო ახლად შემოღებული რამ, რადგან ეპისკოპოსთა და დიაკონთა შესახებ მრავალი წლით ადრე იქნა დანერვილი. წმინდა წერილი ასე ამბობს ერთგან: „დავადგინო მათი ეპისკოპოსები სიმართლეში და მათი დიაკვნები რწმენაში“ (მდრ. ესაია, 60.17).<sup>3</sup>

---

1. საუბარია სულიერ ცოდნაზე და ზოგადად, ქრისტიანულ სარწმუნოებაზე.

2. ἀρχὴ ‘პირმშობი’, ‘პირველნაყოფი’.

3. καταστήσω τοὺς ἐπισκόπους ἀπ’ αὐτῶν ἐν δικαιοσύνῃ καὶ τοὺς διακόνους ἀπ’ αὐτῶν ἐν πίστει. სუბტუაგინტას შესაბამისი მონაკვეთი (καὶ δώσω τοὺς ἀρχιστᾶς σου ἐν εὐρίῃ καὶ τοὺς ἐπισκόπους σου ἐν δικαιοσύνῃ) გარკვეულწილად სხვაობს ჩვენი ტექსტისაგან. როგორც ჩანს, კლიმენტი რომაელს ძველი ალთქმის განსხვავებული რედაქცია ჰქონდა ხელთ. *მცხეთურ ხელნაწერში* ეს სტრიქონი შემდეგნაირად არის თარგმნილი: „მივსცნე მთავარნი შენნი მშვიდობით და ზედამხედველნი შენნი სიმართლით“ (მდრ. ბაჩანა ბრეგვაძის თარგმანი: „შენს განმგებულად მშვიდობას გავხდი და ზედამხედველად – სიმართლეს“). დიაკვნები ამ სტრიქონებში ნახსენები არ არიან.

## თავი XLIII მოსე და სამღვდლო ღირსება

1. და რა არის განსაცვიფრებელი იმაში, თუ მათ, ვისაც ღვთის მიერ ქრისტეს წინაშე მიენდო ეს საქმე, დაადგინეს ზემოხსენებული პირები? ნეტარმა მოსემ, „სარწმუნო მსახურმა მთელს მის სახლში“<sup>1</sup> (რიცხ. 12.7; ებრ. 3.2,5), ყოველივე მისთვის ნაბრძანები ასახა წმინდა წიგნებში და მას მიჰყვნენ დანარჩენი წინასწარმეტყველებიც, რომლებმაც დაამონმეს მის მიერ დაკანონებული. 2. როდესაც მღვდლობასთან დაკავშირებით შუღლი ჩამოვარდა და ტომები დავობდნენ, რომელი მათგანი უნდა შემკულიყო დიდებული სახელით (2სჯ. 28.58), მან უბრძანა თორმეტ ტომთმთავარს, მიეტანათ მისთვის კვერთხები, რომელთაგან თითოეულზე თითოეული ტომის სახელი იქნებოდა წარწერილი. და აილო ისინი, შეკრა და დაბეჭდა ტომთმთავართა ბეჭდებით და დადო ისინი მოწმობის კარავში,<sup>2</sup> ღვთის ტრაპეზზე. 3. და დაკეტა კარავი და დაბეჭდა კლიტეები, ისევე, როგორც კარები. 4. და უთხრა მათ: „ძმებო, რომელი ტომის კვერთხიც გაიფურჩქნება, იგი გამოურჩევია ღმერთს თავისი სამღვდლო მსახურებისა და ღვთისმსახურებისათვის“. 5. როდესაც განთიადი დადგა, დაუძახა მთელს ისრაელს, ექვსასი ათას ადამიანს და უჩვენა ტომთმთავრებს ბეჭდები, გაალო მოწმობის კარავი და გამოიტანა კვერთხები; და აღმოჩნდა, რომ აარონის კვერთხი არა მხოლოდ აყვავებულიყო, არამედ ნაყოფიც ჰქონდა გამოღებული (რიცხ. 17.17-24). 6. როგორ ფიქრობთ, საყვარელნო, განა არ იცოდა მოსემ წინასწარ, რომ ეს უნდა მომხდარიყო? რა თქმა უნდა, იცოდა, მაგრამ იმისათვის, რომ ისრაელში არ დაწყებულიყო მღელვარება, ასე მოიქცა სადიდებლად ჭეშმარიტი და ერთადერთი უფლის (იოანე, 17.3) სახელისა, რომელსაც დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

1. შდრ. 17.5.

2. ἢ τῶν τοῦ ματθαίου, ძველი აღთქმის *მცხეთური ხელნაწერის* რედაქციაში იგი თარგმნილია, როგორც „კარავი წამებისა“ (რიცხ. 1.1) და „კარავი სანამებელი“ (გამოსლ. 33.7), ბაჩანა ბრეგვაძის თარგმანში კი როგორც „სადღესასწაულო კარავი“.



## თავი XLIV

### მოციქულთა მიერ ღვთისმსახურთა ხელდასხმისთვის დადგენილი კანონები

1. ჩვენმა მოციქულებმა უფალი ჩვენი იესო ქრისტეს მეშვეობით იცოდნენ, რომ დაიწყებოდა შუილი ეპისკოპოსის სახელისათვის.<sup>1</sup> 2. ამ მიზეზის გამო, რადგანაც ამის სრული წინასწარი ცოდნა ჰქონდათ, დაადგინეს ზემოხსენებულნი,<sup>2</sup> და ამასთან ერთად, დაუნესეს კანონი, მემკვიდრეობით როგორ უნდა გადასცემოდა სხვა გამოცდილ ადამიანებს მათი საღვთისმსახურო პატივი,<sup>3</sup> მათი გარდაცვალების შემთხვევაში. 3. ხოლო ისინი, რომლებიც დაადგინეს მოციქულებმა ან მათ შემდგომ სხვა სახელოვანმა ადამიანებმა მთელი ეკლესიის თანხმობით,<sup>4</sup> რომლებიც შეუცთომლად ემსახურებოდნენ<sup>5</sup> ქრისტეს სამწყსოს თავმდაბლობით, მშვიდობით და მოკრძალებით, და მრავალი წლის განმავლობაში ყველასგან მოწონებას იმსახურებდნენ, მათ ღვთისმსახურებისაგან ჩამოშორებას არ მივიჩნევთ სამართლიანად. 4. არცთუ მცირე ცოდვას ჩავიდენთ, თუ მათ, ვინც შეუცდომლად და წმინდად აღავლენდა შესანიშნავს,<sup>6</sup> ჩამოვაშორებთ ეპისკოპოსობას. 5. ნეტარნი არიან ჩვენი წინამორბედი მღვდელნი, რომელთაც ნაყოფიერი და სრულყოფილი (ცხოვრების შემდეგ) გარდაცვალება მიიღეს, რადგან მათ აღარ აქვთ შიში, რომ ვინმე გადააყენებს მათთვის დადგენილი ადგილიდან. 6. ჩვენ ვიცით, რომ ზოგიერთები, ვინც კეთილად მოქალაქობდა, თქვენ გადაგიყენებიათ ღვთისმსახურებისაგან, რომელსაც ისინი შეუცდომლად აღასრულებდნენ.

1. იგულისხმება წოდება.

2. ლაპარაკია მოციქულთა მიერ მღვდელმთავრებად და დიაკვნებად დადგენილ სასულიერო პირთა შესახებ. შდრ. 42.4.

3. τῆν κληρονομίαν.

4. ამის შესახებ წერს წმ. კვიპრიანე კართაგენელი თავის 56-ე ეპისტოლეში სასულიერო პირთა და ესპანელი ხალხის მიმართ. კვიპრიანეს თანახმად, უფალი ბრძანებს მღვდლის დაყენებას მხოლოდ ხალხის თანდასწრებით, რათა დამსწრეებს შეეძლოთ, შესაბამისად, მათი ბოროტმოქმედებების ან დამსახურებების აღნიშვნა, და რათა ეს დაყენება იყოს სამართლიანი, კანონიერი და საზოგადო მსჯავრზე დამყარებული. კვიპრიანე მაგალითისათვის იმონებს ახალ აღთქმასაც (საქმე, 1.15-26, 6.1-6).

5. κληρονομήσαντας, ანუ ღვთისმსახურებას ატარებდნენ.

6. სავარაუდოდ, იგულისხმება წირვის აღსრულება.

## თაზი XLV

### სათნო ადამიანთა მიმართ უწმინდურთა დაპირისპირება

1. იყავით ძლევისმოყვარენი, ძმებო, და მოშურნენი იმასთან დაკავშირებით, რაც ცხონებას ეხება. 2. ჩაუკვირდით წმინდა წერილს, რომელიც ქვეშარიტია და სულიწმინდისეული. 3. იცოდეთ, რომ არაფერი უსამართლო და არც ყალბი არ წერია მასში. თქვენ ვერ იპოვით, რომ მართალნი წმინდა ადამიანებს დაემხოთ. 4. ყოფილან მართალნი დევნილნი, მაგრამ უსჯულოთაგან; დაუპატიმრებიათ, მაგრამ უწმინდურებს; ჩაქოლილნიც ყოფილან ბოროტმოქმედთა მიერ; მოუკლავთ კიდევ მათ, ვინც ცოდვილი და უსამართლო შურით იყო ატანილი. 5. ეს ყველაფერი მათ დიდებით დაითმინეს. 6. რადგან, რა შეიძლება ვთქვათ, ძმებო? განა დანიელი ღვთისმოშიშთაგან იქნა ჩაგდებული ლომთა ხაროში? (დან. 6.17). 7. ან ანანია, აზარია და მისაელი უზენაესის ბრწყინვალე და დიდებული ღვთისმსახურების აღმასრულებელთა მიერ იყვნენ ჩამწყვდეულნი ცეცხლის ღუმელში? (დან. 3.19-20,88). სრულიადაც არა. მაშ ვინ არიან ისინი, ვინც ეს მოიმოქმედა? საძაგელი და ყოველგვარი ბოროტებით აღსავსე ადამიანები. ისინი ისეთ სიშლეგემდე მივიდნენ, რომ სანამებლად მისცეს ადამიანები, რომლებიც წმინდა და უმნიკვლო მიზნით ემსახურებოდნენ ღმერთს, იმათ არ იცოდნენ, რომ უზენაესი არის დამცველი და მფარველი მათი, ვინც წმინდა სინდისით ეთაყვანება მის ყოვლადსახიერ სახელს, რომელსაც დიდება უკუნითი უკუნისამდე. 8. მათ კი, ვინც ეს ყოველივე სასოებით დაითმინეს, წილად მიიღეს დიდება და პატივი, ისინი ამალდნენ და ღვთის მიერ აღირაცხნენ მოსახსენიებლად (შდრ. ფსალ. 68.29) უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

## თაზი XLVI

### სათნო ადამიანთათვის პატივის მიგება

1. ამ მაგალითთა შედგომა გვმართებს ჩვენც, ძმებო. 2. რამეთუ დანერილია: „შეუერთდით წმინდანებს, რადგან ისინი, ვინც მათ უერთდება, განიწმინდება“ (შდრ. 1კორ. 6.16-17).

3. და კიდევ, სხვა ადგილას ამბობს: „უდანაშაულო ადამიან-  
თან უდანაშაულო იქნები, რჩეულთან რჩეული იქნები და გარ-  
ყენილთან – გაირყენები“ (ფსალ. 17.26-27). 4. ამდენად, შე-  
ვეურთდეთ უდანაშაულო და მართალ ადამიანებს, ისინი არი-  
ან ღვთის რჩეულები. 5. რის გამოა თქვენთან დავა, ბრაზი,  
შუღლი და განხეთქილებები? 6. განა ერთი ღმერთი და ერთი  
ქრისტე არ გვყავს და ერთი სული მადლისა არ არის ჩვენზე  
გადმოღვრილი?<sup>1</sup> განა ერთი მოწოდება არ მივიღეთ ქრისტე-  
ში? (ეფეს. 4.4). 7. რისთვის ვარღვევთ და ვგლეჯთ ქრისტეს  
სხეულის ნაწილებს, ამბობს ვანყობთ საკუთარი სხეულის წი-  
ნალმდეგ და ისეთ სიშმაგემდე მივდივართ, რომ გვაავინყდება,  
ერთმანეთის ნაწილები რომ ვართ?<sup>2</sup> (1კორ. 12.12-27; რომ.  
12.4). მოიგონეთ ჩვენი უფალი იესოს სიტყვები. 8. ვინაიდან  
მან თქვა: „ვაი იმ ადამიანს, ერჩივნა მას, რომ არ დაბადებუ-  
ლიყო, ვიდრე შეეცდინა ერთი ჩემს რჩეულთაგან. უმჯობესი  
იქნებოდა მისთვის, ჩამოეკიდა დოლაბი და თავი ზღვისთვის  
მიეცა, ვიდრე გზიდან აეცდინა ჩემს რჩეულთაგან ერთ-ერთი“  
(მათე, 26.24, 18.6; მარკ. 14.21, 9.42; ლუკა, 22.22, 17.1,2). 9.  
თქვენმა განხეთქილებამ მრავალი ააცდინა გზიდან, მრავალი  
სასონარკვეთილებაში ჩააგდო, მრავალი – მერყევი გახადა,  
ყველა ჩვენგანი დაამწუხრა, თქვენი ამბოხი კი გრძელდება.

## თავი XLVII

### ადრინდელი ამბოხის შესახებ კორინთოს ეკლესიაში. ახალი ამბოხის უმძიმესი შედეგები

1. აიღეთ ნეტარი პავლე მოციქულის ეპისტოლე.<sup>3</sup> 2. რას  
ინერება, პირველ რიგში, სახარების<sup>4</sup> დასაწყისში? 3. ჭეშმარი-  
ტად სულიერი შთაგონებით მოგწერათ საკუთარი თავის, კე-  
ფასა და აპოლოსის შესახებ (1კორ. 1.10-12), რადგან თქვენ  
მაშინაც შექმენით დაჯგუფებები. 4. მაგრამ დაჯგუფებებად იმ

1. ἐκχυσί. შდრ. 2.2.

2. შდრ. 37.5.

3. საუბარია მოციქულის პირველ ეპისტოლეზე კორინთელთა მიმართ.

4. იგულისხმება ეპისტოლე კორინთელთა მიმართ.

დაყოფამ ნაკლები ცოდვა შეგამთხვიათ. რადგან თქვენ ნეტარ-სხენებულ მოციქულებს და მათ მიერ დამტკიცებულ ადამიანს მიემხრეთ. 5. ახლა კი დაფიქრდით, ვინ გაგრყვნათ თქვენ და შეამცირა თქვენი სახელგანთქმული ძმათმოყვარეობის დიდებულება. 6. სამარცხვინო, საყვარელო, მეტად სამარცხვინო და ქრისტეს ცხოვრების წესისათვის უღირსი ამბავი ისმის კორინთელთა უმტკიცესი და უძველესი ეკლესიის შესახებ, ერთი თუ ორი პირის გამო, რომელთაც ამბოხი მოაწყვეს მღვდელთა წინააღმდეგ. 7. და ამ ხმამ მოაღწია არა მხოლოდ ჩვენთან, არამედ იმათთანაც, ვინც ჩვენს მოწინააღმდეგე მხარესაა, ისე, რომ თქვენი უგუნურების წყალობით შეურაცხყოფა უფლის სახელს ადგება (შდრ. ეზეკ. 36.20-23; რომ. 2.24; 1ტიმ. 6.1), თქვენს თავს კი განსაცდელს ატეხთ თავს.

## თავი XLVIII

### მოწოდება ამბოხის შეწყვეტისაკენ

1. მაშ, შევწყვიტოთ იგი სწრაფად, შევუვრდეთ მეუფეს და ცრემლებით ვევედროთ, რომ წყალობა მოიღოს, შეგვირიგდეს, და აღგვიდგინოს ჩვენი ძმათმოყვარეობის წმინდა და უმნიკვლო ცხოვრების წესი. 2. სიმართლის კარი – იგი გაღებულია ცხოვრებისათვის, როგორც დაწერილია: „გამიღეთ კარიბჭენი სიმართლისა, რათა შევიდეთ მათში და ვაღიარო უფალი. 3. ეს უფლის კარიბჭეა, მართალნი შევლენ მასში“ (ფსალ. 117.19-20). 4. მრავალი გაღებული კარიბჭიდან ეს არის კარიბჭე სიმართლეში,<sup>1</sup> კარიბჭე ქრისტეში (იოანე, 10.7-9), და ნეტარნი არიან ყველანი, ვინც შედის მასში, წარმართავს თავის სვლას სინმინდესა და სიმართლეში (ლუკა, 1.75), და ყველაფერს აღუშფოთველად აღასრულებს. 5. დაე, იყოს ადამიანი ერთგული (რწმენაში), შეეძლოს (სარწმუნოებრივი) ცოდნის გადმოცემა, იყოს ბრძენი (წმინდა წერილის) სიტყვათა განმარტებაში, იყოს ძლიერი თავის ქმედებებში<sup>2</sup> და იყოს უმნიკვლო (შდრ. 1კორ.

1. *ἡν δὲ διαίτησιν*. იგულისხმება, ჭეშმარიტებაში (შდრ. „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“, იოანე, 14.6).

2. ამ სიტყვებს იმონებს კლიმენტი ალექსანდრიელი (*ხალიჩები*, 1.7.38.8).

12.8-10). 6. რამდენადაც უფრო დიდ პიროვნებად მიიჩნევა, იმდენად მეტად ჰმართებს თავმდაბლობა, ყველასათვის უნდა ეძიებდეს საერთო სარგებელს და არა საკუთარი თავისათვის მხოლოდ.

## თავი XLIX

### ქრისტიანული სიყვარულისაკენ მობრუნება

1. ვისაც ქრისტეს მიმართ აქვს სიყვარული, ქრისტეს მცნებები აღასრულოს (იოანე, 14.15,21,23). 2. ვის შეუძლია განმარტოს (რა არის) ბორკილი ღვთის სიყვარულისა? (კოლ. 3.14). 3. ვის ხელენიფება გადმოსცეს მისი მშვენიერების დიდებულება? 4. სიმაღლე, რომლისკენაც აჰყავს სიყვარულს, გამოუთქმელია. 5. სიყვარული გვაერთიანებს ღმერთთან. სიყვარული ფარავს ცოდვათა სიმრავლეს (1პეტრე, 4.8), სიყვარული ყველაფერს შეინყნარებს, ყველაფერს მოთმინებით ღებულობს. სიყვარულში არაფერია მდაბალი, არც მედიდური. სიყვარული არ ინვევს განხეთქილებას, სიყვარული არ აწყობს ამბოხს, სიყვარული ყველაფერს თანხმობით აკეთებს. სიყვარულით მიაღწია სრულყოფილებას ღვთის ყველა რჩეულმა. სიყვარულის გარეშე არაფერია საამო ღვთისათვის. 6. სიყვარულით შეგვიწყნარა ჩვენ მეუფემ, სიყვარულის მიზეზით, რომელიც ჰქონდა ჩვენს მიმართ, ღვთის ნებით, თავისი სისხლი გაიღო ჩვენს გამო იესო ქრისტემ, უფალმა ჩვენმა, ხორცი ჩვენი ხორცისათვის და სული ჩვენი სულებისათვის (იოანე, 10.11; 1იოანე, 3.16).

## თავი L

### სრულყოფილების მიღწევა ქრისტიანულ სიყვარულში

1. იხილეთ, საყვარელნო, რაოდენ დიდი და საოცარია სიყვარული, და მიუთხრობელი მისი სრულყოფილება. 2. ვის ძალუძს მისი მოპოვება, თუ ამას ღმერთი არ მინიჭებს? ამიტომ, ვევედროთ და ვითხოვოთ მისი გულმონყალებისგან, რომ უმნიკვლონი მივემთხვიოთ სიყვარულს ადამიანური შუღლის გარეშე.

3. წავიდა ყველა თაობა ადამიდან დღევანდელ დღემდე, მაგრამ მათ, ვინც სრულყოფილი გახდნენ სიყვარულში, ღვთის მადლით დაინარჩუნეს კეთილმსახურთა ადგილი. ისინი განცხადდებიან ღვთის სასუფეველის მოსვლისას.<sup>1</sup> 4. რამეთუ დაწერილია: „შედით შიდა ოთახებში მცირე ხნით, სანამ არ გაივლის რისხვა და მძვინვარება ჩემი, და გავიხსენებ კეთილ დღეს, და აღგადგენთ თქვენ თქვენი საფლავებიდან“ (ესაია, 26.20; ეზეკ. 37.12-13). 5. ნეტარნი ვართ, საყვარელო, თუ ვასრულებთ ღვთის მცნებებს თანხმობაში სიყვარულისა, რათა სიყვარულის მეშვეობით მოგვეტევეს ჩვენი ცოდვები. 6. რამეთუ დაწერილია: „ნეტარნი არიან, რომელთაც მიეტევათ უსჯულოებანი და რომელთა ცოდვებიც დაიფარა. ნეტარია ადამიანი, რომელსაც არ ჩაუთვლის უფალი ცოდვას და რომლის ბაგეზეც არ არის მზაკვრობა“ (ფსალ. 31.1-2; რომ. 4.7-8). 7. ეს ნეტარება (რომ. 4.9) აღსრულდა მათზე, ვინც გამოარჩია ღმერთმა იესო ქრისტეს, ჩვენი უფლის მეშვეობით, რომელსაც დიდება უკუნიითი უკუნისამდე, ამინ.

## თავი LI

### მეამბოხეთათვის შეცდომის მიტევება

1. მაშ, დავიმსახუროთ იმ ყველაფრის მიტევება, რაც შევცოდეთ და მოწინააღმდეგის<sup>2</sup> ჩაგონებების მეშვეობით მოვიმოქმედეთ. მათაც, ვინც ამბოხისა და განხეთქილების წინამძღოლები იყვნენ, ჰმართებთ, საერთო იმედს მიენდონ. 2. რადგან ისინი, ვინც შიშითა და სიყვარულით მოქალაქობენ, უფრო მეტად ამჯობინებენ, თავად ჩავარდნენ უბედურებაში, ვიდრე ისინი მოყვასს შეემთხვეს, და უფრო მეტად არჩევენ, გაიკიცხონ თავად, ვიდრე ჩვენთვის გადმოცემული კეთილი და სამართლიანი ერთობა.<sup>3</sup> 3. ადამიანისთვისაც უმჯობესია, ალიაროს გარდაცდომანი, ვიდრე განიმკაცროს თავისი გული, როგორც ღვთის

1. ἐν τῇ ἐπισκοπῇ τῆς βασιλείας τοῦ Θεοῦ.

2. იგულისხმება „მართალთა მოდგმის მოწინააღმდეგე“ (წმინდა პოლიკარპე სმირნელის მარტვილობა, 17.1).

3. ὁμοφασία სიტყვასიტყვით ‘ერთხმიანობა’, ‘თანხმობა’.

მსახურ მოსეს წინააღმდეგ განმკაცრდა გული ამბოხებულები-სა, რომელნიც ყველას თვალწინ დაისაჯნენ. 4. რამეთუ ისინი ცოცხალნი ჩავიდნენ ჯოჯოხეთში (რიცხ. 16.30-33) და სიკვდილი მწყემსავს მათ (ფსალ. 48.15). 5. ფარაონი და მისი ჯარი, ეგვიპტის ყველა წინამძღოლი, მათი ეტლები და მეეტლები, სხვა რაიმე მიზეზის გამო კი არ დამხრჩვალან და დახოცილან მენამულ ზღვაში, არამედ მათი უგულისხმო გულების გასასტიკების გამო (გამოსლ. 14.23-28, 15.19), მას შემდეგ, რაც ღვთის მსახურმა მოსემ ეგვიპტის მიწაზე ნიშნები და სასწაულები აღასრულა.

## თავი LII

### შემუსვრილი სული – საუკეთესო შესანიშნავი ღვთისთვის

1. საჭიროება, ძმებო, მეუფეს არაფრისა აქვს (საქმე, 17.25), არც არაფერი სჭირდება არავისგან, გარდა მისი აღიარებისა. 2. რადგან ამბობს რჩეული დავითი: „ვალღარებ უფალს და სათნო იქნება მისთვის ახალგაზრდა მოზვერზე მეტად, რომელსაც ამოსდის რქები და ჩლიქები. იხილავენ გლახაკნი და გაიხარებენ“ (ფსალ. 68.31-33). 3. და ისევ ამბობს: „შესწირე ღმერთს მსხვერპლი ქებისა და აღუვლინე უზენაესს ლოცვანი შენნი. და დამიძახე შენი მწუხარების დღეს, და გიხსნი შენ, და განმადიდებ მე (ფსალ. 49.14-15). 4. შესანიშნავი ღვთისა არის სული შემუსვრილი“ (ფსალ. 50.19).

## თავი LIII

### მოსეს სიყვარული ხალხის მიმართ

1. თქვენ იცით, კარგად იცით წმინდა წერილი, საყვარელ-ნო, ჩაუღრმავდით ღვთის სიტყვებს. გწერთ, რომ ისინი გაგახსენოთ. 2. მოსე, როდესაც ავიდა მთაზე და ორმოცი დღე და ორმოცი ღამე მარხვასა (გამოსლ. 34.28; 2სჯ. 9.9) და მორჩილებაში გაატარა, თქვა მის მიმართ ღმერთმა: „მოსე, მოსე, სწრაფად ჩადი აქედან, რადგან უსჯულოება ჩაიდინა შენმა ხალხმა, რომელიც შენ ეგვიპტის მიწიდან გამოიყვანე. უმაღლე

ასცდნენ გზას, რომელიც მცნებად დაუდებ მათ, კერპები ჩამო-  
 ისხეს თავისთვის. 3. და თქვა უფალმა მის მიმართ: გესაუბრე  
 შენ და გითხარი ერთხელ და ორჯერ: ვიხილე ეს ხალხი, და აჰა  
 ქედფიცხელია იგი. დამანებე, ამოვწყვიტო ისინი და წარვხო-  
 ცო მათი სახელი ცისქვეშეთიდან. შენ კი დიდ, საოცარ და ამ-  
 აზე მრავალრიცხოვან ხალხად გაქცევ“ (2სჯ. 9.12-14; გამოსლ.  
 32.10). 4. ხოლო მოსემ უპასუხა: „არა, უფალო, შეუნიდე ცოდვა  
 ამ ხალხს, ან მეც წარმხოცე ცოცხალთა წიგნიდან“ (გამოსლ.  
 32.31-32). 5. ო, დიდო სიყვარულო! ო, შეუდარებელო სრულ-  
 ყოფილებაე! მსახური თამამად ელაპარაკება ბატონს, სთხოვს  
 მიუტევოს ხალხს ან, ევედრება, რომ ისიც წარხოცოს მათთან  
 ერთად.

### თავი LIV ეკლესიაში მშვიდობის აღდგენა

1. მაშ, ვინ არის თქვენს შორის კეთილშობილი? ვინ არის  
 გულმონყალე? ვინ არის აღსავსე სიყვარულით? 2. თქვას მან:  
 თუკი ჩემს გამოა ამბოხი, შუღლი და განხეთქილება, მე წა-  
 ვალ, განგშორდებით, საითაც გნებავთ, და (ხალხის) სიმრავლის  
 ბრძანებებს აღვასრულებ, ოღონდ კი დადგენილ მღვდლებთან  
 მშვიდობით იყოს ქრისტეს სამწყსო.<sup>1</sup> 3. ვინც ამას გააკეთებს,  
 საკუთარ თავს უდიდეს სახელს მოუხვეჭს ქრისტეში, და ყო-  
 ველი ადგილი მიიღებს მას, რადგანაც „უფლისა არის ქვეყნი-  
 ერება და სავსება მისი“ (ფსალ. 23.1). 4. ამას მოქმედებდნენ  
 და მოიმოქმედებენ ისინი, ვინც მოქალაქობს ისეთი საღმრთო  
 ცხოვრებით, რომელსაც არ სჭირდება მონანიება.

---

1. ამ მონაკვეთს, ἐκχαρῶν, ἄπειμα... μόνον τὸ ποίμνιον τοῦ Χριστοῦ ἐί-  
 ρουσεῖται, იმონებებს წმ. ეპიფანე კვიპრელი (27.6) იმის მისათითებლად,  
 რომ კლიმენტიმ თავად დაუთმო რომის ორ სხვა ეპისკოპოსს, ლინოსსა  
 და კლელტოსს, საეპისკოპოსო კათედრა ეკლესიაში მღვდვარების თავიდან  
 ასაცილებლად. ეპიფანეს თანახმად, კლიმენტი ამბობს: „განგშორდები,  
 წავალ, დაე, მშვიდად იყოს ხალხი ღვთისა“ (ἀναχαρῶν, ἄπειμα, εὐσταθείτω  
 ὁ λαὸς τοῦ θεοῦ).



## თავი LV

### მოკვასისათვის თავგანწირვის მაგალითები

1. მოვიყვანოთ წარმართთა მაგალითებიც. მრავალი მეფე და წინამძღოლი, ჟამიანობის დროს, მისანთა მიერ მიცემული რჩევისამებრ საკუთარ თავს სიკვდილს აძლევდა, რათა თავისი სისხლით ეხსნა მოქალაქეები. მრავალი შორდებოდა საკუთარ ქალაქებს, რათა მეტად აღარ გაგრძელებულიყო ამბოხი მათში. 2. მრავალნი ვიცით ჩვენ შორისაც, რომელთაც საკუთარი თავი ბორკილებისთვის გაიმეტეს, რათა სხვები დაეხსნათ. მრავალმა საკუთარი თავი მონობას მისცა და თავისი თავის საფასურით სხვები დააპურა. 3. ღვთის მადლით განმტკიცებულმა მრავალმა ქალმა არაერთი ვაჟკაცობა ჩაიღინა. 4. ნეტარმა ივდითმა, როდესაც ქალაქი ალყაში იყო მოქცეული, უხუცესთაგან უცხოტომელთა ბანაკში წასვლის ნებართვა გამოითხოვა. 5. თავი საფრთხეში ჩაიგდო, ნავიდა სამშობლოსა და ალყაში მყოფი ხალხის სიყვარულის გამო, და უფალმა ჩააგდო ოლოფერნესი ქალის ხელში (ივდ. 8.30-33, 13.4-11). 6. არანაკლებ განსაცდელს მისცა თავი რწმენაში სრულყოფილმა ესთერმა, რათა ისრაელის თორმეტი მუხლი ეხსნა მოსალოდნელი დაღუპვისაგან. მარხვასა და სიმდაბლეში სთხოვდა იგი ყოვლისმხედველ მეუფეს, საუკუნეთა ღმერთს, და მან დაინახა მისი სულის თავმდაბლობა, და დაიხსნა ხალხი, რომლის გამოც მან თავი საფრთხეში ჩაიგდო (ესთ. 4.16, 7.1 და შემდ.).

## თავი LVI

### ღვთის სასჯელი, როგორც მისი წყალობის გამოვლინება

1. და ჩვენც ვილოცოთ მათთვის, ვინც რაიმე ცოდვაში აღმორჩნდა, რათა მიემადლოს მათ სიმშვიდე და თავმდაბლობა, რათა ისინი გვმორჩილებდნენ არა ჩვენ, არამედ ნებას ღვთისა. ვინაიდან ამგვარად გახდება ნაყოფიერი და სრულქმნილი მათი გულმონყალებითი მოხსენიება ღვთისა და წმინდანთა წინაშე (შდრ. 1კორ. 6.2, გამოცხ. 20.4). 2. მივილოთ სასჯელი,<sup>1</sup> რომ-

1. παιδεία ითარგმნება როგორც 'სასჯელი' და როგორც 'განსწავლა'.

ლის გამოც, საყვარელნო, არავინ უნდა აღშფოთდეს. დარიგება, რომელსაც ჩვენ ერთმანეთს ვაძლევთ, კარგია და მეტად სასარგებლო, რადგან იგი ჩვენ ღვთის ნებას შეგვაერთებს. 3. ასე ამბობს წმინდა სიტყვა: „სასჯელით დამსაჯა უფალმა, სიკვდილს კი არ მიმცა“ (ფსალ. 117.18). 4. „რადგან უფალი იმას სჯის,<sup>1</sup> ვინც უყვარს, და სცემს ყველა ძეს, რომელსაც შეინყნარებს“ (იგავ. 3.12; ებრ. 12.6). 5. „დამსჯის მე მართალი, – ამბობს, – მოწყალედ და მამხელს, ნუ განაპოხებს ჩემს თავს ცოდვილთა ზეთი“<sup>2</sup> (ფსალ. 140.5). 6. და კვლავ ამბობს: „ნეტარია ადამიანი, რომელიც ამხილა უფალმა, შეგონებას ყოვლისმპყრობლისა ნუ უარჰყოფ, რადგან იგი ტკივილსაც აყენებს და კვლავაც აღადგენს; 7. დასცემს და მისი ხელები ჰკურნავენ. 8. ექვსგზის დაგისხნის გაჭირვებისგან, მეშვიდეჯერ კი არ შეგეხება უბედურება. 9. შიმშილის დროს დაგისხნის შენ სიკვდილისაგან, ომის დროს გადაგარჩენს ხელთაგან მახვილისა. 10. ენის მიერ მიყენებული ჭრილობისაგან დაგიფარავს და მოახლოებული უბედურებებისა არ შეგეშინდება. 11. შენ დასცინებ უსამართლოებსა და უსჯულოებს, და არ შეგეშინდება ველური მხეცებისა. 12. რადგან ველური მხეცები მშვიდობიანად მოგექცევიან. 13. შემდეგ, შეიტყობ, რომ მშვიდობა იქნება შენს სახლში, და არ შემცირდება საცხოვრისი შენი კარვისა. 14. შეიტყობ, რომ დიდია შენი შთამომავლობა, შენი შვილები კი ველის სხვადასხვაგვარი ბალახივით არიან. 15. საფლავში ჩახვალ, როგორც მწიფე თავთავი, თავის დროს მომკილი, ან როგორც კალოს ზვინი, თავის ჟამს შეკრებილი“ (იობი, 5.17-26). 16. ხედავთ, საყვარელნო, რაოდენ დიდია მფარველობა იმათ მიმართ, ვინც მეუფის მიერ არის დასჯილი, რადგან, როგორც სახიერი მამა, იგი სჯის, რათა მივიღოთ შეწყალება მისი წმინდა სასჯელისაგან.

1. παιδένει. იხ. წინა სქოლიო.

2. აქ საუბარია ცოდვილთა პირფერობისა და მათ მიერ მონიჭებული ამქვეყნიური სიამოვნებების შესახებ.

## თაზი LVII

### მონოდება მეამბოხეთა მიმართ ღვთისა და სასულიერო პირთა მორჩილებისაკენ

1. ამგვარად, თქვენ, რომელთაც ამბოხება წამოიწყეთ, დაემორჩილეთ მღვდლებს<sup>1</sup> (შდრ. 1კორ. 5.5), მოიყარეთ მუხლები თქვენი გულისა და მიიღეთ სასჯელი მონანიებით. 2. ისწავლეთ მორჩილება, გადადეთ გვერდზე ყოყოჩი და მედიდური თავნებობა თქვენი ენისა, რადგან უმჯობესია თქვენთვის, ქრისტეს სამწყსოში იყოთ მცირენი და გამორჩეულნი (შდრ. ზირ. 44.17-20), ვიდრე აღმატებულნი ჩანდეთ და წაგერთვათ თქვენი სასოება. 3. რადგან ამგვარად ამბობს ყოვლადსათნო სიბრძნე:<sup>2</sup> „აჰა, წინაგყოფთ თქვენ ჩემი სუნთქვის ამონათქვამს, ჩემს სიტყვას გასწავლით. 4. რადგანაც გეძახოდით და არ გამიგონეთ, სიტყვა განვაგრცე და არ შეისმინეთ, არამედ უგულვებლყავით ჩემი რჩევები, ჩემს მხილებებს კი არ დაემორჩილეთ, ამიტომ მეც გავიცინებ თქვენი წარწყმედის გამო, გავიხარებ, როდესაც დალუპვა მოაწვეს თქვენზე, როდესაც უეცრად თავზარი დაგეცემათ, როცა თავს დაგატყდებათ განადგურება გრიგალის მსგავსი, ან როდესაც მოაწვეს თქვენზე ალყა და ვაება. 5. მოხდება ისე, რომ მე მომიხმობთ, მე კი არ შევისმენ თქვენსას; ძებნას დამიწყებენ ბოროტნი და ვერ მიპოვიან. რადგან მათ მოიძულეს სიბრძნე, არ არჩიეს მოშიშება უფლისა, არც ჩემი რჩევების მიდევნება მოისურვეს, არამედ იცინოდნენ ჩემს მხილებებზე. 6. ამიტომაც საკუთარი საქციელის ნაყოფს იგემებენ და თავიანთი უწმინდურობით დანაყრდებიან.<sup>3</sup> 7. რადგან იმის გამო, რომ ავნეს ჩვილებს, დახოცავენ მათ და უწმინდურებს განკითხვა გაანადგურებს. ხოლო რომელიც მომისმენს მე, დაემკვიდროს სასოებით, და იყოს უშიშრად ყოველგვარი ბოროტებისგან“ (იგავ. 1.23-33; ზირ. 4.15).

1. იგულისხმება ზოგადად სასულიერო პირები.

2. ἢ παύρετος σοφία.

3. ამ მონაკვეთში ალექსანდრიულ ხელნაწერს აკლია ერთი ფურცელი.

## თავი LVIII მონოღება ღვთის მორჩილებისაკენ

1. ამიტომ, დავემორჩილოთ მის ყოვლადწმინდა და დიდებულ სახელს, გავექცეთ ურჩთა მიმართ (უზუნაესი) სიბრძნის მიერ მოსწავებულ მუქარას, რათა მისი დიდებულების უწმინდეს სახელზე სასოებით დავემკვიდროთ<sup>1</sup> (2სჯ. 33.12,28; იგავ. 1.33). 2. მიიღეთ ჩვენი რჩევა და არ შეინანებთ. რადგან ცოცხალია ღმერთი და ცოცხალია უფალი (1მეფ. 14.39,45) იესო ქრისტე და სულიწმინდა, რომელიც რჩეულთა რწმენაა და სასოება, რადგან ის, ვინც ღვთის მიერ მოცემულ მცნებებსა და სჯულდებებს აღასრულებს შეუნანებლად, თავმდაბლობითა და უწყვეტი სიმშვიდით, აღირაცხება და მისი სახელი შეტანილი იქნება იმათ რიცხვში, ვინც ცხონდება იესო ქრისტეს მეოხებით, რომლის მიერაც დიდება მას უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

## თავი LIX ქრისტიანული გაფრთხილება მუამბოხეების მიმართ. ლოცვა

1. ხოლო თუკი ზოგიერთები არ ერწმუნებიან მის მიერ ჩვენი მეშვეობით ნათქვამს, იცოდნენ, რომ განდგომასა და არცთუ მცირე საფრთხეში ჩააგდებენ საკუთარ თავს. 2. ჩვენ კი თავისუფალნი ვიქნებით ამ ცოდვისაგან, და შევთხოვთ ვრცელი ლოცვით და ვედრებით, რომ ყოველთა შემოქმედმა თავის რჩეულთა აღნუსხული რიცხვი (შდრ. გამოცხ. 17.14, 6.11) უვნებლად დაიცვას მთელს სამყაროში მისი საყვარელი ძის, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიერ, რომლის მეშვეობითაც მოგვიწოდა ბნელისაგან ნათლისაკენ (საქმე, 26.18; შდრ. ესაია, 42.16) და უცოდინარობიდან მისი სახელის დიდების ცოდნისაკენ.

3. (მოგვმადლე, უფალო), სასოება მთელი ქმნილების<sup>2</sup> პირველსაწყისის, შენი სახელის მიმართ, გახსენი ჩვენი გულის თვალები (შდრ. ეფეს. 1.18) შენი ცოდნისათვის, რომელიც ხარ

1. κατασκήνωσάμεν, სიტყვასიტყვით: 'დავიკარვოთ'.

2. πᾶς κτίσις. იგულისხმება მთელი სამყარო, როგორც ღვთის ქმნილება.

ერთადერთი (იოანე, 17.3) უზენაესი უზენაესთა შორის, წმინდა და დავანებული წმინდათა შორის (შდრ. ესაია, 57.15), რომელიც ამდაბლებ ქედმაღალთა ამპარტავნებას (შდრ. ესაია, 13.11), არღვევ წარმართთა ზრახვებს (ფსალ. 32.10), ამაღლებ და მამაბლებულს და ამდაბლებ ამაღლებულს (იობი, 5.11; ესაია, 10.33-34; ეზეკ. 17.24), რომელიც ამდიდრებ და აგლახაკებ (1მეფ. 2.7), კლავ და ცხოველსჰყოფ (2სჯ. 32.39; 1მეფ. 2.6; 4მეფ. 5.7), რომელიც სულდგმულთა ერთადერთი მწყალობელი ხარ და ღმერთი ყოველი ხორციელისა (რიცხ. 16.22, 27.16), შთამხედველი უფსკრულთა შორის (დან. 3.54), მჭვრეტელი ადამიანთა ქმედებებისა (შდრ. ესთ. 5.1), განსაცდელში ჩავარდნილთა ქომაგი, სასონარკვეთილთა მხსნელი (ივდ. 9.11), შემქმნელი და მფარველი<sup>1</sup> ყოველი სულისა, ხალხთა განმამრავლებელი დედამიწაზე და შენს მოყვარეთა ყველასაგან გამომარჩეველი, იესო ქრისტეს, შენი საყვარელი ძის<sup>2</sup> მეოხებით, რომლის მიერაც განგვსწავლე, განგვწმინდე და ყურადღებით აგვავეს (შდრ. იოანე, 12.26, 17.17). 4. გვედრებით, მეუფეო, იყავი ჩვენი შემწე და მშველელი (ფსალ. 118.114), დაიხსენი ის ჩვენგანნი, რომელნიც მწუხარებაში იმყოფებიან, თავმდაბალნი შეიწყალე,<sup>3</sup> დაცემულნი წამოაყენე, მავედრებლებს დაენახვე, უძღურნი განკურნე, მოაქციე ისინი, ვინც გზას ასცდა შენი ხალხიდან (შდრ. ეზეკ. 34.16), მწყურვალნი დაარწყულე, შებორკილი ჩვენგანნი გამოიხსენი, სნეულნი აღადგინე (იობი, 4.4), სულმოკლეები გაამხნევე, დაე, იცოდეს ყველა წარმართმა, რომ შენ ხარ ერთი ღმერთი (3მეფ. 8.60; 4მეფ. 19.19; ესაია, 37.20; ეზეკ. 36.23; იოანე, 17.3), და იესო ქრისტე – ძე<sup>4</sup> შენი, და ჩვენ – ხალხი შენი და ცხვარნი შენი სამწყსო-საძოვარისა (ფსალ. 78.13).

1. ἐπίσκοπος.

2. τὸν ἡγαπημένον παῖδός.

3. „თავმდაბალნი შეიწყალე“ გვხვდება მხოლოდ იერუსალიმურ ნუსხაში.

4. ὁ παῖς.

## თავი LX ლოცვა (გაგრძელება)

1. შენი მოქმედებებით შენ ხილული გახადე სამყაროს მარადიული წყობა<sup>1</sup> (შდრ. სიბრძ. 7.17); შენ, უფალო, შექმენი მსოფლიო, შენ, რომელიც სარწმუნო ხარ ყველა თაობაში (2სჯ. 7.9), სამართლიანი განაჩენებში, საკვირველი ძალითა და დიდებულებით, შექმნისას ბრძენი და შექმნილის დაფუძნებისას კეთილგონიერი, სახიერი ხილვადში და სარწმუნო მათ მიმართ, ვისაც სასოება შენზე დაუმყარებია, შემწყალებელი და გულმონყალე (ზირ. 2.11), შეგვიხმე უსჯულოებანი და უსამართლოებანი, გარდაცდომანი და შეცოდებანი ჩვენი.

2. ნუ აღრიცხავ შენს მონათა და მსახურთა ყოველ ცოდვას, არამედ განგვწმინდე შენი ჭეშმარიტებისმიერი განწმენდით (იოანე, 17.17), და წარმართე ჩვენი ნაბიჯები გულის სინმინდემი სავალად (ფსალ. 39.3, 118.133; 3მეფ. 9.4) და სიკეთისა და სათნო საქმეთა საკეთებლად შენსა და ჩვენს მთავართა წინაშე (2სჯ. 6.18, 12.25, 28, 13.19, 21.9).

3. დიახ, მეუფეო, გამოგვიცხადე სახე შენი (რიცხ. 6.25; ფსალ. 30.17, 66.2) მშვიდობით, ჩვენი სიკეთისათვის, რათა დაცულნი ვიყოთ შენი მტკიცე ხელით (გამოსლ. 6.1; შდრ. ესაია, 51.16) და დახსნილნი ყოველგვარი ცოდვისაგან შენი მაღალი მკლავით (2სჯ. 4.34, 5.15), დაგვიხსენი ჩვენ უსამართლოდ მოძულეთაგან (შდრ. ფსალ. 17.18, 105.10).

4. მოგვმადლე ერთსულოვნება და მშვიდობა ჩვენ და დედამიწის ყოველ მცხოვრებს, როგორც ჩვენს წინაპრებს ებოძათ იგი, როდესაც სჯულიერად მოგიწოდეს რწმენითა და ჭეშმარიტებით (შდრ. ფსალ. 144.18), რადგან დავემორჩილეთ შენს ყოვლისმპყრობელ და ყოვლადსათნო სახელს,<sup>2</sup> და ჩვენს გამგებლებსა და წინამძღოლებს დედამიწაზე.

---

1. τῆς ἀέναου τοῦ κόσμου σύστασις. მცხეთურ ხელნაწერში σύστασις თარგმნილია, როგორც „შესაქმე“. შდრ. ასევე, ἡ τοῦ κόσμου σύστασις (პლატონი, ტიმეოსი, 32c).

2. შდრ. 45.7, 43.2.

## თავი LXI ლოცვა (დასასრული)

1. მეუფეო, შენ მიეცი მათ მეფობის ძალაუფლება შენი დიდებული და მიუთხრობელი ძალის მეშვეობით, იმისათვის, რომ გვცოდნოდა შენ მიერ მათთვის მიცემული დიდებისა და მათდამი დაქვემდებარების პატივის შესახებ, და რომ არაფრით უნდა შევეწინააღმდეგოთ შენს ნებას. მიჰმადლე მათ, უფალო, ჯანმრთელობა, მშვიდობა, ერთსულოვნება და სიმტკიცე, რათა შეუცდომლად განახორციელონ შენ მიერ მათთვის ნაწყალობევი წინამძღოლობა. 2. შენ, მეუფეო ზეციერო, მეფეო საუკუნეთაო<sup>1</sup> (ტობ. 13.7,11; 1ტიმ. 1.17), კაცთა ძეთ<sup>2</sup> მოანიჭე დიდება, პატივი და ძალაუფლება მინიერ ქმნილებებზე. წარმართე, უფალო, მათი ნება სიკეთისაკენ და იმისაკენ, რაც სათნოა შენთვის, რათა შენ მიერ მათთვის ბოძებული ძალაუფლება ღვთისმოსავობით განახორციელონ მშვიდობასა და სახიერებაში და შენს წყალობას მიემთხვიონ. 3. შენ ხარ ერთადერთი, რომელსაც ხელგენიფება მოიმოქმედო ამგვარი და უმჯობესი კეთილი ქმედებანი ჩვენთვის,<sup>3</sup> შენ მიმართ აღვავლენთ ქებას ჩვენი სულების მფარველისა და მღვდელმთავრის, იესო ქრისტეს მეოხებით, რომლის მიერაც დიდება შენ და დიდებულება, ან და თაობიდან თაობამდე და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

## თავი LXII

### ქრისტიანის მოვალეობა – ღვთისსათნო საქმეთა მოქმედება

1. მათთვის, ვისაც კეთილმსახურებით და სიმართლით სურს თავისი სავალის გაუმჯობესება, იმ საკითხთა შესახებ, რომელიც ეხება ჩვენს სარწმუნოებას<sup>4</sup> და ყველაზე სასარგებლოა სათნო ცხოვრებისათვის, საკმარისად მოგწერეთ, ძმებო. 2. რწმენის, მონანიებისა და ჭეშმარიტი სიყვარულის, თავშეკა-

1. შდრ. 35.3.

2. ანუ ადამიანებს.

3. *μᾶθ' ἡμῶν* ძველი აღთქმიდან მომდინარე ებრაიზმია. შდრ. ფსალ. 125.3 *მცხეთურ ხელნაწერში*, სადაც *μᾶθ' ἡμῶν* „თვის“ თანდებულთ არის თარგმნილი. იხ. ასევე, *Clément de Rome*, 1971, გვ. 200, შენ. 3.

4. *θρησκεία*, სიტყვასიტყვით: ღვთის თაყვანისცემა.

ვების, გონიერებისა და მორჩილების შესახებ ყველა საკითხს შეეხებთ, მოგაგონეთ, რომ გმართებთ სიმართლეში, ჭეშმარიტებასა და მოთმინებაში წმინდა ცხოვრებით სათნო-ეყოთ ყოვლისმპყრობელ ღმერთს, იყოთ ერთსულოვანი გულღვარდლიანობის გარეშე და ცხოვრობდეთ სიყვარულსა და მშვიდობაში, უწყვეტი სიმშვიდით, ისე, როგორც ზემოხსენებული ჩვენი მამები აამებდნენ თავმდაბლობით მამას, ღმერთსა და შემოქმედს, და ყველა ადამიანს. 3. და ეს მით უფრო დიდი სიამოვნებით მოვიგონეთ, რამდენადაც, ზუსტად ვიცით, რომ ვწერთ მორწმუნე და ყველაზე სახელოვან ადამიანებს, რომლებიც კარგად სწვდებიან ღვთის მოძღვრების სიტყვებს.

### თავი LXIII

#### მონოღება ამბოხის დასრულებისა და მშვიდობის დამყარებისაკენ

1. შესაბამისად, სამართლიანი იქნება, მივყვეთ ამგვარ და ამდენად მნიშვნელოვან მაგალითებს, მოვიდრიკოთ ქედი (ზირ. 51.26), დავიკავოთ მორჩილების ადგილი (შდრ. 1კორ. 14.16) და მივყვეთ მათ, ვინც ჩვენი სულების წინამძღოლია, რათა დავმშვიდდეთ ამაო ამბოხისაგან და ყოველგვარი ბინის გარეშე მივალწიოთ ჩვენს წინ, ჭეშმარიტებაში არსებულ მიზანს. 2. ბედნიერებასა და სიხარულს მოგვანიჭებთ, თუ დაემორჩილებით სულიწმინდის მიერ ჩვენგან დაწერილს, მოიკვეთთ თქვენი შუღლის უწმინდურ რისხვას იმ შეგონების თანახმად, რომელიც ამ ეპისტოლეში მოგწერეთ მშვიდობისა და ერთსულოვნების თაობაზე. 3. ამასთან ერთად, ჩვენ გამოვაგზავნეთ ერთგული და ბრძენი ადამიანები, რომლებმაც ყმანვილობიდან მოხუცებულობამდე უმნიკვლოდ დაჰყვეს ჩვენთან, ისინი მოწმენი იქნებიან თქვენსა და ჩვენ შორის (შდრ. დაბ. 31.44). 4. ეს კი იმისათვის გავაკეთეთ, რათა დაინახოთ: მთელი ჩვენი ზრუნვა იყო და არის მიმართული იმისაკენ, რომ მალე მიაღწიოთ მშვიდობას.



## თავი LXIV

### ქრისტიან მორწმუნეთა დალოცვა

1. ბოლოს კი, დაე, ღმერთმა ყოვლისმხედველმა, მეუფემ სულთა და უფალმა ყოველი ხორციელისა (რიცხ. 16.22, 27.16),<sup>1</sup> რომელმაც გამოირჩია უფალი იესო ქრისტე და მისი მეოხებით დაგვსახა გამორჩეულ ხალხად (შდრ. 2სჯ. 7.6, 14.2, 26.18; გამოსლ. 19.5; ტიტ. 2.14), მოჰმადლოს ყოველ სულს, რომელიც შეჰლალადებს მის დიდებულ და ნმინდა სახელს, რწმენა, მოშიშება, მშვიდობა, დათმენა, მოთმინება, თავშეკავება, უბინოება და სიბრძნე მისი სახელისათვის სათნო-ყოფად, ჩვენი მღვდელმთავრისა და მფარველის, იესო ქრისტეს მეოხებით, რომლის მიერაც დიდება მას და დიდებულება, ძალა და პატივი, ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე (იუდა, 1.25), ამინ.

## თავი LXV

### ეკლესიაში მშვიდობის დამყარების სწრაფად შეტყობინების თხოვნა. დალოცვა

1. ჩვენ მიერ მოვლინებული კლავდიუს ეფებოსი და ვალერიუს ბიტონი, ფორტუნატუსთან ერთად, მშვიდობითა და სიხარულით სწრაფადვე გამოგზავნეთ ჩვენთან, რათა მალევე გვამცნონ სასურველი და სანადელი მშვიდობისა და ერთსულოვნების შესახებ, რათა უფრო სწრაფად გავიხაროთ ჩვენც თქვენი (ეკლესიის) დამშვიდების გამო. 2. ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მაღლი იყოს თქვენთან და ყოველ იმ ადამიანთან ქვეყნიერების ყველა კუთხეში, ვისაც მოუწოდა ღმერთმა მისი მეშვეობით,<sup>2</sup> რომლის მიერაც დიდება მას, პატივი, ძალა, დიდებულება და საუკუნო ტახტი (შდრ. საქმე, 7.49; გამოცხ. 4.2), საუკუნითან უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

---

1. შდრ. 59.3.

2. იგულისხმება მაცხოვარი.



# მეორე ეპისტოლე კორინთელთა მიმართ

## შესავალი

წმ. კლიმენტი რომაელის მეორე ეპისტოლე კორინთელთა მიმართ ამ ეკლესიის მამის არაავთენტურ (შეცდომით მისთვის მიკუთვნებულ ან ნაყალბევ) ნამუშევრად ითვლება მიუხედავად იმისა, რომ ორივე ხელნაწერში, რომელშიც იგი პირველ ეპისტოლესთან ერთად არის დაცული, მის ავტორად კლიმენტი რომაელია დასახელებული. ნაშრომის პირველი დამონება დასტურდება ევსევი კესარიელის *ეკლესიის ისტორიაში* და მასშიც ამ ტექსტის არაავთენტურობაზეა საუბარი. ევსევი წერს: „არსებობს კლიმენტის მეორედ წოდებული ეპისტოლეც, მაგრამ როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, ის არ არის პირველის მსგავსად სახელგანთქმული და ძველ ავტორებს, რამდენადაც ვიცით, იგი არ გამოუყენებიათ“.<sup>1</sup> წერილის არაავთენტურობას მიუთითებენ ნეტარი იერონიმე<sup>2</sup> და წმ. ფოტიოსი.<sup>3</sup> წმ. კლიმენტის წერილები ენციკლიკური ეპისტოლეების სახელით არის ნახსენები წმ. ეპიფანე კვიპრელთან, რომელიც შენიშნავს, რომ ისინი მის დროს სა-

1. *ეკლესიის ისტორია*, 3.34.4. შდრ. 3.16.1, სადაც ევსევი წერს, რომ კლიმენტი რომაელმა მხოლოდ ერთი ავთენტური ეპისტოლე დატოვა (μία ἐπιστολή φέρεται).

2. „მიუთითებენ მისი სახელით ცნობილ მეორე ეპისტოლესაც, რომელიც ძველ ავტორთა მიერ უარყოფილია“ (*“Fertur et secunda ejus nomine Epistola, quae a veteribus reprobatur“*, იხ. *გამოჩენილ კაცთა ცხოვრება*, 15, PL 23, სვ. 664).

3. „მეორე წერილი, როგორც მას უწოდებენ, მათვე მიმართ, უარყოფილია, როგორც არაავთენტური“ (Ἡ δὲ λεγομένη δευτέρα πρὸς τοὺς αὐτοὺς ἄς ἰσθὺς ἀποδοκιμάζεται), *ბიბლიოთეკა*, 112-113.

ჯაროდ იკითხებოდა ეკლესიებში.<sup>1</sup> მომდევნო ხანებში, განსახილველ ნაშრომს, როგორც კლიმენტი რომაელის მეორე ეპისტოლეს კორინთელთა მიმართ, ასახელებს წმ. იოანე დამასკელი. მის წმინდა პარალელებში ორჯერ გვხვდება ამ წერილის დამოწმება „წმ. კლიმენტი რომაელის მეორე ეპისტოლეს“ სახელწოდებით. პირველ შემთხვევაში იოანე იმონმებს 20.1,3-4 მონაკვეთს „რომის ეპისკოპოსის, წმინდა კლიმენტის მეორე ეპისტოლედან კორინთელთა მიმართ“,<sup>2</sup> რამდენიმე გვერდის შემდეგ კი იგი სათაურით „წმინდა კლიმენტის კორინთელთა მეორე ეპისტოლედან“, იძლევა ფრაგმენტს, რომელიც არ დასტურდება განსახილველ წერილში: „ის, ვინც ყოველივე ამქვეყნიურს, რასაც ზოგიერთები სასიამოვნოდ თვლიან, გრძნობიერად ეტანება, არ არის უცხო და დაშორებული მათგან, ვინც საძულველ ადამიანებად მიიჩნევიან. სიმდიდრე ხომ ხშირად სიღარიბეზე უფრო მეტად აწუხებს ადამიანს და ჯანმრთელობაც სწეულებაზე მეტად სტანჯავს. მთლიანობაში კი, სასიამოვნოსა და სასურველის საფარველი ყოველივე სამწუხაროსა და გარდაუვალის მიზეზი და საგანი ხდება“.<sup>3</sup>

ეპისტოლეს არაავთენტურობაზე მეტყველებს მისი შინაარსობრივი მხარე, წერილის სტილი, რომელიც სხვაობს პირველი ეპისტოლეს ხელწერისაგან. წერილის ანალიზისას წმ. ფოტიოსი შენიშნავს: „მეორე წერილიც შეიცავს რჩევასა და შეგონებას უკეთესი ცხოვრების შესახებ და დასაწყისში წერს, რომ ქრისტე ღმერთია, ზოგიერთ უცხო გამონათქვამს კი, რომელთაგანაც არც პირველი წერილია სრულიად თავისუფალი, იმონმებს, როგორც წმინდა წერილიდან. ზოგიერთი მონაკვეთი უცნაურად

---

1. „მათ თავად კლიმენტი ამხელს მის მიერ დაწერილ ყველა თხზულებაში, ენციკლიკურ ეპისტოლეებში, რომლებიც წმინდა ეკლესიებში იკითხება“ (*მწვალებლობათა წინააღმდეგ*, 30.15).

2. PG 96, სვ. 529.

3. Ὁ τῶν παρόντων αἰσθητικὸς συλλήψιν, ὥς οὔτε ἂ λογίζονται τινες εἶναι τερπνὰ, ξηρὰ καὶ μακρὰν ἔστι τῶν ἀπεχθῶν. Ἄλλὰ καὶ πλοῦτος πολλὰκις μᾶλλον πενίας ἔθλιψε, καὶ ὑγεία πλείον ἤναισε νόσος· καὶ καθόλου τῶν λυπηρῶν καὶ φευκτῶν πάντων ὑπόθεσις καὶ ἴλη ἢ τῶν ἀσπαστῶν καὶ κατ' εὐχῆν περιβόλη γίνεται (PG 96, სვ. 537).

არის განმარტებული. მათში მოწოდებული აზრები არ იცავს მწყობრ თანმიმდევრობას“.<sup>1</sup>

ზოგი მკვლევარი მიიჩნევს, რომ განსახილველი ტექსტის ავტორი არ არის გამოცდილი მწერალი, რომ თხზულებას არ აქვს ჩამოყალიბებული გეგმა, საკითხები კი ზოგჯერ ერთმანეთთან დაუკავშირებელი და არათანმიმდევრულია. მაგრამ, მეორე მხრივ, ნათელია მისი ქრისტიანული მგზნებარება, რწმენის სიღრმე და სიმტკიცე, და შეგონებათა არგუმენტაციის სისწორე და სიძლიერე, რაც სწორედ მოციქულებრივ მამათა ნაწერებს ახასიათებთ.

შინაარსის მიხედვით, როგორც მეცნიერები ასკვნიან, მეორე ეპისტოლე კორინთელთა მიმართ წარმოადგენს არა წერილს, არამედ კლიმენტი რომაელისადმი მიკუთვნებულ ერთ-ერთ ჰომილიას, წირვის დროს სათქმელი ქადაგების ჩანაწერს (შდრ. 19.1, 17.3) ან მის მონაკვეთს, რაზეც მეტყველებს ტექსტის დასაწყისი,<sup>2</sup> სადაც არ არის ნახსენები ადრესატი და არც მისალმებაა დაწერილი, არამედ მოცემულია უშუალოდ მიმართვა მრევლისადმი („ძმებო“, „ძმებო და დებო“, 1.1, 19.1, 20.2). თუკი განსახილველ ტექსტს ქადაგებად მივიჩნევთ, მაშინ იგი აღმოჩნდება პირველი ქრისტიანული ქადაგება, რომელმაც ჩვენამდე ახალი აღთქმისაგან დამოუკიდებლად მოაღწია.

ტექსტის ავტორი ცნობილი არ არის. წერილს მიახლოებით ათარიღებენ II ს-ის შუა ხანებით, 120-140 წწ.,<sup>3</sup> 130-160 წწ. და 120-170 წწ. არგუმენტებს ასეთი დათარიღებებისთვის წარმოადგენს ის, რომ შეხედულებათა ამგვარი გადმოცემა და დასაბუთების მეთოდი ქრისტიანობის საწყისი პერიოდისათვის არის დამახასიათებელი. ამასვე მოწმობს ზოგი ციტირება, მაგალითად, დამონება (იხ. 12.11), რომელიც, როგორც კლიმენტი ალექსანდრიელი სამართლიანად მიუთითებს, არ არის დაცული ჩვენთვის გადმოცემულ ოთხ სახარებაში.<sup>4</sup> ამ ციტირების წყაროს წარმოადგენს გნოსტიკური რელიგიური ტექსტი,

1. ბიბლიოთეკა, 126.

2. შდრ. წმ. კლიმენტი რომაელის პირველი ეპისტოლე, პროლოგი.

3. Clavis, ტ. 1, გვ. 6, N 1003.

4. კლიმენტი ალექსანდრიელი, ხალიჩები, 3.13.92.2.

ეგვიპტელთა სახარება<sup>1</sup> (დაახლ. 120-150 წწ.), რომელსაც ჩვენი ტექსტის ავტორი, სავარაუდოდ, წმინდა წერილის კანონიკურ წიგნად მიიჩნევს. იგი შეიცავს, ასევე, უცნობი წარმომავლობის დამონმებებს (შდრ. 4.5, 5.2-4), როგორც ჩანს, აპოკრიფული სახარებებიდან, რომლებმაც ჩვენამდე ვერ მოაღწიეს. ცხადია, ამგვარი დამონმებები უნდა ეკუთვნოდეს ბიბლიის შემცველი კანონიკური წიგნების ზუსტი ნუსხის ჩამოყალიბებამდელ პერიოდს. მეორე მხრივ, ძველი და ახალი აღთქმის, როგორც წმინდა წერილის, ციტირებები მეტყველებს იმაზე, რომ აუდიტორიისათვის ეს წიგნები კარგად იყო ცნობილი (იხ. 2.4, 6.8, 14.1,2) და მათ უკვე საყოველთაო ავტორიტეტი ჰქონდათ მოპოვებული. წერილის დათარიღებისას მკვლევარები ერთ-ერთ არგუმენტად მიუთითებენ მონაკვეთს სულიერი ეკლესიის<sup>2</sup> შესახებ და მის პარალელს ჰერმასის *მწყემსთანაც*,<sup>3</sup> რომელიც დაახლოებით ამავე დროს არის შექმნილი.

წერილის წარმომავლობის შესახებ არსებობს რამდენიმე სხვადასხვა შეხედულება. ტექსტის ერთ-ერთი გამომცემლის, ლაითფუტის თვალსაზრისით, ეპისტოლე წარმოადგენს უცნობი პირის ქადაგებას კორინთოს ეკლესიაში. სხვა მკვლევარები წიგნის თეოლოგიურ ხასიათსა და *ეგვიპტელთა სახარების* დამონმებაზე დაყრდნობით განსახილველ ტექსტს ალექსანდრიულ ქადაგებად თვლიან. ჰარნაკის აზრით, ეს ქადაგება წარმოადგენს რომის პაპ სოტერიუსის (166-174 წწ.) მიერ წერილად გაგზავნილ სხვა ავტორის ერთ-ერთ ძველ ქადაგებას კორინთოს ეკლესიის მიმართ, რომელიც კორინთოს ეკლესიის არქივში კლიმენტი რომაელის პირველ ეპისტოლესთან ერთად ინახებოდა, გადამწერმა ისინი ერთად გადანერა და მეორე ეპისტოლე შეცდომით კლიმენტი რომაელს მიაკუთვნა. ლაითფუტის

1. კლიმენტი ალექსანდრიელი, *ხალიჩები*, 3.13.92.2-93.1.

2. „ვიკოთ პირველი, სულიერი, მზისა და მთვარის უწინარესად შექმნილი ეკლესიის (წევრები)“, 14.1, შდრ. აქვე, 7.1,3, იხ. ასევე, ეფეს. 1.3-5.

3. ჰერმასის *მწყემსი*, 1.2.4.3. მასში საუბარია მოხუცებული ქალის, როგორც ღვთის ეკლესიის სიმბოლოს შესახებ, რომელიც შეიქმნა ყველაზე ადრე და რომლისათვისაც შეიქმნა სამყარო. იგი ავალებს ჰერმასს, დაწეროს ორი წიგნი, რომელთაგან ერთს გადასცემს კლიმენტის და იგი მას ქალაქებში დააგზავნის, როგორც ეს მას ევალება.

შეხედულება სარწმუნო ჩანს, იმის გათვალისწინებით, რომ ამ ეპისტოლეთა ერთი ავტორის შემოქმედებად ჩათვლა, სავარაუდოდ, კორინთოს ეკლესიის წიაღში მოხდა, თუმცა მისი დაწერის ადგილი შესაძლოა მართლაც რომი ყოფილიყო, როგორც ამას ჰარნაკი მიიჩნევს. რომის ეკლესიისადმი ეპისტოლეს მიკუთვნების დამატებით არგუმენტს წარმოადგენს ერთ-ერთი ციტირება, რომელიც დაცულია მხოლოდ კლიმენტი რომაელის პირველ ეპისტოლესა (23.4) და განსახილველ ტექსტში (11.3), სხვა ქრისტიანულ ლიტერატურაში კი არ დასტურდება. ამასთან, ეს მონაკვეთი მეორე ეპისტოლეში უფრო ვრცლად არის დამოწმებული, ვიდრე პირველში, მაშასადამე, იგი ეყრდნობა არა პირველ ეპისტოლეს, არამედ მათ საერთო წყაროს. შესაბამისად, ორივე ეპისტოლე უნდა დაწერილიყო ერთი ეკლესიის წიაღში, რომელშიც ეს წყარო ინახებოდა და მიიჩნეოდა წინასწარმეტყველურ წმინდა წიგნად, ანუ რომაულ ეკლესიაში. იგივე დასკვნა გამომდინარეობს განსახილველი ტექსტის ზემოხსენებული პარალელიდან ჰერმასის *მწყემსთან*.

წერილი-ქადაგება ერთი შეხედვით სადაა და უბრალო მსმენელისთვის იოლი გასაგები, მაგრამ ის საკმაოდ მგზნებარე და გულწრფელია. ამასთან, მასში კარგად იგრძნობა ქრისტიანული ღმრთივსულიერი საკითხებისა და მაღალი თეოლოგიის საფუძვლიანი ცოდნა. ქადაგება მიმართულია გაქრისტიანებული წარმართებისადმი (შდრ. 1.6, 2.1). მისი ავტორი შეაგონებს ეკლესიის წევრებს ცხოვნებისაკენ სწრაფვას (1.1), უფლის მცნებების დაცვას და სწორი ქრისტიანული გზით სვლას – წმინდა ცხოვრებას. იგი ურჩევს მსმენელს, უფლის აღთქმის რწმუნებას (11.6), სიმართლეში ცხოვრებასა და კეთილი საქმეების კეთებას, საკუთარი თავის წვრთნას ქრისტიანულ სათნოებებში, თავშეკავებას, მარხვას, ლოცვას, მოწყალებას, რომელიც მარხვასა და ლოცვაზე მეტია (16.4), მონანიებას („რამეთუ ამ სამყაროდან ჩვენი წასვლის შემდეგ იქ ვეღარ შევძლებთ აღსარების თქმას ან მით უფრო მონანიებას“, 8.3), უფლის, მტერთა და მოყვასის სიყვარულს, რადგან როდესაც წარმართები ხედავენ „რომ არა მხოლოდ არ გვიყვარს მოძულეები, არამედ მოყვარეებიც კი არ გვიყვარს, დაგვიცინიან ჩვენ და იგმობა უფლის სახელი“ (13.4).

ავტორის თანახმად, ჭეშმარიტი ქრისტიანები ერთმანეთს უნდა მიეხმარონ, „რათა არცერთი ჩვენგანი არ წარწყმდეს. რადგან თუკი მივიღეთ მცნებები, ისინი უნდა აღვასრულოთ კიდევ, უნდა მოვწყვიტოთ ხალხი კერპებს და დავმოძღვროთ ისინი. რაოდენ მეტად ჰმართებს სულს, რომელიც იცნობს ღმერთს, არ წარწყმდეს?“ (17.1). ავტორი მოუწოდებს სამწყსოს, მარადიული სიცოცხლის მოსაპოვებლად უერთგულოს სულიერ ეკლესიას, ანუ პირველი სულის (9.5), ქრისტეს სხეულს, ხოლო რადგან „სხეული ეკლესიაა და სული – ქრისტე, მაშინ სხეულის წამბილწავი ბილწავს ეკლესიას“ (14.4). ქრისტიანებმა უბიწოდ უნდა დაიცვან საკუთარი სხეული, ნათლისღების „ბეჭედი“ კი შეუბღალავად (7.6, 8.6): „გვმართებს ხორცის წმინდად დაცვა ღვთის ტაძარივით, რადგან როგორც მოგიწოდეს ხორციელთ, ხორციელნივე მიხვალთ“ ღვთის სამსჯავროზე (9.3-4). ავტორი მრევლს მოუწოდებს ყოველივე ამქვეყნიურის წინააღმდეგ ბრძოლას და საღმრთო სარბიელზე ასპარეზობას, რადგან მხოლოდ ამგვარად შეიძლება ადამიანმა დაიმსახუროს ღვთის სასუფეველში შესვლა და თავი შეიმკოს საღმრთო გვირგვინით: „ვიასპარეზოთ და ვიცოდეთ, რომ ასპარეზობა მოახლოებულია და რომ ხრწნად ასპარეზობებზე მრავალნი მოდიან, მაგრამ ყველანი არ შეიმკობიან გვირგვინებით, არამედ მხოლოდ ისინი, ვინც ბევრი იშრომა და კარგად იასპარეზა“ (7.1). რაც შეეხება საღვთისმეტყველო საკითხებს, მაგალითად, სამების დოგმატს, ტექსტის ავტორი მათ ნაკლებად ეხება, თუმცა სხვადასხვა მონაკვეთებში მიუთითებს მაცხოვრის ორბუნებოვანებას (1.1, 9.5) და ადამიანთა ხსნის მიზნით (1.7) მის განხორციელებას, რაც შესაბამისი ზუსტი ტერმინით არის გადმოცემული (ἐγένετο ὁ ἀρχ, 9.5).

არავთენტურობის მიუხედავად, წმ. კლიმენტი რომაელის მეორე წერილი, ისევე, როგორც პირველი ეპისტოლე, *წმინდა მოციქულთა კანონების (Constitutiones Apostolorum)* მიხედვით, ახალი აღთქმის კანონიკურ წიგნად ითვლებოდა. ამ თხზულების ავტორი წერს: „თქვენთვის ყველასათვის, სასულიერო და საერო პირთათვის, პატივსაცემი და წმინდა უნდა იყოს წიგნები, ძველი აღთქმისა:...; ჩვენი კი, ანუ ახალი აღთქმისა: ოთხი სახარე-



ბა...: მათესი, მარკოზის, ლუკას, იოანესი; პავლეს 14 ეპისტოლე, იაკობის 1, იოანეს 3, იუდას 1, პეტრეს 2, კლიმენტის 2 ეპისტოლე, და *შეგონებანი* (Διαταγαι) თქვენს, ეპისკოპოსთა მიმართ ჩემს, კლიმენტის მიერ 8 წიგნად თქმული (რომელთა გამოქვეყნება ყველას წინაშე არ არის ჯეროვანი, იმ საიდუმლოს გამო, რომელსაც ისინი შეიცავენ), და ჩვენი *საქმენი მოციქულთა*“.<sup>1</sup>

ეპისტოლე დაცულია იმავე ორ ბერძნულ და ერთ სირიულ ხელნაწერში,<sup>2</sup> რომელიც შეიცავს წმ. კლიმენტი რომაელის პირველ ეპისტოლეს კორინთელთა მიმართ, ძველ ლათინურ და კოპტურ თარგმანებში კი იგი არ არის წარმოდგენილი. იგი არ არის დამონმებული არც კლიმენტი ალექსანდრიელის თხზულებებში.

ალექსანდრიულ ხელნაწერში საკუთრივ ეპისტოლესთან სათაური დაკარგულია, თუმცა იგი დაზიანებული სახით არის დაცული ხელნაწერის დასაწყისში მოცემულ ჩამონათვალში: [Κλημ]ειτος ε[πιστο]λη Β. ამ ნუსხაში ტექსტს აკლია ბოლო ფურცელი და სრულდება 12.5-ზე. იერუსალიმურ ხელნაწერსა და სირიულ თარგმანში ტექსტის სათაური სრული სახით არის შემორჩენილი და იკითხება, შესაბამისად, როგორც „კლიმენტის მეორე ეპისტოლე კორინთელთა მიმართ“ და „კლიმენტის, მოციქულ პავლეს მოწაფის მეორე ეპისტოლე“.


ეპისტოლე შეტანილია *Patrologia Graeca*-ში, იხ. PG 5, სვ. 329-348.<sup>3</sup>

ქართულ ენაზე არსებობს განსახილველი ტექსტის ერთადერთი თარგმანი: წმინდა კლიმენტი რომაელი. *მეორე ეპისტოლე კორინთელთა მიმართ*. თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო მაია ინდუაშვილმა. თბილისი: საარი, 2006. წერილი ამ გამოცემაში გადმოღებულია ალექსანდრიული ხელნაწერის რედაქციიდან, რომელიც ნაკლულია და ტექსტის 20 თავიდან მხოლოდ 12 თავს შეიცავს. თარგმანი მეტად მაღალმხატვრული და ხატოვანია. მას ერთვის შესავალი, თხზულების დაწვრილებითი ანალიზით.

1. წმინდა მოციქულთა კანონები, 85.

2. დაწვრილებით იხ. Clavis, ტ. 1, გვ. 6, N 1003.

3. სხვა გამოცემათა შესახებ იხ. Clavis, ტ. 1, გვ. 6, N 1003.



# მეორე ეპისტოლე კოზინთელთა მიმართ

## თავი I

### მაცხოვრის მიერ ჩვენი ხსნა წარწყმედისგან

1. ძმებო, იესო ქრისტეს შესახებ გმართებთ ფიქრი ისე, როგორც ღვთისა და როგორც ცოცხალთა და მკვდართა მსაჯულის შესახებ (2ტიმ. 4.1; საქმე, 10.42, 17.31; იოანე, 5.22,27). არანაკლები დაფიქრება გვმართებს ჩვენს საკუთარ ცხოვნებაზეც. 2. რადგან როდესაც ნაკლებად ვფიქრობთ მის შესახებ, ნაკლების მიღებას ვიმედოვნებთ. სცოდავენ ისინი, ვინც ისმენს ამას, როგორც რალაც უმნიშვნელოს, ვცოდავთ ჩვენც, რადგან არ ვიცით, საიდან, ვის მიერ და რა ადგილას ვართ მოწოდებულნი, და რამდენი ვნება დაითმინა იესო ქრისტემ ჩვენი გულისთვის. 3. რა შეგვიძლია მივაგოთ მას საზღაურად? რა ნაყოფი შეგვიძლია მივაგოთ ღირსი იმისა, რაც მან ჩვენ მოგვანიჭა? რამდენი წმინდა რამით ვართ დავალებულნი მისგან? 4. რამეთუ მან მოგვმადლა ნათელი, გვესაუბრა ისე, როგორც მამა შვილებს, და ჩვენ, დასალუპავად განწირულები, გადაგვარჩინა. 5. როგორი ქება უნდა მივაგოთ ან სანაცვლო საზღაური იმისათვის, რაც მივიღეთ? 6. ჩვენ გონების თვალები გვქონდა დაბნელებული, ვეთაყვანებოდით ქვებს, ხეებს, ოქროს, ვერცხლსა და რკინას, ადამიანთა ნახელავს, და მთელი ჩვენი ცხოვრება სხვა არაფერი იყო, თუ არა სიკვდილი. წყვილიადით გარემოცულებს, რომელთაც მზერა ავსებული გვქონდა ასეთი უკუნით, მისი ნებით თვალი აგვეხილა და უკუვაქციეთ ის წყვილიადი, რომელიც გვერტყა გარს. 7. შევებრალეთ და

გულმონყალემ გვიხსნა ჩვენ, რადგან იხილა ჩვენში მრავალი საცთური და წარწყმედა, და დაინახა, რომ არავითარი იმედი არ გვქონდა ხსნისა, თუ არა მხოლოდ მისი მეშვეობით. 8. მან მოგვიწოდა ჩვენ, რომელნიც აღარ ვიყავით, და არყოფნიდან ჩვენი ყოფნა მოისურვა (რომ. 4.17).

## თავი II

### უნაყოფო ეკლესიის ნაყოფიერად ქცევა

1. „გიხაროდეს, ბერწო უშობელო, ლალადებდე და ხმობდე, მშობიარობის საღმობათა განუცდელი, რამეთუ მრავალი შვილი გააჩნია მიტოვებულს, – უფრო მეტი, ვიდრე მას, ვისაც ქმარი ჰყავს“ (ესაია, 54.1; გალ. 4.27). როდესაც იტყვის: „გიხაროდეს, ბერწო უშობელო“, – ჩვენ შესახებ ამბობს, რადგან ჩვენი ეკლესია უნაყოფო იყო მანამ, სანამ მას შვილები მიეცემოდა.<sup>1</sup> 2. ხოლო როცა ამბობს: „ხმობდე, მშობიარობის საღმობათა განუცდელი“, გულისხმობს იმას, რომ ჩვენი ლოცვები გულწრფელად უნდა აღვუვლინოთ ღმერთს, და არა როგორც მშობიარეებმა – სულმოკლეობით (შდრ. გალ. 6.9). 3. ხოლო იტყვის: „რამეთუ მრავალი შვილი გააჩნია მიტოვებულს, უფრო მეტი, ვიდრე მას, ვისაც ქმარი ჰყავს“, რადგან როგორც ჩანს, მიტოვებული იყო ღმერთისაგან ჩვენი ხალხი. ახლა კი მორწმუნეები უფრო მეტნი გავხდით იმათზე, ვისაც ეგონა, რომ ღმერთი ჰყავდა.<sup>2</sup> 4. სხვა წმინდა წერილი<sup>3</sup> კი ამბობს: „არა მოვედნოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა“ (მათე, 9.13; მარკ. 2.17; ლუკა, 5.32). 5. ეს ნიშნავს, რომ მას დასაღუპავად განწირულები უნდა გადაერჩინა. 6. რადგან დიადი და საოცარია არა მათი განმტკიცება, რაც დგას, არამედ იმათი, რაც ეცემა. 7. სწორედ ასე ინება ქრისტემ დასაღუპავად განწირულთა გადარჩენა, და იხსნა მრავალი, როდესაც მოვიდა და მოგვიწოდა ჩვენ, რომელნიც უკვე ვიღუპებოდით.

1. იგულისხმება ქრისტიანობამდელი, ძველი აღთქმის ეკლესია.

2. იგულისხმებიან ებრაელები.

3. ანუ წმინდა წერილის სხვა წიგნი.

### თავი III

#### მოვალეობა მაცხოვრის აღიარებისა

1. რადგანაც მან ამგვარი წყალობა გაიღო ჩვენთვის, პირველ რიგში იმით, რომ ჩვენ, ცოცხალნი, მკვდარ ღმერთებს აღარ ვსწირავთ ზვარაკს და თაყვანს აღარ ვცემთ, არამედ მისი მეოხებით შევიცანით მამა ჭეშმარიტებისა, როგორ უნდა გამოვხატოთ ცოდნა, რომელიც უნდა გვექონდეს მის მიმართ, თუ არა იმით, რომ არ უარვყოთ ის,<sup>1</sup> ვისი წყალობითაც იგი<sup>2</sup> შევიცანით? 2. ის თავადაც ამბობს: „ვინც მალაიარებს მე კაცთა წინაშე, მეც ვაღიარებ მას ჩემი მამის წინაშე“ (მათე, 10.32; ლუკა, 12.8). 3. ასეთია ჩვენი საზღაური, თუკი ვაღიარებთ მას, ვისი მეშვეობითაც ვართ დახსნილნი. 4. რითი უნდა ვაღიაროთ იგი? იმით, რომ აღვასრულოთ ის, რასაც ამბობს და არ ვიყოთ ურჩნი მისი მცნებებისა, და არა მხოლოდ ბაგეებით მივაგოთ მას პატივი, არამედ მთელი გულით და მთელი გონებით (მდრ. მათე, 22.37; მარკ. 12.30). 5. ამბობს კიდევ ესაიასთან: „ეს ხალხი ბაგეებით პატივს მომაგებს მე, გული მათი კი შორს არის განყენებული ჩემგან“ (ესაია, 29.13).<sup>3</sup>

### თავი IV

#### მაცხოვრის მართალი აღიარება

1. ამრიგად, მხოლოდ უფალი კი არ უნდა ვუწოდოთ მას, – ეს როდი გვიხსნის ჩვენ. 2. რადგან იგი ამბობს: „არა ყოველი, ვინც მეუბნება: ‘უფალო, უფალო’, ცხონდება, არამედ ის, ვინც სიმართლეს სჩადის“ (მათე, 7.21). 3. ამიტომ, ძმებო, საქმეებით ვაღიაროთ იგი, ურთიერთსიყვარულით, არა მრუშობით, არც ერთმანეთის მიმართ ავსიტყვაობით, არც შურით, არამედ იმით, რომ ვიყოთ თავშეკავებულნი, გულმონყალენი და კეთილნი; ერთმანეთის მიმართ თანაგრძნობა გვმართებს და არა ვერცხლისმოყვარება. ამგვარი საქმეებით ვაღიარებთ მას

1. საუბარია მაცხოვრის შესახებ.

2. იგულისხმება მამა ღმერთი.

3. დამონმებულია წმ. კლიმენტი რომაელის პირველ ეპისტოლეშიც (15.2).

და არა ამის საპირისპირო საქციელით. 4. გარდა ამისა, არ უნდა გვეშინოდეს ადამიანებისა უფრო მეტად, ვიდრე ღვთისა. 5. ამის გამო, როდესაც სწორედ ასე იქცეოდით, უფალმა თქვა: „თუკი შეიკრიბებით ჩემთან, ჩემს წიაღში და არ შეასრულებთ ჩემს მცნებებს, უკუგაქცევთ თქვენ და გეტყვით: <sup>1</sup> გამეცალეთ მე, არ გიცნობთ თქვენ, საიდან ხართ, მოქმედნო უსჯულოებისა“ (მათე, 7.23; ლუკა, 13.27).

## **თავი V** **საწუთროს მოძაგება**

1. ამიტომ, ძმებო, მივატოვოთ ამქვეყნიური დროებითი სამყოფელი,<sup>2</sup> აღვასრულოთ მისი ნება, ვინც ჩვენ მოგვინოდა, და ნუ შეგვეშინდება ამ სამყაროდან წასვლისა. 2. რამეთუ ამბობს უფალი: „იქნებით როგორც ცხვრები მგელთა შორის“ (მათე, 10.16). 3. ამას პასუხობს პეტრე და ამბობს: „მაგრამ თუ მგლები დაგლეჯენ ცხვრებს?“ 4. უთხრა იესომ პეტრეს: „ნუ შეეშინდებათ ცხვრებს მგლებისა თავიანთი სიკვდილის შემდეგ.<sup>3</sup> თქვენც ნუ შეეშინდებათ თქვენი მკვლელების, რომელთაც არ შეუძლიათ ამის მეტი გავნონ თქვენ, არამედ გეშინოდეთ იმისი, ვისაც თქვენი სიკვდილის შემდეგ აქვს ძალაუფლება სულსა და ხორცზე, და ცეცხლოვან ჯოჯოხეთში თქვენი ჩადგება ხელენიფება“ (მათე, 10.28; ლუკა, 12.4-5). 5. იცოდეთ, ძმებო, რომ ამ ხორცის ცხოვრება ამ საწუთროში მოკლეა და მცირეხნოვანი, ხოლო დიადია და განსაცვიფრებელი ქრისტეს აღთქმა: მომავალი სასუფევლისა და მარადიული სიცოცხლის სიმშვიდე. 6. რა უნდა მოვიმოქმედოთ მათ მისაღწევად, თუ არა ღვთისსათნო და მართალი ცხოვრება, ყოველივე ამქვეყნიურის უცხოოდ მიჩნევა და არა მათი გულისთქმა? 7. ვინაიდან მათი<sup>4</sup> დასაკუთრების გულისთქმის გამო განვვარდებით მართალი გზიდან.

---

1. ეს სიტყვები არ არის წმინდა წერილში.

2. იგულისხმება, მოვიძაგოთ ამ წუთისოფლის ცოდვიანი ცხოვრება, უარყოთ ეს წუთისოფელი.

3. ეს სიტყვები არ არის წმინდა წერილში.

4. ანუ, ყოველივე ამქვეყნიურის.

## თავი VI

### სანუთრო და მომავალი სამყარო ერთმანეთის მტრებია

1. უფალი ამბობს: „არცერთ მსახურს არ შეუძლია ორი ბატონის მონობა“ (მათე, 6.24; ლუკა, 16.13). თუკი გვინდა ვემონოთ ღმერთსა და მამონას, ვიცოდეთ, რომ ეს ჩვენთვის საფრთხისშემცველია. 2. „რადგან რა სარგებელი ექნება ადამიანს, თუ მთელ ქვეყნიერებას მოიპოვებს, სულს კი ავნებს?“ (მათე, 16.26; მარკ. 8.36). 3. ეს სამყარო და მომავალი – ორი მტერია.<sup>1</sup> 4. ეს ქადაგებს მრუშობას, გახრწნილებას, ვერცხლისმოყვარებასა და სიცრუეს, ის კი უარს ამბობს მათზე. 5. ამიტომაც არ შეგვიძლია ვიყოთ ორივე მათგანის მეგობრები, არამედ გვმართებს ამის უარყოფა და იმასთან მიახლება. 6. გავიაზროთ, რომ უკეთესია ყოველივე აქაურის მოძაგება, – რადგან ისინი ნაკლებმნიშვნელოვანნი, მცირეხნოვანნი და ხრწნადნი არიან, – ხოლო იმისი, უხრწნელი სიკეთეებისა კი შეყვარება. 7. რადგან ქრისტეს ნების მოქმედნი, ჩვენ სიმშვიდეს მოვიხვეჭტ, ხოლო თუ ამას არ მოვიმოქმედებთ, თუ ვეურჩებით მის მცნებებს, არაფერი გვიხსნის საუკუნო სატანჯველისაგან. 8. ამბობს კიდევ წმინდა წერილი ეზეკიელთან, რომ „რომც აღდგეს ნოე და იობი და დანიელი, ვერ იხსნიან ტყვეობაში მყოფ თავიანთ შვილებს“ (შდრ. ეზეკ. 14.18,20). 9. და თუ ასეთ მართალ ადამიანებს არ შეუძლიათ საკუთარი სიმართლით გამოიხსნან თავიანთი შვილები, ჩვენ, თუკი არ დავიცავთ ნათლისღებას წმინდად და შეუბღალავად, რა იმედი შეიძლება გვქონდეს ღვთის სასუფეველში შესვლისა? ან ვინ იქნება ჩვენი ქომაგი, თუ არ აღმოჩნდება, რომ ღვთისსათნო და მართალი საქმეები მოგვიმუშაკებია?

## თავი VII

### ასპარეზობა გვირგვინისათვის

1. ამრიგად, ჩემო ძმებო, ვიასპარეზოთ და ვიცოდეთ, რომ ასპარეზობა მოახლოებულია და რომ ხრწნად ასპარეზობებზე

---

1. იგულისხმება, მტრები ერთმანეთისა.

მრავალნი მოდიან,<sup>1</sup> მაგრამ ყველანი როდი შეიმკობიან გვირგვინებით, არამედ მხოლოდ ისინი, ვინც ბევრი იშრომა და კარგად იასპარეზა. 2. ვიასპარეზოთ ჩვენც, რათა მრავალნი გავხდეთ გვირგვინით შემკულნი. 3. მაშ, ვიაროთ პირდაპირ გზაზე, უხრწნელ ასპარეზზე, მრავალმა მივალწიოთ მას და ვიასპარეზოთ, რათა გვირგვინები დავიმსახუროთ. ხოლო თუ ვერ შევძლებთ, რომ ყველას დაგვადგან გვირგვინები, გვირგვინს ხომ მაინც მივუახლოვდებით. 4. უნდა ვიცოდეთ, რომ მას, ვინც ხრწნად ასპარეზობაზე ასპარეზობს, თუკი აღმოჩნდება, რომ რაიმე უკადრისს ჩაიდენს, ამათრახებენ და სტადიონიდან აგდებენ. 5. რას ფიქრობთ, რა უნდა განიცადოს მან, ვინც უკადრისს უხრწნელ ასპარეზზე ჩაიდენს? 6. მათ შესახებ, ვინც ვერ დაიცავს ბეჭედს,<sup>2</sup> ნათქვამია: „მათი მატლი არ მოკვდება, და მათი ცეცხლი არ დაიშრიტება, და გახდებიან სახილველნი ყოველი ხორციელისა“<sup>3</sup> (ესაია, 66.24).

## თავი VIII

### მონანიების საჭიროება წუთისოფელში

1. ამიტომ, სანამ დედამინაზე ვიმყოფებით, მოვინანიოთ, 2. რადგან თიხა ვართ ხელოვანის ხელში. როგორც მეთუნე, როდესაც ქურჭელს ქმნის და თავის ხელებში ამრუდებს მას ან ზელს და კვლავ ქურჭლად ჩამოქნის, თუკი იჩქარებს ცეცხლის ღუმელში მის მოთავსებას, ველარ უშველის მას, ასევე ჩვენც, სანამ ვართ ამ წუთისოფელში, ხორციელნი, სანამ გვაქვს დრო სინანულისა, მოვინანიოთ მთელი გულით, რაც უკეთური ჩავვიდენია, რათა გადავრჩეთ უფლის მიერ, 3. ვინაიდან ამ სამყაროდან ჩვენი წასვლის შემდეგ იქ ველარ შევძლებთ აღსარების თქმას ან, მით უფრო, მონანიებას. 4. ამგვარად, ძმებო, აღვას-

1. მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ამ მონაკვეთში საუბარია პოსეიდონისადმი მიძღვნილი ისთმოსური თამაშობების შესახებ, რომელიც მნიშვნელობით მესამე იყო საბერძნეთში ოლიმპიური და პითიას თამაშობების შემდეგ.

2. ანუ ნათლისღებას. ნათლისღების დაცვაში იგულისხმება ნათლისღების დროს დადებული აღთქმების დაცვა.

3. იგულისხმება, სამარცხვინო სახილველნი.



რულოთ მამის ნება და წმინდად დავიცვათ ხორცი, დავიცვათ უფლის მცნებები და მივიღოთ საუკუნო ცხოვრება. 5. რამეთუ ამბობს უფალი სახარებაში: „თუკი მცირეს არ დაიცავთ, ვინ მოგცემთ თქვენ დიდს? გეუბნებით თქვენ, რომ ყველაზე მცირეში სარწმუნო დიდშიც სარწმუნოა“ (შდრ. მათე, 25.21; ლუკა, 16.10-11). 6. შესაბამისად, ამას ამბობს: დაიცავით სხეული უბინოდ და ბეჭედი<sup>1</sup> შეუბღალავად (შდრ. 2კორ. 1.21-22; ეფეს. 1.13, 4.30), რათა მოგვენიჭოს მარადიული ცხოვრება.

## **თავი IX** **ხორციელთა სამსჯავრო**

1. არცერთმა თქვენგანმა არ უნდა თქვას, რომ ეს ხორცი არ განისჯება და არც აღდგება. 2. თავად განსაჯეთ: რითი ცხოვრებით, რითი აღახელთ თვალებს, თუ არა ამ ხორცში მყოფნი? 3. ამიტომაც გვმართებს ხორცის წმინდად დაცვა ღვთის ტაძარივით. 4. რადგან, როგორც მოგინოდეს ხორციელთ, ხორციელნივე მიხვალთ (ღვთის სამსჯავროზე). 5. როგორც უფალი ქრისტე, ჩვენი მხსნელი, თუმცა კი პირველი სული<sup>2</sup> იყო (შდრ. 1პეტრე, 1.11), განხორციელდა<sup>3</sup> და ამგვარად მოგვიწოდა ჩვენ, ასევე ჩვენც, საზღაურს ამავე ხორცში მყოფნი მივიღებთ. 6. მაშ, შევიყვაროთ ერთმანეთი, რათა ყველანი შევიდეთ ღვთის სასუფეველში. 7. სანამ გვაქვს დრო განსაკურნებლად, მივანდოთ საკუთარი თავი მკურნალ ღმერთს, და მივაგოთ მას საზღაური. 8. რომელი? მონანიება წრფელი გულიდან. 9. რადგან იგი წინასწარ ჭვრეტს ყოველივეს და ხედავს იმას, რაც ჩვენს გულშია. 10. აღვუვლინოთ მას საუკუნო ქება, არა მხოლოდ ბაგიდან, არამედ გულიდანაც, რათა შეგვიწყნაროს, როგორც ძეები. 11. და თქვა უფალმა: „ჩემი ძმები ისინი არიან, ვინც ასრულებს ნებას ჩემი მამისა“ (შდრ. მათე, 12.50).

---

1. იგულისხმება ნათლისღება, შდრ. 7.6.

2. τὸ πρῶτον πνεῦμα. საუბარია მაცხოვრის ღვთაებრივი ბუნების შესახებ.

3. ἐγένετο σὰρξ.

## **თაპი X**

### **მონოდება ღვთისათნო ცხოვრებისაკუნ**

1. ამიტომაც, ჩემო ძმებო, აღვასრულოთ ნება იმისი მამისა, ვინც ჩვენ მოგვინოდა იმისათვის, რომ გადავრჩეთ; უფრო მეტად მივსდით სათნოებას, მივატოვოთ ბოროტება, როგორც ჩვენი ცოდვების წინამავალი, და გავექცეთ უწმინდურებას, რათა ბოროტებებმა ხელთ არ გვიგდონ. 2. ვინაიდან თუ გამოვიჩნთ გულმოდგინებას სიკეთისმოქმედებაში, მშვიდობა ივლის ჩვენთან ერთად. 3. ამ მიზეზის გამო ადამიანს არ ხელეწიფება მისი<sup>1</sup> პოვნა. ისინი, ვინც ადამიანურ შიშებს გულში იხშობენ,<sup>2</sup> გულისყურს უფრო მეტად აქაურ განცხრომას მიაპყრობენ, ვიდრე სამომავლო აღთქმას. 4. არ იციან მათ, რამდენად დიდ განსაცდელს შეიცავს აქაური განცხრომა, და როგორ ნეტარებას – მომავალი აღთქმა. 5. და ისინი მხოლოდ ამას რომ სჩადიოდნენ, ეს კიდევ ასატანი იქნებოდა, ახლა კი რჩებიან ცუდ მასწავლებლებად უცოდველი სულებისათვის, და არ იციან, რომ ორმაგ სასჯელს დაიმსახურებენ, – თავადაც და მათი მსმენელებიც.

## **თაპი XI**

### **მსახურება ღვთისა და მისი დაპირებების ნდობა**

1. ვემსახუროთ სუფთა გულით ღმერთს და ვიყოთ მართალნი. ხოლო თუ ღვთის აღთქმისადმი ჩვენი უწმინდობის გამო არ ვემსახურებით მას, საბრალონი ვიქნებით. 2. ვინაიდან ამბობს წინასწარმეტყველის სიტყვა: „საბრალონი არიან მერყევენი, მეჭველნი გულით, რომელნიც იტყვიან: ამას ვისმენდით უწინ ჩვენი მამების დროსაც, ჩვენ კი, დღიდან დღემდე მის მომლოდინეებს, ასეთი არაფერი გვიხილავს. 3. უგუნურებო, შეადარეთ საკუთარი თავი ხეს. მაგალითად აიღეთ ვაზი: თავდაპირველად მას ფოთოლი სცვივა,<sup>3</sup> შემდეგ ყლორტი გამოაქვს, ამის მერე

1. იგულისხმება, რომ თუკი ადამიანი სიკეთის გზით არ ივლის, იგი სულიერ მშვიდობას ვერ მოიპოვებს.

2. παράγοισι φόβους ἀσθραπίους, სიტყვასიტყვით: გადადებენ, გვერდს უვლიან, განიშორებენ ადამიანურ შიშებს.

3. φύλλοισι. შესაძლოა, იგულისხმებოდეს გასხლვა. იხ. მ. ინდუაშვილის თარგმანი, გვ. 60.

– მკვახე მტევანი, ბოლოს კი მნიფე ყურძენი.<sup>1</sup> 4. ასევე ჩემმა ხალხმაც დაითმინა ცვალებადობა და მწუხარება, შემდეგ კი, სანაცვლოდ, სიკეთენი მიემადლება“. 5. ამიტომ, ჩემო ძმებო, ნუ ვიყოყმანებთ, არამედ დავრჩეთ იმედიანნი, რათა საზღაურის დავიმსახუროთ. 6. რადგან სარწმუნოა ის, ვინც დადო აღთქმა (ებრ. 10.23), მიეცა საზღაური თითოეულისათვის თავის საქმეთაებრ (ესაია, 59.18). 7. თუკი მოვიმუშაკებთ სიმართლეს ღვთის წინაშე, შევალთ მის სასუფეველში და მივიღებთ აღთქმულს, „რომელიც ყურს არ სმენია, თვალს არ უხილავს და ადამიანს გულში არ გაუვლია“ (1კორ. 2.9).

## თავი XII

### მონოღება სასუფეველის მუდმივი ძიებისაკენ

1. მაშ, მოველოდეთ ყოველ საათს ღვთის სასუფეველს სიყვარულსა და სიმართლეში, რადგან არ ვიცით ღვთის გამოცხადების დღე. 2. თავად უფალმა, როცა მას ვილაცამ ჰკითხა, თუ როდის მოვა მისი მეუფება, მიუგო: „როდესაც ორი გახდება ერთი, და გარეგანი გახდება, როგორც შინაგანი, და მამრი მდებდრთან ერთად იქნება არც მამრი, არც მდებდრი“. 3. მაგრამ ორი ერთია, როდესაც ერთმანეთს ჭეშმარიტებას ვეუბნებით, და ორ სხეულში, თვალთმაქცობის გარეშე, არის ერთი სული. 4. და „გარეგანი გახდება, როგორც შინაგანი“, გულისხმობს ამას: „შინაგანს“ სულს უწოდებს, „გარეგანს“ კი სხეულის შესახებ ამბობს. ანუ, როგორც შენი სხეული არის ხილვადი, დაე, ისევე გაცხადდეს შენი სული კეთილ საქმეებში. 5. და „მამრი მდებდრთან ერთად იქნება არც მამრი, არც მდებდრი“, იმას<sup>2</sup> გულისხმობს, რომ ძმამ დის დანახვისას არ იფიქროს მის, როგორც მდებდრის შესახებ, არც დამ იფიქროს რაიმე ძმის, როგორც მამრის შესახებ. 6. თუ ამას სჩადიხართ, – ამბობს იგი, – მოვა სასუფეველი ჩემი მამისა.

1. შდრ. წმ. კლიმენტი რომაელის პირველი ეპისტოლე კორინთელთა მიმართ, 23.4.

2. აქ მთავრდება წერილის ალექსანდრიულ ხელნაწერში დაცული ტექსტი.

## თავი XIII

### “ვაი მას, ვის გამოც იგმოზა ჩემი სახელი”

1. ამრიგად, ძმებო, მოვინანიოთ უკვე და სიფხიზლით მივუბრუნდეთ სიკეთეს, რადგან მრავალი უგუნურებითა და უკეთურებით ვართ სავსენი. განვიშოროთ ჩვენგან ადრინდელი შეცოდებანი, მოვინანიოთ მთელი სულით და გადავრჩებით. ნუ გავხდებით პირმოთენეები, ნურც მოვისურვებთ ვაამოთ მარტოოდენ საკუთარ თავს, არამედ გარეშეთაც, სამართლიანად, რათა (ღვთის) სახელი ჩვენს გამო არ იქნას დაგმობილი. 2. ვინაიდან ამბობს უფალი: „გამუდმებით იგმოზა ჩემი სახელი ყველა წარმართს შორის“ (ესაია, 52.5), და კვლავ: „ვაი მას, ვის გამოც იგმოზა ჩემი სახელი“ (ესაია, 52.5). რითი იგმოზა? იმით, რომ არ აკეთებთ იმას, რაც მე მსურს. 3. რადგან წარმართები, როდესაც ჩვენი ბაგიდან ღვთის სიტყვებს ისმენენ, გოცებულნი არიან მათი მშვენიერებისა და დიდებულების გამო, შემდეგ კი, როდესაც აკვირდებიან ჩვენს საქმეებს, რომ ისინი არ არიან შესაბამისნი სიტყვებისა, რომელთაც ვამბობთ, ამის გამო გმობისაკენ მიბრუნდებიან და იტყვიან, რომ ეს რალაც ზღაპარია და საცთური. 4. რადგან, როდესაც მათ ესმით ჩვენგან, რას ამბობს ღმერთი, – „რა მადლი გექნებათ თქვენ, თუ გეყვარებათ თქვენი მოყვარენი? არამედ მადლი გექნებათ, თუ შეიყვარებთ მტრებს და თქვენს მოძულეებს“<sup>1</sup> (მათე, 5.44; ლუკა, 6.32,35), – ეს როდესაც ესმით, აოცებთ სიკეთის გარდამატებულობა, ხოლო როდესაც ხედავენ, რომ არა მხოლოდ არ გვიყვარს მოძულეები, არამედ მოყვარეებიც კი არ გვიყვარს, დაგვცინიან და იგმოზა (უფლის) სახელი.<sup>2</sup>

## თავი XIV

### სულიერი ეკლესია

1. ამიტომ, ძმებო, აღვასრულოთ ნება ღვთისა, ჩვენი მამისა, ვიყოთ პირველი, სულიერი, მზისა და მთვარის უწინარეს-

1. შდრ. დიდაქე, 1.3.

2. შდრ. წმ. კლიმენტი რომაელის პირველი ეპისტოლე კორინთელთა მიმართ, 47.7.

ად შექმნილი ეკლესიის (ნევრები), ხოლო თუ არ შევასრულებთ უფლის ნებას, ვიქნებით ისე, როგორც ამბობს წმინდა წერილი: „ჩემი სახლი ყაჩაღთა ბუნაგად იქცა“ (იერ. 7.11; მათე, 21.13). ამის გამო, გვერჩიოს, ვეკუთვნოდეთ მაცოცხლებელ ეკლესიას, რათა გადავრჩეთ. 2. არა მგონია, არ იცოდეთ, რომ ცხოველი ეკლესია ქრისტეს სხეულია (ეფეს. 1.22-23), – რადგან წმინდა წერილი ამბობს: „შექმნა ღმერთმა ადამიანი მამაკაცად და დედაკაცად“ (დაბ. 1.27), მამაკაცი არის ქრისტე, დედაკაცი კი ეკლესია, – და რომ წმინდა წიგნთა და მოციქულთა თანახმად, ეკლესია ახლა კი არ არის შექმნილი, არამედ დასაბამიდან არსებობს. რადგან იგი სულიერი იყო ჩვენი იესოსავით, და მოგვევლინა უკანასკნელ ჟამს (1პეტრე, 1.20), რათა ჩვენ გადავერჩინეთ. 3. სულიერი რადგანაც იყო, ეკლესია ქრისტეს სხეულით მოგვევლინა და ამით გვიჩვენა, რომ თუკი რომელიმე ჩვენგანი დაიცავს მას თავის სხეულში და არ წაბილწავს, იგი (კვლავ) მიიღებს მას სულიწმინდის წილში.<sup>1</sup> რადგან ეს სხეული არის სულის ანაბეჭდი,<sup>2</sup> და ვერავინ, ვინც ანაბეჭდს წაბილწავს, ვერ ეზიარება პირველსახეს. სწორედ ამას ამბობს, ძმებო: „დაიცავით ხორცი, რათა სულის წილი მიიღოთ“. 4. ხოლო თუ ვამბობთ, რომ სხეული ეკლესიაა და სული – ქრისტე, მაშინ სხეულის წამბილწავი ბილწავს ეკლესიას. ასეთი ადამიანი ვერ დაიმსახურებს წილს სულისა, რომელიც არის ქრისტე. 5. ამ სხეულს, როდესაც მას მიუერთდება სულიწმინდა, შეუძლია წილად მიიღოს ისეთი სიცოცხლე და უკვდავება, რომ არავის შეუძლია გამოთქვას, არც ისაუბროს იმის შესახებ, რა მოუმზადა უფალმა თავის რჩეულებს (შდრ. 1კორ. 2.9).

## თავი XV

### მხსნელი და დახსნილი

1. არა მგონია, რომ მცირე შეგონება მოგწერეთ თავშეკავების შესახებ. მისი შემსრულებელი არ ინანებს, არამედ იხსნის საკუთარ თავსაც და მეც, შემგონებელსაც, ვინაიდან გზას აც-

1. იგულისხმება, ალდგომისას.

2. ἄσπινθος.

დენილი და დასაღუპავად განწირული სულის მობრუნება ხსნი-საკენ არ არის მცირე ჯილდო. 2. თუკი მოლაპარაკე და მსმენელი, – ერთი ილაპარაკებს, მეორე კი მოისმენს რწმენითა და სიყვარულით, ეს იქნება საზღაური, მისაგებელი ღვთისათვის, ჩვენი შემოქმედისთვის. 3. ამიტომ, შევინარჩუნოთ ყოველივე ის, მართალი და წმინდა, რაც ვირწმუნეთ, რათა სითამამით შევევედროთ ღმერთს, რომელიც ამბობს: „სანამ შენ ლაპარაკობ, მე გეტყვი შენ: აჰა, აქ ვარ“ (შდრ. ესაია, 58.9). 4. ეს სიტყვა დიდი ალტეჟის ნიშანია, რადგან უფალი ამით ამბობს, რომ უფრო მეტად არის კეთილგანწყობილი, უწყალობოს, ვიდრე ის, ვინც ევედრება. 5. ამიტომ, როდესაც ესოდენი წყალობა გვეძლევა წილად, ნუ ვიტყვით უარს, მივემთხვიოთ ასეთ სიკეთეებს. ვინაიდან, რაოდენ დიდ სიამოვნებასაც ანიჭებენ ეს სიტყვები იმ ადამიანებს, ვინც მათ ასრულებს, იმდენად დიდია სასჯელი ურჩთათვის.

## თავი XVI

### მომზადება განკითხვის დღისთვის

1. ამიტომ, ძმებო, რადგანაც არცთუ ცოტა მიზეზი გვაქვს მონანიებისთვის, სანამ დროა, სანამ იგი ჯერ კიდევ გვინყნარებს ჩვენ, მივიქცეთ ღვთისაკენ, რომელმაც მოგვინოდა. 2. ვინაიდან, თუ ამ ტკობობას მივატოვებთ და ჩვენს სულს დავძლევთ იმით, რომ არ შევასრულებთ მის უკეთურ გულისთქმებს, წილს მივიღებთ იესოს გულმონყალებაში. 3. იცოდეთ, რომ უკვე მოდის განკითხვის დღე, როგორც ანთებული ღუმელი და დადნებიან ძალნი ცისანი (მალ. 4.1/3.19; შდრ. ესაია, 34.3-4; 2პეტრე, 3.13), მთელი მიწა დაემსგავსება ცეცხლში დამდნარ ტყვიას, და მაშინ გამოჩნდება ადამიანთა დაფარული და ცხადი საქმეები. 4. მოწყალების გაღება კეთილი საქმეა, ისევე, როგორც ცოდვათა მონანიება. მარხვა მეტია ლოცვაზე, მოწყალების გაღება კი ორივეზე მეტია: „სიყვარული ფარავს ცოდვათა სიმრავლეს“ (იგავ. 10.12; 1პეტრე, 4.8).<sup>1</sup> წრფელი სინდისით აღვლენილ

1. დამონებულია წმ. კლიმენტი რომაელის პირველ ეპისტოლეშიც კორინთელთა მიმართ, 49.4.

ლოცვას სიკვდილისაგან შეუძლია ადამიანის დახსნა. ნეტარია ყველა ადამიანი, ვინც აღსავსე აღმოჩნდება ამ ყველაფრით, რადგან მოწყალების გაღება ცოდვათა შემსუბუქებად ექცევათ მათ.

## თავი XVII

### მომზადება განკითხვის დღისთვის (გაგრძელება)

1. მაშასადამე, მოვინანიოთ მთელი გულით, რათა არცერთი ჩვენგანი არ წარწყმდეს. რადგან, თუკი მივიღეთ მცნებები, ისინი უნდა აღვასრულოთ კიდევაც, უნდა მოვწყვიტოთ ხალხი კერპებს და დავმოდვროთ ისინი. რაოდენ მეტად ჰმართებს სულს, რომელიც იცნობს ღმერთს, არ წარწყმდეს? 2. ამიტომ, მივეშველოთ ერთმანეთს და უძღურები მივმართოთ სიკეთისაკენ, რათა ყველანი გადავრჩეთ, და მოვაქციოთ და შევაგონოთ ერთმანეთს. 3. და არა მხოლოდ ახლა უნდა ჩანდეს, რომ მივსდევთ და ვუჯერებთ მღვდელთა მიერ ჩვენთვის მოცემულ შეგონებებს, არამედ, როდესაც სახლში წავალთ, მაშინაც უნდა გვახსოვდეს უფლის მცნებები და არ მივცეთ ჩვენი მიზიდვის საშუალება სანუთროს გულისთქმებს, არამედ, ახლოს მისულნი უნდა შევეცადოთ, წარვემატოთ უფლის მცნებებში, რათა ყველანი, ვინც ასე ფიქრობს (შდრ. რომ. 12.16; 2კორ. 13.11), ერთად აღმოვჩნდეთ შეკრებილნი (საუკუნო) ცხოვრებისათვის. 4. რადგან თქვა უფალმა: „მოვედი ყველა ერის, ტომისა და კუთხის ხალხის შესაკრებად“ (ესაია, 66.18). ამას ამბობს თავისი გამოცხადების დღის შესახებ, როდესაც მოსული დაგვიხსნის თითოეულ ჩვენთაგანს მის საქმეთა მიხედვით. 5. და დაინახვენ მის დიდებას (ესაია, 66.18) და ძალას ურწმუნოები, და გაოცდებიან, როდესაც იხილავენ სამყაროს სასუფეველს იესოში და იტყვიან: „ვაი ჩვენ, რომ შენ იყავი და ჩვენ ვერ მიხვდით და არ ვინამეთ და არ ვერწმუნეთ მღვდლებს, რომლებმაც გამოგვიცხადეს ჩვენი ცხოვრების შესახებ“, და „მათი მატლი არ მოკვდება, და მათი ცეცხლი არ დაიშრიტება, და გახდებიან სახილველნი ყოველი ხორციელისა“<sup>1</sup> (ესაია, 66.24; მარკ. 9.44).

1. შდრ. 7.6.

6. იგი ლაპარაკობს სამსჯავროს იმ დღეზე, როდესაც ჩვენ შორის დაინახავენ უნმინდურებსა და შემცდარებს იესო ქრისტეს მცნებათა შეფასებაში. 7. ხოლო მართალნი, რომლებმაც მოიპოვეს ბედნიერება, დაითმინეს განსაცდელნი და მოიძულეს სულის სიტკბოებანი, როდესაც იხილავენ, თუ როგორ ისჯებიან საშინელი სასჯელითა და დაუშრეტელი ცეცხლით ისინი, ვინც შესცოდა იესოს მიმართ სიტყვებითა და საქმეებით და უარჰყო იგი, დიდებას აღუვლენენ თავიანთ ღმერთს და იტყვიან, რომ „იქნება სასოება მისთვის, ვინც ღმერთს მთელი გულით ემსახურება“.

### თავი XVIII

#### ავტორის თავმდაბლობა

1. და დაე, ჩვენც ვიყოთ მათ შორის, ვინც სამადლობელს აღუვლენს, ვინც ემსახურება ღმერთს, და არა განსჯილ უნმინდურებთან ერთად. 2. და თავად მეც, ყოვლად ცოდვილი, რომელიც ვერ გავექეცი საცთურს, არამედ ჯერ კიდევ ეშმაკის იარაღთა შორის ვიმყოფები, მომავალი სამსჯავროს მოშიში, ვცდილობ მივსდიო სიმართლეს, რათა მეყოს ძალა, რომ მივუახლოვდე მაინც მას.

### თავი XIX

#### უფლის ჯილდო დამთმენი მორწმუნისათვის

1. ამიტომაც, ძმებო და დებო, ჭეშმარიტების ღმერთის შემდეგ მე გიკითხავთ შეგონებას, რომ გულდასმით შეასრულოთ დაწერილი, იმისათვის, რომ იხსნათ საკუთარი თავიც და ისიც, ვინც ამას გიკითხავთ. რადგან საზღაურად გთხოვთ, მოინანიოთ მთელი გულით, რაც ცხონებასა და სიცოცხლეს მოგმადლებთ. ამგვარი მოქცევით მიზანს დავუსახავთ ყველა ახალგაზრდას, რომელსაც ღვთისმოსავობასა და ღვთის სიკეთეში სწადია ღვანლის განევა.<sup>1</sup> 2. ხოლო ჩვენ, უგუნურნი, გულისწყრომითა და აღშფოთებით ნუ მოვეკიდებით, როდესაც ვინმე

1. φιλοποιεῖν. სიტყვასიტყვით: ტკივილთმოყვარება.



შეგვაგონებს და უსამართლობიდან მოგვაბრუნებს სიმართლისაკენ. რადგან ზოგჯერ, როდესაც უკეთურებას ჩავდივართ, ამას ვერ ვხვდებით მერყეობისა და ურწმუნოების გამო, რომლებმაც დაისადგურეს ჩვენს გულებში, და ამას გულისთქმათა გამო, რომლითაც გონება გვაქვს დაბნელებული (ეფეს. 4.18). 3. მაშ, ვაკეთოთ სიმართლე, რათა ბოლოს გადავრჩეთ. ნეტარნი არიან ისინი, ვინც შეისმენს ამ დარიგებებს. და თუ მცირე ხნის მანძილზე, სანუთროში, ჭირ-ვარამს დაითმენენ, მოინევენ აღდგომის უკვდავ ნაყოფს. 4. მაშ, ნუ დამნუხრდება ღვთისმოსავი, თუკი ანმყოში იტანჯება. ნეტარი ჟამი ელოდება მას. იგი, აღმდგარი, მამებთან ერთად იხარებს ზეცაში, მარადისობაში, სადაც არ არის მნუხარება.

## **თავი XX** **ჭეშმარიტი სიმდიდრე**

1. მაგრამ ნუ შეაშფოთებს თქვენს გონებას ის, რომ ვხედავთ, როგორ მდიდრებიან უსამართლო ადამიანები, ხოლო ღვთის მსახურები როგორ არიან შევიწროებულნი. 2. გვწამდეს, ძმებო და დებო, ცოცხალი ღმერთის მიერ მოცემულ განსაცდელს ვასპარეზობთ და ვინვრთით ახლანდელ ცხოვრებაში, რათა მომავალში გვირგვინებით ვიყოთ შემკულნი. 3. მართალთაგან არავის მიუღია სწრაფი ნაყოფი, მაგრამ ეს უკანასკნელი ელოდება მას. 4. ღმერთს რომ უმაღვე მიეცა მართალთათვის საზღაური, მაშინვე დავიწყებდით ვარჯიშს ვაჭრობაში და არა ღვთისმოსავობაში. გვეგონებოდა, რომ მართალნი ვართ და ძიებას დავუწყებდით არა ღვთისმოსავობას, არამედ მოსაგებელს. საღმრთო სამსჯავრომ სწორედ ამის გამო შეაჩერა უსამართლო სული<sup>1</sup> და ბორკილებით დაამძიმა იგი. 5. ერთ უხილავ ღმერთს (1ტიმ. 1.17), მამას ჭეშმარიტებისას, რომელმაც მოგვივლინა მაცხოვარი და წინამძღვარი უკვდავებისა, ვისი მეობებითაც გამოგვიცხადა ჭეშმარიტება და ზეციური ცხოვრება, დიდება მას უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

---

1. πνεῦμα μὴ ὅν δίκαιον. იგულისხმება ეშმაკი.

